ახალი საჯარო მენეჯმენტი (NPM) – ადმინისტრაციული მენეჯმენტის  
შემაჯობებელი ნაწილი

ქ. ქუთათელაძე\* მ. მაღრაძე

თბო- და ჰიდროენერგეტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: kkutateli@gmail.com

**რეზიუმე:** ადმინისტრაციული მეცნიერების განვითარება მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარმატებული რეფორმების განხორციელებისათვის, რისი აუცილებლობაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ქვეყნის მმართველი ორგანოების წინაშე დგას. ნაშრომში განხილულია ახალი საჯარო მენეჯმენტის ზოგიერთი საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სრულყოფილი საჯარო ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაში.

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო ადმინისტრაცია; ადმინისტრაციული მეცნიერება; საჯარო მენეჯმენტი; პროდუქტი, კლიენტი; პროცესი; მომსახურება; რეფორმა.

## 1. შესავალი

დღეს საქართველოში არ არსებობს ადმინისტრაციული მეცნიერება, რომელიც კომპლექსურად იკვლევს ადმინისტრაციის რეალურ ცხოვრებას. მიზანი, ამოცანები, სტრატეგია, ორგანიზაცია, კადრები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რეფორმები – სწორედ ეს მოვლენები გამოხატავს ადმინისტრაციულ რეალობას. ამ რეალობაზეა კონცენტრირებული ადმინისტრაციული მეცნიერება. [1].

ცალკეულ მეცნიერებებს შორის, რომლებიც საჯარო ადმინისტრაციას შეისწავლის, ადმინისტრაციულ სამართალს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი ჰეგემონური როლი ხელს უშლის სხვა მიმართულებების, მათ შორის საჯარო მენეჯმენტის განვითარებას.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოდან განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირების ძირითად ორიენტირს მისი გამარტივება, დეცენტრალიზაცია და არაბიუროკრატიულობა წარმოადგენს.

ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფცია აქცენტს კერძო სექტორის მართვის თავისებურებებზე აკეთებს და აქ არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირებისათვის აუცილებელ პირობებს აღგენს.

## 2. ძირითადი ნაწილი პროდუქტზე, კლიენტზე და პროცესზე ორიენტაციის საკითხები საჯარო მენეჯმენტში

ახალი საჯარო მენეჯმენტი საჯარო ადმინისტრაციისათვის სრულიად განსხვავებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას და მობილურ აქტივობებს ანიჭებს უპირატესობას საქმიანობის ტრადიციულ ბიუროკრატიულ ფორმებთან შედარებით.

ახალი საჯარო მენეჯმენტის მიხედვით, პოლიტიკა, დეტალურად გაწერილი სამართლებრივი ნორმებისა და ბიუჯეტის მკაფიოდ განსაზღვრული მუხლების მეშვეობით კი არ უნდა მართავდეს საჯარო ადმინისტრაციას, არამედ მან საჯარო ადმინისტრაციას უნდა განუსაზღვროს ერთი მხრივ, საბოლოო მიზანი და შესაბამისი სტანდარტები, და, მეორე მხრივ, დაუდგინოს ბიუჯეტი, რომელიც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს განსაზღვროს მიზნის მიღწევის სტრატეგია და საკუთარი პასუხისმგებლობით მოახდინოს ბიუჯეტის სახსრების განკარგვა. ამდენად, მოხდა პოლიტიკასა და საჯარო ადმინისტრაციას შორის ხელისუფლების დანაწილების ახლებური განსაზღვრა: პოლიტიკა არის უფლებამოსილი განსაზღვროს საჯარო ადმინისტრაციისათვის ზოგადი მიზნები და გააკონტროლოს ამ მიზნების განხორციელების შედეგები. რაც შეეხება მიზნების მიღწევის კონკრეტულ გზებს, ეს თავად საჯარო ადმინისტრაციის პრეროგატივაა [2].

სწორი საჯარო მენეჯმენტის პირობებში ადმინისტრაციის თითოეული ქვედანაყოფი მეტ ავტონომიას იძენს. იგი თვითონ იღებს პასუხისმგებლობას საჯარო ამოცანების განხორციელებაში.

ბაზე (განსხვავებით ბიუროკრატიული მოდელისგან, სადაც საჯარო მოხელე ძირითადად მენეჯმენტის ზედა რგოლის მითითებების აღმსრულებელია). ეს არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაცია არ მოქმედებს სამართლებრივ ჩარჩოში. მისი საქმიანობის ხარისხი ფასდება კანონთან შესაბამისობით, ეკონომიკურობით და კლიენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით. ამდენად, პრიორიტეტულია მისი საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი შინაარსობრივი კრიტერიუმები, რაც ძირითადად ამ ორგანიზაციის იმიჯს განსაზღვრავს საზოგადოებაში.

საჯარო ადმინისტრაციის ფარგლებში მართვა ხორციელდება ორგანიზაციის მისიის განსაზღვრის, მიზნების ფორმულირების, დასაქმებულთა სტიმულირების, შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლისა და კონკურენციის მექანიზმებით. ახალი საჯარო მენეჯმენტის შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მექანიზმების შემუშავებაში ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჩართვა, რაც სახელმწიფო ორგანოების წარმატებული საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა. ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეულ საჯარო ადმინისტრაციებს შორის მომსახურების ხარისხის კონკურენციის ორგანიზებას როგორც რეგიონის ფარგლებში, ისე ქვეყნის მასშტაბით. კონკურენტულმა გარემომ ადმინისტრაციის თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება, შედეგების გამჭვირვალობა და საუკეთესო პრაქტიკის განზოგადება და დამკვიდრება უნდა უზრუნველყოს [3].

მენეჯმენტის შესაბამისად საჯარო ადმინისტრაცია საკუთარი საქმიანობის საბოლოო შედეგების - პროდუქტების დეფინირებას ახდენს. ამ პროცესში მისთვის განმსაზღვრელია კონკრეტული მიზნები და მოქალაქეების, როგორც ადმინისტრაციის კლიენტების, მოთხოვნები. პროდუქტის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მათი წარმოების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით განხილული პროდუქტი, როგორც ამოსავალი პრინციპი, მნიშვნელოვნად ცვლის საჯარო ადმინისტრაციის მუშაობის სტილს. მისი შემოღებით ბიუჯეტი, კონკრეტული პროექტების შესაბამისად, სხვადასხვა პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული. პროდუქტი ღირებულების და ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს შეიცავს, შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმიანობა გამჭვირვალეა და შესაძლებელია მისი ეფექტურობის განსაზღვრა.

საჯარო ადმინისტრაციის ყველა სახის მომსახურების შედეგის კონკრეტული დადგენა ხშირად შეუძლებელია. პროდუქტების დეფინირება რთულდება, როდესაც ის ასოცირებულია ისეთ მომსახურებასთან, რომელიც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის უშუალო ურთიერთობით წარმოიშობა. ამ შემთხვევაში პროდუქტის წარმოება და მოხმარება, პრაქტიკულად ერთდროულად ხორციელდება. მწარმოებელი

პროდუქტის ერთგვარ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ მისი როლი პროდუქტის ხარისხზე გადამწყვეტ როლს თამაშობს (მაგალითად, კონსულტაციის გაწევა) [2].

პროდუქტის განსაზღვრებით, სახელმწიფო დაწესებულების ქვესტრუქტურებში დანაწევრებული მომსახურების სხვადასხვა ფორმა კონკრეტული მომსახურების ქვეშ ერთიანდება, რაც დიდ გავლენას ახდენს ადმინისტრაციის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მის დახვეწაზე და მოქნილობაზე. ამასთან, საბოლოო პროდუქტზე ორიენტაცია შესაძლებლობას იძლევა მოხდეს მათი საქმიანობის დოკუმენტური აღწერა, რაც გაწეული ხარჯებისა და ხარისხის შეფასებას ამარტივებს. ეს პროცესი ხელს უწყობს საჯარო ადმინისტრაციებს შორის კონკურენციას, რითაც საბოლოო ჯამში მოგებული კლიენტი-მოქალაქე რჩება [4].

საჯარო ადმინისტრაციის მუშაობის პროცესის გამჭვირვალობა პასუხობს მოქალაქეთა ლეგიტიმურ მოთხოვნას – ჰქონდეთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია, რომელ მომსახურებას, რა ღირებულებით, რა კვალიფიკაციით ახორციელებს საჯარო ადმინისტრაცია, რომელიც მათ მიერ არის დაქირავებული (მოქალაქეების გადასახადების მეშვეობით არსებობს).

ახალი საჯარო მენეჯმენტი ადმინისტრაციის შიდა პროცესების ოპტიმიზაციაზე ორიენტირებული. ბიუროკრატიული აპარატისგან განსხვავებით, ის აქცენტს აკეთებს სწრაფ და მოქნილ საქმისწარმოებაზე, სადაც ნაკლებია შრომის დანაწილება განყოფილებებში და შემცირებულია საქმის წარმოების ხანგრძლივობა. საჯარო ადმინისტრაციის შიდა პროცესებში მონაწილე თითოეული პირი (თანამშრომელი) განიხილება როგორც შიდა კლიენტი. თანამშრომლები ერთმანეთს ერთგვარ მომსახურებას უწევენ როგორც კლიენტები, რაც სამსახურში ერთიანი ჯაჭვური პროცესის ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს. საჯარო მენეჯმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდისა და სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს. ამით ორგანიზაციაში იზრდება თანამშრომლობის ხარისხი და თითოეული მათგანის ერთიან პროცესში თანამონაწილეობის შეგრძნება. ამასთანავე, საჯარო ადმინისტრაციის შიდა პროცესები ორიენტირებულია გარე კლიენტზე (მოქალაქეზე), რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციაში პროცესების ოპტიმიზაცია მოქალაქის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს, რისთვისაც, ადმინისტრაციამ ისეთი მომსახურების პირობები უნდა შექმნას, რომელიც მოქალაქეს შესთავაზებს საჭირო სერვისს დროის უმოკლეს მონაკვეთში, ნაკლები დანახარჯებით.

ტრადიციულად, საჯარო ადმინისტრაცია სტრუქტურულად წარმოდგენილია მრავალი განყოფილებით და სამსახურით. ისინი ხშირ

შემთხვევაში ხასიათდება ბიუროკრატიული მუშაობის სტილით. ამასთანავე, მოქალაქის კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა დაყოფას არ ექვემდებარება. შესაბამისად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა საჯარო ადმინისტრაციამ მომსახურება ერთიანი, სწრაფი, მოქნილი მოქმედებით უზრუნველყოს. ამ მიზანს ემსახურება კლიენტის მომსახურების გაწევის ერთი ფანჯრის პრინციპი (one stop agency). ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2009 წლის დასაწყისში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განხორციელებული რეფორმა – სამი დეპარტამენტის გაერთიანებით საზოგადოების მომსახურების ცენტრის შექმნა, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედებს, ამცირებს ბიუროკრატია, ზოგავს ადგილობრივი მეწარმეების დროს, ამარტივებს და გამჭვირვალეს ხდის კლიენტების მომსახურების პროცესს. ისინი სარგებლობენ ლიცენზიების, ნებართვებისა და სერთიფიკატების გაცემის გამარტივებული პროცედურით. შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პროვატიზაციასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციები რეფორმების განხორციელებაში ეხმარებიან საქართველოს. საზოგადოების მომსახურების ცენტრი მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. მსოფლიო ბანკის ანგარიშის “Doing Business 2009” თანახმად, საქართველო ბიზნესის წარმოების პროცედურების სიმარტივეთ მე-15 ადგილზე გავიდა მსოფლიოს 181 ქვეყანას შორის. თუმცა, კვლავაც ბევრი საკითხი რჩება მოუგვარებელი [5].

მოქალაქეებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის მუშაობაში მათი თანამონაწილეობაც. ამ მიზანს ემსახურება საჯარო ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმები: მრგვალი მაგიდა, საკონსულტაციო საბჭოები, მრჩეველთა საბჭოები, კომუნიკაციის წერილობითი და ელექტრული ფორმები და სხვ. თანამშრომლობის თითოეული ფორმა უზრუნველყოფს მოქალაქის, როგორც ინოვატორის, მონაწილეობას საჯარო ადმინისტრაციის მოდერნიზაციასა და მისი პრაქტიკის დახვეწაში. ამ მხრივ კარგი მაგალითია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ახლადდამკვიდრებული თანამშრომლობითი ფორმები: საზოგადოებრივი დარბაზის ჩამოყალიბება, მენეჯმენტის ზედა რგოლის (მინისტრი, მოადგილეები) სისტემატური შეხვედრები სისტემის პერსონალთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, დარგში მოქმედ არასამთავრობო სექტორთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან.

საჯარო ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის გამარტივებასა და მომსახურების გაუმჯობესებაში უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება. ინტერნეტის საშუალებით ადმინისტრაციის მიერ მოქალაქისათვის ინფორმაციის მიწოდება, მისთვის კონკრეტული მომსახურების განხორციელება არის კლიენტზე ორიენტირებული ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ელემენტი. ახალი საჯარო მენეჯმენტის შესაბამისად, კლიენტზე ორიენტირებული მომსახურების შექმნის წარმატებული შედეგია 2004 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩამოყალიბება. მანამდე “ქონების რეგისტრაცია” დროში გაწევილ, უამრავ ბიუროკრატიულ პროცესთან და პროცედურასთან ასოცირდებოდა. ქვეყანაში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო იყო კლიენტზე ორიენტირებული, გამჭვირვალე, უსაფრთხო და ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის შექმნა. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ძალისხმევა სარეგისტრაციო პროცედურების გამარტივებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენებისაკენ მიმართა. შედეგად მომხმარებელმა მიიღო სწრაფი, მარტივად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი მომსახურება [6].

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა კლიენტთან ურთიერთობის თანამედროვე, მარტივი და მოსახერხებელი ფორმა. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად დაათვალიეროს გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი; მიიღოს ინფორმაცია ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ, ელექტრონული სახით წარადგინოს დეკლარაციები, მიიღოს შეტყობინებები საგადასახადო ორგანოსგან და სხვ [7].

### 3. დასკვნა

საჯარო ადმინისტრაციის დანიშნულებაა ცალკეული ადამიანის, საზოგადოების მომსახურება. დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო ადმინისტრაციის უმთავრესი ამოცანაა საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფციისათვის ეს ნიშნავს, რომ საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირებისას აუცილებელია შიდა ორგანიზაციული ასპექტების ისეთ მთლიანობაში ინტეგრირება, რომელიც მის დანიშნულებას გამოსატავს.

საქართველოში ადმინისტრაციული მეცნიერების სრულყოფილი განვითარება მნიშვნელოვნად დაეხმარება ქვეყანას თანამედროვე მთხოვნების შესაბამისად, ადმინისტრაციული მართვის დახვეწასა და საჯარო ადმინისტრაციის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.



**ლიტერატურა**

1. Wimmer, Norbert, Dynamische Verwaltungslehre, 2004, S. 23 ff.
2. ლ. იზორია. თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია. გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2009, გვ. 96, 98.
3. Budaus, Dietrich, Von der burokratischen Steuerung zum New Public Management, Eine Einfuhrung, in: ders./Conrad/Schreyogg (Hrsg.), 1998.
4. М. Мексон, М. Альберт, Ф. Хедоури. Основы менеджмента. Пер. с англ.- М.: Дело, 1995, с. 330-334.
5. <http://www.economy.gov.ge> (შემოწმებულია 18. 04. 10).
6. <http://www.napr.gov.ge> (შემოწმებულია 18. 04. 10).
7. <http://www.mof.ge> (Semowmebulia18. 04. 10).

**UDC 638.244****NEW PUBLIC MANAGEMENT (NPM)-THE CONSTITUTE PART OF ADMINISTRATIVE SCIENCE****K. Kutateladze, M. Maghradze**

Department of heat and hydroenergetics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The development of the administrative science is an important step, which is necessary for the implementation of successful administrative reforms. The necessity of these reforms for the development of a democratic state is vital for the country's administration.

There are discussed some questions connected with the new public management. We consider these questions to be too important for the formation of perfect public administration.

**Key words:** public administration; administrative science; public management; product; client; process; service; reform.

**УДК 638.244****НОВЫЙ ПУБЛИЧНЫЙ МЕНЕДЖМЕНТ (NPM) - СОСТАВНАЯ ЧАСТЬ АДМИНИСТРАТИВНОЙ НАУКИ****Кутателадзе К.Г., Маградзе М.Д.**

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Развитие административной науки - важная предпосылка для успешного проведения административной реформы, необходимость которой стоит перед административными органами страны для формирования демократического и правового государства.

В статье рассмотрены некоторые вопросы публичного менеджмента, что считаем довольно важным фактором в деле формирования полноценной публичной администрации.

**Ключевые слова:** публичная администрация; административная наука; публичный менеджмент; продукт; клиент; процесс; обслуживание; реформа.

*შემოსვლის თარიღი 25.12.08  
მიღებულია დასაბუტად 18.01.09*

# სამთო-ბეოლოგიის სექცია

შპს 338.24.021.8

საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის აქტუალური საკითხები

გ. ლომსაძე\* გ. ლობჯანიძე\*\*

საინჟინრო გეოდეზიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: GuramLomsadze@posta.ge; gela\_lobjanidze@posta.ge

**რეზიუმე:** შესწავლილი, სისტემატიზებული და მეცნიერულად გაანალიზებულია როგორც ახლო წარსულის, ისე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს სამთო მრეწველობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები (გამოშვებული პროდუქცია, მომუშავეები, ძირითადი კაპიტალი) დარგობრივ ჭრილში. შემოთავაზებულია თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნათა შესწავლის საფუძველზე და კონკრეტულ სიტუაციათა სისტემური ანალიზიდან გამომდინარე პრიორიტეტული და სტრატეგიული დანიშნულების სამთო პროფილის დარგების და საწარმოების განვითარების მიმართულებები, ღონისძიებები და ამ მიზნით, სახელმწიფოს სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** საბაზრო ეკონომიკა; სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკური ეფექტიანობა; სამთო მრეწველობის ეკონომიკა; მენეჯმენტის სრულყოფა; დარგობრივი სტრუქტურა.

## 1. შესავალი

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მრავალი პრობლემაა წარმოქმნილი, რომელთა შესწავლითა და ღრმა ანალიზით უნდა დაისახოს არსებულ არასახარბიელო ვითარებიდან გამოსვლის გზები. ეკონომიკური რეფორმირების პროცესში საკვლევი სფეროს დარგობრივი სტრუქტურა შემადგენელი საწარმოებით უნდა პასუხობდეს ქვეყნის წინაშე მდგარ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნებს.

საკვლევი საკითხების თეორიული, მეთოდოლოგიური და მეცნიერული კუთხით წარმოდგენა, ამასთან ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით მათი გაანალიზება და შესაბამისად, სათანადო წინადადებების შემუშავება-განსახილველად განსახილველ პრობლემას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესწავლილ იქნა საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა შესაბამისი ეკონომიკური მახასიათებლებით (სამრეწველო პროდუქცია, მომუშავეები, ძირითადი სამრეწველო-საწარმოო კაპიტალი), რამაც თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნათა საფუძველზე და კონკრეტულ სიტუაციათა სისტემური ანალიზიდან გამომდინარე, განაპირობა პრიორიტეტული და სტრატეგიული დანიშნულების დარგების, ქვედარგებისა და საწარმოების აღორძინება-ჩამოყალიბების აუცილებლობა და მნიშვნელობა. მათი განვითარებისათვის კი სათანადო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების გათვალისწინებით, სადაც მიზანმიმართულად უნდა იქნეს გამოყენებული საბაზრო ეკონომიკის ელემენტები, ხოლო მათი სათანადოდ დამკვიდრების კვალობაზე მნიშვნელოვანია განხორციელდეს საკვლევი დარგის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

## 2. ძირითადი ნაწილი

საქართველოში სამთო მრეწველობა მდიდარ ტრადიციებს ეფუძნება, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და კვლავაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნის, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და მის შემდგომ წარმატებულ განვითარებაში. სწორედ, საკვლევი დარგის განვითარების დონეზე და მოკიდებული ქვეყანაში არსებული მინერალურ-სანედლეულო ბაზის ათვისება, მისი ეფექტიანი გამოყენება, გადამამუშავებელი მრეწველობის და მთლიანობაში, ეკონომიკის მრავალი დარგის განვითარების ტემპები და მასშტაბები.

საქართველოში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების ყველასათვის კარგად ცნობილმა წინააღმდეგობრივმა პროცესებმა, რომლებიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს, მიიქმედო მდგომარეობაში ჩააყენა, როგორც მთელი მრეწველობა, ასევე საკვლევი დარგიც, კერძოდ, მოიშალა საწარმოო-ეკონომიკური და საბაზრო კავშირები,

რის გამოც სამთო პროფილის საწარმოები მოწვევტილი აღმოჩნდა ტექნიკურ-ტექნოლოგიური განახლების, საინვესტიციო წყაროების და გასაღების ბაზრებისაგან. ცხადია, ამ და სხვა უარყოფითმა ფაქტორებმა, თავისი კვალი დაამჩნია საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას და მის შესაბამის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ეფექტიანობას.

როგორც 1-ელ და მე-2 ცხრილიდან ჩანს, 1980-1995 წლებში სამთო მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში სამივე ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა და ამასთან, თითოეული მათგანის მიხედვით სტრუქტურული ცვლილებები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. მაგალითად, პროდუქციის მიხედვით ნახშირის მრეწველობის ხვედრითი წილი სამთო მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში 1980 წელს დაეცა 23,7%-დან 3,5%-მდე, 1995 წელს 0,4%-მდე 2000 და 2008 წელს; იმავე პერიოდში, მომუშავეთა მიხედვით – 25,9%-დან 18,4%, 10,9% და 5,8%-მდე,

ხოლო, ძირითადი კაპიტალის მიხედვით 28%-დან 18,8%, 10,1% და 3,9%-მდე. ყველა მაჩვენებლის მიხედვით ასევე, შემცირდა მანგანუმის მრეწველობისა და სამთო-ქიმიური მრეწველობის ხვედრითი წილი. სამაგიეროდ, ზემოაღნიშნულ წლებში სამრეწველო პროდუქციის მიხედვით სპილენძის მრეწველობის ხვედრითი წილი მკვეთრად გაიზარდა – 4,4%-დან 61,9%-მდე, მომუშავეთა და ძირითადი კაპიტალის მიხედვით კი – შედარებით უმნიშვნელოდ; ლითონური მადნის მოპოვების მიხედვით – სამრეწველო პროდუქციის წარმოების ხვედრითი წილი 2000-2008 წწ. გაიზარდა 42,6%-დან 54,2%-მდე. იმავე წლებში შემცირება აღინიშნა დასაქმებულების მიხედვით 56,3%-დან 33,3%-მდე და ძირითადი კაპიტალის მიხედვით 49,14%-დან 22,5%-მდე; დარგობრივ სტრუქტურაში მეტ-ნაკლები ცვლილებები მოხდა სხვა ქვედარგების მიხედვითაც, ხოლო ქვედარგების და საწარმოების ნაწილმა საერთოდ შეწყვიტეს ფუნქციონირება.

**ცხრილი 1**

საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა 1980 – 1995 წწ. %

მაჩვენებლები	სამრეწველო პროდუქციის მიხედვით				მომუშავეთა მიხედვით				ძირითადი კაპიტალის მიხედვით			
	1980	1985	1990	1995	1980	1985	1990	1995	1980	1985	1990	1995
დარგები/წლები	1980	1985	1990	1995	1980	1985	1990	1995	1980	1985	1990	1995
სამთო მრეწველობა, სულ მათ შორის	100.0	00.0	00.0	100.0	100.0	100.0	00.0	100.0	00.0	100.0	00.0	00.0
ნახშირის მრეწველობა	23.7	14.6	6.8	3.5	25.9	23.1	20.4	18.4	28.0	23.8	22.6	18.8
ნავთობის მრეწველობა	14.5	11.4	1.56	18.3	2.5	2.5	2.2	5.4	12.4	17.4	14.4	15.2
მანგანუმის მრეწველობა	26.1	23.8	21.49	10.9	33.2	31.4	29.5	48.4	29.4	28.4	30.4	34.0
სპილენძის მრეწველობა	4.4	7.5	6.4	61.9	7.2	6.8	5.6	11.2	12.2	10.3	10.0	15.9
ტყვია-თუთიის მრეწველობა	0.8	0.9	0.7	- -	1.4	1.3	1.4	- -	1.5	2.0	1.8	- -
სამთო-ქიმიური მრეწველობა	10.8	12.2	1.65	1.8	8.1	8.0	8.9	7.2	6.8	7.3	10.0	5.5
საშენი მრეწველობის სამთო მოპოვებელი საწარმოები	15.9	21.9	- - -	- - -	15.1	18.1	- -	- -	7.5	7.8	- -	- -
დანარჩენი დარგები	3.8	7.7	51.4	3.6	6.6	8.8	32.0	9.4	2.1	3.0	10.8	10.5

1-ლი ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული თავისებურება ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში სამთო მრეწველობის განვითარება არასტაბილურობით ხასიათდება, რაც თავის მხრივ, განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: საკვლევ დარგში, შემაჯავალ ქვედარგებსა და საწარმოებში მართვის არასრულყოფილი დონე, სამთო წარმოების დაბალი ორგანიზაციულ-ტექნიკური მდგომარეობა, ფინანსური უზრუნველყოფის ნაკლებობა, გამოყოფილი უცხოური ინვესტიციების არამიზნობრივი გამოყენება, საკვლევ დარგში სტრუქტურული ცვლილებების დაბალი დონე და სხვა.

საერთოდ, საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა განსახილველ

წლებში წინააღმდეგობრივი ცვლილებებით ხასიათდება, რადგან ნახშირის, ნავთობის, მანგანუმის და სპილენძის მრეწველობათა ქვედარგები უფრო მეტად შრომატევადი და ფონდტევადია, ვიდრე მთელი სამთო მრეწველობის დარგი, რაც, თვით საკვლევ დარგის ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს. მართალია, 1995 წლიდან შეინიშნება, როგორც საკვლევ დარგის, ასევე მის ქვედარგთა ერთგვარი გამოცოცხლება, რაც უმთავრესად გასულ წლებში ნავთობის მრეწველობის და დღესდღეობით კი, ლითონური მადნის მოპოვების ზრდამ, ანუ სპილენძისა და მანგანუმის მრეწველობის რამდენადმე წარმატებულმა ფუნქციონირებამ განაპირობა, თუმცა, რთული ვითარება რიგ ძირითად ქვედარგებში ჯერ კიდევ გრძელდება.

## ცხრილი 2

საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა  
2000 – 2008 წწ. %

მაჩვენებლები	სამრეწველო პროდუქციის მიხედვით			დასაქმებულთა მიხედვით			ძირითადი კაპიტალის მიხედვით		
	2000	2005	2008	2000	2005	2008	2000	2005	2008
დარგები/წლები	2000	2005	2008	2000	2005	2008	2000	2005	2008
სამთო მრეწველობა – სულ, მათ შორის	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ნახშირის მრეწველობა	0.4	0.4	- - -	10.9	5.8	- - -	10.1	6.7	- - -
ნავთობის მრეწველობა	52.6	27.2	- - -	15.6	11.6	- - -	31.34	24	- - -
ლითონური მადნის მოპოვებელი მრეწველობა	42.6	61.6	59.1	56.3	66.3	37.2	49.14	52.9	17.1
სამთო მრეწველობის სხვა დარგები	4.4	10.8	12.1	17.2	16.3	34.9	9.42	16.4	6.9

მე-2 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ მიუხედავად 1996-2008 წლებში მიღწეული წარმოების ზრდისა, საკვლევ დარგის საწარმოების მიერ ვერ იქნა დაძლეული 1991-1995 წლების ჩამორჩენა და წარმოების მოცულობის 1990 წლის დონესთან მიღწევა. მიუხედავად საწარმოების რიცხოვნობის ზრდისა, 1990-2008 წლებში ადგილი ჰქონდა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას. ასე მაგალითად, თუ 1990 წელს საკვლევ დარგში დასაქმებული იყო 25831

კაცი, 2008 წელს მათი რაოდენობა 6-ჯერ შემცირდა და 4300 კაცი დარჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამთო მრეწველობის ეფექტიანობა რამდენადმე ჩამორჩება მთელი მრეწველობის ეფექტიანობის დონეს და როგორც საკვლევ დარგი, ასევე მთელი მრეწველობაც არათანაბრად, არასტაბილურად ვითარდება, რაც დასტურდება შემდეგი ეკონომიკური მაჩვენებლებითაც. თუ 2007-2008 წწ.-ში მთელ მრეწველობაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 6.7%-ით, ანუ 3583.3 მლნ. ლარიდან 3821.8 მლნ. ლა-

რამდე, სამთო მრეწველობაში შეინიშნებოდა იგივე მაჩვენებლის შემცირება 277.3 მლნ. ლარიდან 262.0 მლნ. ლარამდე, ანუ 9.5%-ით. შესაბამისად, სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის ინდექსი მთელ მრეწველობაში შემცირდა 115.5%-დან 97.1%-მდე, სამთო მრეწველობაში კი, – 123.0%-დან 109.3%-მდე. ასევე, დაეცა საკვლევი დარგის ხვედრითი მოცულობის წილიც მთელ მრეწველობაში 7.7%-დან 6.9%-მდე. ზემოაღნიშნულ წლებშივე დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა შემცირდა როგორც მთელ მრეწველობაში 88.4 ათასი კაციდან 85.7 ათას კაცამდე, ანუ 9.7%-ით, ასევე, სამთო მრეწველობაშიც 4.5 ათასი კაციდან 4.3 ათას კაცამდე, ანუ 9.6%-ით. დანარჩენ ეკონომიკურ მახასიათებლებშიც აღინიშნება გარკვეული უთანაბრობები და წინააღმდეგობები.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული შეფასება გამომდინარეა ობიექტური ეკონომიკური კანონებიდან და იგი განპირობებულია მთლიანად საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში დროის გარკვეულ პერიოდებსა და ინტერვალებში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებებით და ძვრებით.


მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნორმალური განვითარების პირობებში სტრუქტურული ცვლილებები ბუნებრივია პროგრესული დარგების ხვედრითი წილის ზრდისა და სხვა დარგების ხვედრითი წილის შემცირების გამო. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ლითონურების (სპილენძისა და მანგანუმის მრეწველობის) მოპოვების ხვედრითი წილის ამაღლება და ნახშირისა და სამთო-ქიმიური მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირება სხვა თანაბარ პირობებში გამართლებულად ჩაითვლებოდა, მაგრამ ჩვენ პირობებში, როდესაც მთლიანად საკვლევი დარგის განვითარების დონე არსებითად არსახარბიელაა, ძნელია ერთმნიშვნელოვანი შეფასების მიცემა. ამასთან, ნახშირის მრეწველობის ასეთი მკვეთრი დაცემა და სპილენძის წარმოების მკვეთრი ამაღლება არაბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, სამთო მრეწველობა შესაბამისი პროფილის ქვედარგებისა და საწარმოების ერთობლიობაა, რომელიც ხასიათდება წარმოებული პროდუქციის ეკონომიკური და ფუნქციური დანიშნულების თავისებურებებით, გამოყენებული მანქანა-მოწყობილობების, მასალების, კადრების და მუშაობის სპეციფიკური პირობებით, სადაც საკვლევი დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა-განვითარების საქმესა და ახალი ქვედარგების ფორმირებაში, საბაზრო ოპტიმალური კონიუნქტურის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ფონდუკუგებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ფონდტევადობისა და

შრომატევადობის რაციონალური თანაფარდობის განსაზღვრა. აქ გაითვალისწინება წლების მანძილზე ჩამოყალიბებული საკვლევი დარგობრივი სტრუქტურის თვისობრივი ცვლილებების კვალობაზე, ახალ საბაზრო პრინციპებს მორგებული საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ მიზნით, სახელმწიფო და ადგილობრივი დანიშნულების მინერალურ-სანედლეულო ბაზაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია, სტრატეგიული და პრიორიტეტული ქვედარგების განსაზღვრის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ნედლეულის შემდგომი გადაამუშავების პრინციპით, რათა მრავალდარგოვანი საქმიანობით (წარმოების დივერსიფიკაცია) მიღებული ძვირფასი და ძვირადღირებული პროდუქტები კონკურენტუნარიანი იყოს. თუმცა, ამ ქვედარგების ფუნქციების ცალსახად განსაზღვრა, ვფიქრობთ, არაა გამართლებული და მნიშვნელოვანია სიტუაციური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათი ფუნქციური მიმართულებების გადანაწილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრატეგიულ ქვედარგებს (საექსპორტო პროდუქციის წარმოების მიზნით) შეიძლება მივაკუთვნოთ: მანგანუმის მრეწველობა, სპილენძის მრეწველობა, სამთო-ქიმიური მრეწველობა; ხოლო, პრიორიტეტულ ქვედარგებს (ქვეყნის შიდა მოთხოვნათა გათვალისწინების მიზნით) კი, – ნახშირის მრეწველობა, ნავთობმომპოვებელი მრეწველობა, საშენი მრეწველობის სამთო მოპოვებელი მრეწველობის ქვედარგები. ფუნქციების მიმართულებები შეიძლება გადანაწილდეს შემდეგი სახის სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ქვედარგებში: ნავთობმომპოვებელი მრეწველობა (იმ შემთხვევაში, თუ ქართული ნავთობის გამოყენების მიმართ მიდგომა შეიცვლება), ტყვია-თუთის მრეწველობა (სამაჩაბლოსთან მიმართებაში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფაქტიური აღდგენის შემდეგ), სპილენძის მრეწველობა, სამთო-ქიმიური მრეწველობა, საშენი მრეწველობის სამთო მოპოვებელი მრეწველობის ქვედარგები.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში აქტუალურია, საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით, ადრე არსებული და ახალი ქვედარგების აღდგენა-ფორმირების შესაძლებლობების გათვალისწინებით, სახელდობრ, ადგილობრივი მინერალური რესურსებისა და ნედლეულის ათვისება-გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: ბუნებრივი გაზის და თერმული წყლების, ქიმიური, აგროქიმიური, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების, კვების მრეწველობის და კერამიკული მინერალური რესურსების, მეტალურგიული რესურსების, მინის ტარისა და მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებელი მრეწველობები.

საქართველოს სამთო მრეწველობის  
დარგობრივ სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორები



საკვლევი დარგის სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მიმდინარე პერიოდისა და შორეული პერსპექტივისათვის გათვალისწინებული კონცეფციის, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის პროგრამების და შესაბამისი სახელმწიფო სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. ხოლო, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების საკითხების განხილვისას დასახული მიმართულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ქვეყნისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთკავშირების დამყარებას, სადაც გაითვალისწინება ქვეყნის მეწარმეებისა და ბიზნესმენების, აგრეთვე, უცხოელი ინვესტორების ფინანსური რესურსების მოზიდვისა და უცხოეთიდან მოწინავე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების, ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევის წამახალისებელი და დამცავი მექანიზმები. აგრეთვე, ქვეყნის საწარმოებს შორის, უცხოეთის საწარმოებთან (ფირმებთან) საწარმო-ეკონომიკური კავშირების განვითარების ღონისძიებები [1. გვ. 55-57].

შესწავლილი მასალებისა და ჩატარებული ანალიზის გათვალისწინებით, საქართველოში

გრძელდება რა მინერალურ-სანედლეულო ბაზის ათვისების სფეროში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება-დამკვიდრების რთული პროცესი, მისი ეფექტიანად წამართვის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, საკვლევ დარგში დასახვეწია ეკონომიკური რეფორმების თეორიულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა, მათი მიზნების მიღწევის რეალური გზები და მექანიზმები, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა, ინვესტიციური აქტიურობისა და სამრეწველო საქმიანობის რეგულირებისა და სტიმულირების მიმართულებები, საკუთრების სხვადასხვა ფორმის, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების კოორდინირებული მოქმედებისა და ოპტიმალური შეთანაწყობის გარემოს წარმომქმნელი პირობები.

ამრიგად, საქართველოს სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრა საბაზრო პრინციპების მოთხოვნათა და ამ სტრუქტურაზე მოქმედ ფაქტორთა შესაბამისად (იხ. ნახ. 1), ითვალისწინებს მისი პროგრესული, მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი ქვედარგების და საწარმოების უპირატეს ზრდას და მათი ხვედრითი წილის გადიდებას, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა თითოეულ ქვედარგში წარმოების ზრდის ხარჯზე. ასეთი დარგების, ქვედარგებისა და შესაბამისი საწარმოების წარმატებული

ფუნქციონირება-განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ შექმნას დარეგულირების მექანიზმები და ისეთი მაკროეკონომიკური და ბიზნესის გარემო ეფექტიანი სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრუქტურული ცვლილებების შემუშავება-მიზანმიმართული განხორციელებისათვის. ამ პრობლემის გადასაწყვეტი საკითხებია: საკვლევ დარგში მენეჯმენტის სრულყოფა, ინვესტიციურ საქმიანობათა დარგობრივი და რეგიონული პრიორიტეტების ჩამოყალიბება, მათი სათანადოდ ორგანიზაცია და მართვა, მარეგულირებელი და მასტიმულირებელი საგადასახადო და შეღავათიანი საკრედიტო მექანიზმების განსაზღვრა, საკვლევი დარგის ინტენსიური გზით განვითარება, ახალი და ერთობლივი საწარმოების მშენებლობა, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით და მრავალდარგოვანი საქმიანობით (წარმოების დივერსიფიკაცია) კონკურენტუნარიანი პროდუქციის (პროდუქტების) წარმოება, მათ ბაზაზე შიგა მოთხოვნილებებისა და საექსპორტო შესაძლებლობების გათვლა, დარგობრივი და რეგიონული სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი რაციონალური ეკონომიკური კავშირების დამყარება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურად გათვალისწინება-ამოქმედება და ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია. აქ გაითვალისწინება მინერალური რესურსების საბადოების სხვადასხვა სასარგებლო კომპონენტების, გადახსნითი ქანებისა და წარმოების ნარჩენების კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, წიაღში დანაკარგებისა და მოპოვებული წიაღისეულის გადარბების შემცირება, უნარჩენო და მცირენარჩენიანი კომპლექსების შექმნა და გარემოს დაცვის საკითხების ამაღლება, რომელთა განხორციელება საგრძნობ წვლილს შეიტანს საკვლევი დარგის და მთლიანობაში, ჩვენი ქვეყნის ცალკეული სამრეწველო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში.

### 3. დასკვნა

საქართველოს მიმდინარე და პერსპექტიული ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ამოცანების გადაწყვეტაში, საკვლევი დარგის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულია; სამთო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა როგორც დინამიკური პროცესისა, უნდა მოხდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადგილობრივ თავისებურებათა და შესაძლებლობათა

შესაბამისად, სადაც მნიშვნელოვანია წიაღისეული რესურსების, – მათი მოპოვების, ადგილზე გადამუშავებისა და პროდუქციის მასშტაბური წარმოება, საწარმოო სიმძლავრეების – მათი გაზრდის აუცილებლობისა და პირობების, შრომითი რესურსების – მათი პროფესიულ-კვალიფიციური მახასიათებლების გათვალისწინება. ამ მიზნით, უნდა განისაზღვროს შესაბამისი, როგორც სტრატეგიული, ასევე პრიორიტეტული დარგები, ქვედარგები და წარმოებები, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირების აქტუალური საკითხების გადაწყვეტა ბაზრის მოთხოვნებთან ერთად უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ სამრეწველო პოლიტიკის შესაბამისი, ხელსაყრელი და აუცილებელი დამცავი ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური ბაზის შექმნის პირობებით.

### ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, შ. ვეშაპიძე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, 2002. - 312. გვ.
2. პ. გარუნავა, ს. სოსელია. მრეწველობის ეკონომიკა. I ნაწილი. თბილისი: სიახლე, 2000. 316. გვ.
3. ნ. სანთელაძე. სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების საკითხისათვის. შრომების კრებული. ტ. II. თბილისი, „ექსპსკი“-ის გამომცემლობა, 1997, №1-2, გვ. 420-437.
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2009, თბ., საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2009, გვ. 322.
5. ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება), ნაწილი II, თბ., „ექსპსკი“-ის გამომცემლობა, 1999, გვ. 263.
6. დ. ჩომახიძე. საქართველოს მრეწველობის დარგების განვითარების კონცეპტუალური საკითხები, შრომების კრებული, ტ. II, თბილისი, „ექსპსკი“-ის გამომცემლობა, 1997, №1-2, გვ. 446-455.
7. Дзидзигури А.А., Бетанели К.П. и др. Минеральные ресурсы Грузии и проблемы их рациональной разработки. Тбилиси: Мецниереба, 1991. - 279. с.
8. Друзик Я.С. Мировая экономика на финише века. Минск: Издательский центр «Экономпресс» 1997. - 415. с.
9. Кудров В.М., Шенаев В.Н., Володин А.Н. и др. Европа и Россия, опыт экономических преобразований, М.: Наука, 1996. - 480. с.

UDC 338.24.021.8

**CURRENT ISSUES OF THE GEORGIAN MINING INDUSTRY STRUCTURE****G. Lomsadze, G. Lobjanidze**

Department of engineering geodesy, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Developing a common structure of the various sectors of the Georgian mining industry is crucial to the economic growth of the country. Toward this end, it is important to give priority to the branches, that define economic efficiency of the industry as a whole and put in place state policy geared toward supporting the industry.

**Key words:** market economics; industrial and economic policy; economic efficiency; improvement of management; economics of the mining industry; structure of branch.

УДК 338.24.021.8

**АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ ОТРАСЛЕВОЙ СТРУКТУРЫ ГОРНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ****Ломсадзе Г. И., Лобжанидзе Г.З.**

Департамент инженерной геодезии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Изучены и проанализированы основные технико-экономические показатели отраслевой структуры горной промышленности Грузии в прошедшем периоде и в период перехода на рыночную экономику; выявлены характерные для нее специфические особенности и разработаны предложения и рекомендации по развитию отрасли, подотраслей и предприятий горного профиля, с учетом их стратегического и приоритетного назначения.

**Ключевые слова:** рыночная экономика; промышленная и экономическая политика; экономическая эффективность; совершенствование менеджмента; экономика горной промышленности; отраслевая структура.

*შემოსვლის თარიღი 25.12.09**მიღებულია დასაბუტვად 01.03.10*

შპს 551.49:553.7

**ჯალადიდის ნავთობსაბადო მთავრობის პოლიტიკის მიხედვით თანამედროვეობის****უ. ზეიდაძე, ხ. ავალიანი, მ. მარდაშოვა**

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: m\_mardashova@gtu.ge

**რეზიუმე:** ნავთობის საბადოების ძებნა-ძიების საქმეში ტრადიციულ მეთოდებს შორის გარკვეული ადგილი ჰიდროგეოქიმიურ მეთოდს უჭირავს, კერძოდ, ქიმიურ-არაორგანული მანვენებლების გამოყენებას არაპირდაპირ საძიებო კრიტერიუმებად. სტატიაში განხილულია ჯალადიდის მოედანზე ნავთობის მსხვილი ბუდობის შესაძლო არსებობის საკითხი სპექტრული ანალიზის იმ პოზიტიური შედეგებიდან გამომდინარე, რომლებიც მიღებულ იქნა ტერიტორიის წნევიან წყლებში ნავთობისთვის დამახასიათებელი ტიპომორფული ქიმიური ელემენტების მაღალი შემცველობის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ნავთობშემცველი მოედანი; თანამხლები წყალი; მიკროკომპონენტები; კოლექტორი.

**1. შესავალი**

ნავთობგამოვლინების ამა თუ იმ მოედნის ჰიდროგეოქიმიურ თანამხლებურებზე მსჯელობისას შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიღებულია ნავთობის თანამხლებ წყალში ე. წ. “მიკროკომპონენტების” შემცველობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი. ტერმინი “მიკროკომპონენტი” შემოღებულია ჰიდროგეოქიმიაში იმ ქიმიურ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც ძალზე




მცირე რაოდენობით ( $10^{-2} \div 10^{-5}\%$ ) გვხვდება ბუნებრივ, მათ შორის, ნავთობის წყლებში [1; 2]. ნავთობის საბადოებთან დაკავშირებულ მიწისქვეშა წყლების (“თანმხლები წყლები”) შემთხვევაში მიკროკომპონენტები შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნეს არაპირდაპირ ჰიდროქიმიურ მანვერებად ნავთობისა და აირის საბადოების ძიებისას, რადგანაც მრავალრიცხოვანი მონაცემებით [3; 4] დადასტურებულია, რომ მთელი რიგი მიკროკომპონენტების (*V, Ni, Ge, Hg, Pb* და სხვ.) დაგროვება მიწისქვეშა წყლებში ხშირად დაკავშირებულია მიწის ქერქში ნახშირწყალბადების გენერაციასთან. კერძოდ, ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ნავთობის წყლებისთვის დამახასიათებელ ლითონებს შორის გამოიყოფა ელემენტთა ჯგუფი, რომელიც ერთგვარად “პრიორიტეტულია”, როგორც ჰიდროქიმიური საძიებო მანვერებელი, რაც საშუალებას გვაძლევს შესასწავლი ელემენტების რაოდენობა შევზღუდოთ და კვლევები უფრო მიზანმიმართულად ვაწარმოოთ.

სწორედ ამ კუთხით არის გაშუქებული წინამდებარე სტატიაში ჭალადიდის ნავთობსაძიებო მოედნის ჰიდროგეოქიმიის სპეციფიკური საკითხი.

**2. ძირითადი ნაწილი**

ჭალადიდის ნავთობშემცველი მოედნის ფარგლებში, რომელიც ტერიტორიულად ხობის ადმინისტრაციულ რაიონს მიეკუთვნება, ორი, დასავლეთი და აღმოსავლეთი უბნები არის ბურღვით დადიებული. ჭაბურღილების სიღრმეები  $1650 \div 4600$  მ. ფარგლებში იცვლება. ყველაზე ღრმა ჭაბურღილი №4 (4608.0 მ) აღმოსავლეთი უბნის პერიფერიაზე გაყვანილი და მისი სანგრევი ზედა იურის ( $J_3$ ) ქანებში თავსდება. მოედნის ტექტონიკური სურათი ორივე უბანზე თითქმის ანალოგიურია. ორივეგან ბრაქიანტიკლინური ნაოჭი არის განვითარებული, რომელთა დერძები ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისკენ არის მიმართული. ნაოჭის გეომეტრიულ ზომებში მცირეოდენი განსხვავებაა: აღმოსავლეთის უბანზე ნაოჭის სიგრძე 5 კმ-ია, სიგანე – 3 კმ; დასავლეთის უბანზე შესაბამისად, სიგრძე – 8 კმ, სიგანე – 5 კმ. რღვევითი დისლოკაციები არც ერთ უბანზე არ აღინიშნება, სტრუქტურა მშვიდი აგებულებით ხასიათდება. ფრთების დახრილობა  $10-15^\circ$  არ აღემატება. განსახილველი ნავთობშემცველი მოედნის გეოლოგიურ აგებულებაში პლიოცენის ტერიგენული ნალექები და პალეოგენის და ცარცის კარბონატულ-ტუფოგენური წყებები მონაწილეობს [5].



ნახ. 1. ჭალადიდის მოედნის სქემატური სტრუქტურული რუკა და გეოლოგიური ჭრილი I – I'

ნავთობის ბუდობზე ძიების მთავარ ობიექტს ზედა ცარცის კირქვების წყება წარმოადგენდა, რომლის სიმძლავრე ამ ტერიტორიაზე 300 მეტრს აღწევს. ჭალადიდის ორივე უბანზე საკმაოდ დიდი მოცულობის ბურღვითი სამუშაოები იქნა ჩატარებული, მაგრამ ზედა ცარცის ნალექებში ნავთობის სამრეწველო ბუდობი არ აღმოჩნდა. თუმცა, თითქმის ყველა ჭაბურღილში ბურღვის და დასინჯვის პროცესში ნავთობგამოვლინება აღინიშნებოდა, ხოლო №№ 9, 9ა და 4 ჭაბურღილებში გარკვეული დროის განმავლობაში ნავთობის ინტენსიურ შემოდინებას ჰქონდა ადგილი. საბოლოოდ, ზედა ცარცის ნავთობშემცველობაზე ნეგატიური შედეგის მიღების გამო, ჭალადიდის მოედანზე საძიებო ჭაბურღილების ბურღვა შეწყდა. მენავთობე გეოლოგების განმარტებით [5], ძიების შეწყვეტის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჭაბურღილების განლაგების უბანზე ძიების ობიექტი – ზედა ცარცის ნალექები გადარეცხილი აღმოჩნდა პალეოცენამდელი სტრატეგრაფიული ხარვეზით. ამ ფონზე ინტერესს მოკლებული არ არის გავეცნოთ

ჭალადიდში არსებული წყლიანი ჭაბურღილების ჰიდროქიმიური დასინჯვის შედეგებს.

განსახილველ ფართობზე გაყვანილი ჭაბურღილებით გახსნილია წნევიანი მიწისქვეშა წყლები, რომელთა საერთო ქიმიური და მიკროკომპონენტური ანალიზით ირკვევა, რომ ისინი ნავთობის ბუდობისთვის დამახასიათებელი ტიპური თანხლები წყლებია. საერთო მინერალიზაციის სიდიდით, რომელიც 64.4-დან 106.7 გ/ლ იცვლება, ჭალადიდის მიწისქვეშა წყლები გაცილებით აღემატება საქართველოს ყველა დანარჩენი ნავთობშემცველი მოედნების მიწისქვეშა წყლებს. ნავთობსაძიებო ჰიდროგეოლოგიაში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით [6], ეს ქლორ-კალციუმიანი ტიპის წყლებია, რომელთა ფორმირება ძალზე გაძნელებული ცირკულიაციის და აღდგენითი გარემოს პირობებში დიდ სიღრმეებზე მიმდინარეობს. შესაბამისად, მაღალია განსახილველი წყლების მეტამორფიზმის ხარისხიც, რაზეც მიანიშნებს ცალკეული მიკროკომპონენტების, სახელობრ, სტრონციუმის, ბრომის, ტყვიის და სხვა ანომალიურად მაღალი შემცველობები (იხ. ცხრილი).

მიკროკომპონენტები ჭალადიდის უბნის მიწისქვეშა წყლებში



№№	მიკროკომპონენტების დასახელება	შემცველობა ნავთობის წყლებში, C <sub>1</sub> , მგ/ლ	შემცველობა ოკეანის წყალში, C <sub>2</sub> , მგ/ლ	შეფარდება C <sub>1</sub> :C <sub>2</sub>
1	ლითიუმი	1.15	0.15	7.7
2	რუბიდიუმი	0.6	0.2	3.0
3	ცეზიუმი	0.234	0.00037	632.4
4	სპილენძი	0.925	0.003	308.3
5	თუთია	1.8	0.01	180.0
6	კადმიუმი	0.66	0.0001	6600.0
7	ბორი	16.32	4.6	3.5
8	ტყვია	7.6	0.00003	253333.3
9	მანგანუმი	11.5	0.002	5750.0
10	რკინა	16.882	0.01	1688.2
11	ბრომი	24.995	66	0.4
12	იოდი	19	0.05	380.0
13	კობალტი	5.2	0.0005	10400.0
14	ნიკელი	7.117	0.002	3558.5
15	სტრონციუმი	365.225	8	45.7
16	კალიუმი	211.62	387.5	0.5

ჭალადიდის უბანზე ჭაბურღილებით გახსნილი წნევიანი მიწისქვეშა წყლები სივრცობრივად ზედა იურის თიხა-მერგელოვან, კერძოდ, კიმერიჯ-ტიტონის ე.წ. “ფერად წყებასთან” არის დაკავშირებული, რომელიც თაბაშირიანი და

ანჰიდრიტიანი (ნაწილობრივ, ჰალიტიანი) შრეებით არის აგებული, რეგიონული გავრცელებისა და წყალგაუმტარ საგებად უდევს ნეოკომის წყალშემცველ პორიზონტს [7].

განსახილველი წყლები არ მიეკუთვნება ქვედა ცარცის (ნეოკომი) წყლებს, რადგანაც კოლხეთის დაბლობის ფარგლებში ვერტიკალური ჰიდროდინამიკური ზონალობა დარღვეულია და შესაბამისად, ჰიდროქიმიურ ინვერსიასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს არტეზიული აუზების ჭრებში ნეოკომის აზოტიანი წნევიანი წყლები დაბალმინერალიზებულია და ჰიდროკარბონატულ-სულფატური ქიმიური შედგენილობისაა. ნეოკომის წყალშემცველი პორიზონტი ზემოდან შემოსაზღვრულია ზედა ცარცის და პალეოგენის ქლორიდულ-ნატრიუმიანი მეთანიანი წყლებით, ხოლო ქვემოდან, როგორც

აღნიშნეთ, კიმერიჯ-ტიტონის “ფერადი წყების” და ბაიოსის ვულკანოგენურ-დანალექი ქანების მაღალმინერალიზებული ქლორიდულ-კალციუმიანი წყლებით. ბაიოსის ვულკანოგენებიდან კიმერიჯ-ტიტონის ფერად წყებაში ქლორ-კალციუმიანი წნევიანი წყლის მიგრაცია სავსებით რეალურია. დამახასიათებელია, რომ ცალკეული მიკროკომპონენტების შემცველობის მხრივ ჭალადიდის წყლები მნიშვნელოვნად აჭარბებს საქართველოს ყველა ცნობილი საბადოს და ნავთობგამოვლინების უბნებისთვის კრებსითად ნაანგარიშეც საშუალო შემცველობებს (ნახ. 2).



ნახ. 2. მიკროკომპონენტების შემცველობების შედარება

ნახაზიდან მკაფიოდ ჩანს მიკროკომპონენტების კონცენტრაციებს შორის დიდი განსხვავება, ერთი მხრივ, ჭალადიდის ნავთობის თანმხლებ წყალსა და, მეორე მხრივ, დანარჩენი ნავთობ-შემცველი მოედნების მიწისქვეშა წყლებს შორის. ადგილი რომც არ ჰქონოდა სხვა პირდაპირი მანველებების (ნავთობის შემოღინება, საწვავი აირის თანხლება და ა.შ.) არსებობას, მარტო მი-

წისქვეშა წყალში ნავთობის ტიპომორფული ქიმიური ელემენტების მაღალი შემცველობის ფაქტი იკმარებდა სტრუქტურის ნავთობშემცველობაზე დადებითი დასკვნის გამოსატანად.

ანალოგიური სურათი აღინიშნება ნავთობის წყლებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ტიპომორფული ელემენტის – სტრონიციუმის შემთხვევაში. ჭალადიდში ამ ელემენტის შემცველობა

58.7 მგ/ლ შეადგენს, ხოლო ყველა დანარჩენი საბადოსთვის ნაანგარიშევი საშუალო კონცენტრაცია 30.3 მგ/ლ არ აღემატება. დამახასიათებელია, რომ ნავთობის წყლებში ტიპომორფული მძიმე ლითონების - *Pb*, *Ni*, *Co*, *Cd* კონცენტრირების დადგენილი თანამიმდევრობა შენარჩუნებულია ჭალადიდის ნავთობშემცველი მოედნის მიწისქვეშა წყლებშიც:  $Pb > Ni > Co > Cd$ .

თუ შევაჯამებთ ზემოთ აღწერილ ფაქტობრივ მასალას, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ჭალადიდის უბანზე ჭაბურღილებით გახსნილი წნევიანი მიწისქვეშა წყლები როგორც საერთო ქიმიური, ასევე მიკროკომპონენტური შედგენილობით ტიპური ნავთობის წყლებია. მეორე მხრივ, ნავთობის სამრეწველო დანაგროვები აქ ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. საყურადღებოა, რომ ჭალადიდის გეოლოგიურ ჭრილში ნავთობწარმომქმნელი, ე.წ. “დედა ქანი” (მაგალითად, მაიკოპის ბიტუმიანი წყება) არ გვხვდება და ჭრილი უმთავრესად ტუფოგენურ – კარბონატული ქანებით არის აგებული. ამ პირობებში სავარაუდოა, რომ ჭრილის ზედა ფენებში ნავთობის ტიპური წყლების პირველწყაროს დიდ სიღრმეზე განლაგებული მძლავრი ნავთობწარმომქმნელი წყება უნდა წარმოადგენდეს (ვთქვათ, იურის ქვედა შრეები). მაგრამ წყალთან ერთად ადგილი უნდა ჰქონოდა ნავთობის მიგრაციასაც, რომელიც შეიძლება დაგროვილიყო ბაიოსის გულკანოგენური წყების ხელსაყრელ სტრუქტურებში. ბაიოსში ამგვარი სტრუქტურების არსებობის შესაძლებლობას ადასტურებს ლაბორატორიული კვლევის მონაცემები [8], რომლის მიხედვითაც ბაიოსის და ზედა ლიასის ქვიშაქვების ფორიანობა 10 – 20%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო შეღწევადობა 30-დან 60 მლ/დარსამდე შეადგენს.

### 3. დასკვნა

ჭალადიდის ნავთობსაძიებო მოედნის ფარგლებში გაყვანილი ჭაბურღილებით გახსნილია წნევიანი მიწისქვეშა წყლები, რომლებშიც ნავთობის წყლებისთვის დამახასიათებელი ტიპომორფული ქიმიური ელემენტების – იოდის, ბრომის, სტრონციუმის, ტყვიის, ნიკელის და ა.შ. მაღალი კონცენტრაციები არის დადგენილი, რაც ადასტურებს აღნიშნული წყლების ნავთობის ბუდობთან გენეტიკური და სივრცობრივი კავშირის ფაქტს. ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მაღალი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ ნავთობწარმომქმნელი ორგანული ნივთიერებით გამდიდრებული წყება ლიასის თიხაფიქლებია, ხოლო ნავთობის ბუდობის ჩამოყალიბებას ადგილი უნდა ჰქონდეს ბაიოსის გულკანოგენებში.

### ლიტერატურა

1. Посохов Е.В. Общая гидрогеология. Л.: Недра, 1975. - 208 с.
2. Овчиников А.И. Гидрогеохимия. М.: Недра, 1970. - 200 с.
3. Звиаддзе У.И. К вопросу распределения микрокомпонентов в подземных водах нефтяных месторождений Восточной Грузии. - В кн. Маломинерализованные воды глубоких горизонтов нефтегазоносных провинций. Киев: Наукова думка, 1985. - 280 с.
4. Коробов Д.С. Распределение рассеянных элементов в водах и породах нефтяных месторождений Саратовско-Волгоградского Поволжья и их значение для поисков нефти // Ядерная геофизика. М.: Гостоптехиздат, 1963.
5. Силагадзе Г.К., Маргвелашვილი Л.Д. Геологический отчет по теме: «Обобщение данных бурения глубоких и структурно-картировочных скважин на нефть и газ на площадях Производственного объединения «Грузнефть» с 1930 по 1975 г.г. Фонды ПО «Грузнефть», 1976.
6. Сулин В.А. Гидрогеология нефтяных месторождений. М.: Гостоптехиздат, 1948. - 205 с.
7. ბ. ზაუტაშვილი, ი.ლომინაძე, ხ. ავალიანი. კოლხეთის გეოფიქტრაციული ზონალობა”. სამთო ჟურნალი 2 (15), 2005 წ.
8. Чичуа Б.К., Каличава К.П. Микая Л.А. К вопросу о влиянии начального метаморфизма (катагенеза) на общую пористость песчаников и глинистых пород. - В кн. «Материалы по геологии нефтегазоносности Грузии» // Тр. ВНИГНИ, вып. XI. М.: Недра, 1967.

UDC 551.49:553.7

## THE HYDROGEOCHEMICAL PECULIARITIES OF CHALADIDI OIL-PROSPECTING AREA

U. Zviadadze, Kh. Avaliani, M. Mardashova

Department of geology, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Among the traditional methods of oil deposits prospecting the certain place belongs to hydrogeochemical method, in particular use of chemical – inorganic indicators as indirect exploratory criterion. There is considered question of possible availability of oil large deposit on Chaladidi area, coming out from positive results of spectral analysis, received from point of view of high contents in pressure waters of territory characteristic for oil typomorphic chemical elements.

**Key words:** oil-bearing area; following water; microcomponents; collector.

УДК 551.49:553.7

**ГИДРОГЕОХИМИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ НЕФТЕПОИСКОВОЙ ПЛОЩАДИ ЧАЛАДИДИ****Звиададзе У.И., Авалиანი Х.А., Мардашова М.Л.**

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В деле поисков и разведки нефтяных месторождений среди традиционных методов определенное место занимает гидрогеохимический метод, в частности, использование химико-неорганических показателей в качестве косвенных поисковых критериев. В статье рассмотрен вопрос возможного наличия крупной залежи нефти на Чаладидской площади, исходя из позитивных результатов спектрального анализа, полученных с точки зрения высоких содержаний в напорных водах территории характерных для нефтей типоморфных химических элементов.

**Ключевые слова:** нефтеносная площадь; попутная вода; материнская порода; микрокомпоненты; коллектор.

*შემოსვლის თარიღი 12.02.10**მიღებულია დასაბეჭდად 15.02.10***შპს 551.76 (479.22)****კახეთის ადრესარმატული დროის მცენარეულობა და ჰავა (პალინოლოგიური მონაცემების საფუძველზე)****ი. კოკლაშვილი**

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: samto@gtu.ge; irma@argosoft.com

**რეზიუმე:** ლანდშაფტურ-ფიტოცენოლოგიური მეთოდის გამოყენების საფუძველზე ადრესარმატული დროის განმავლობაში გამოყოფილია მცენარეულობის და კლიმატის განვითარების სამი ეტაპი, რომელიც საფუძვლად დაედო გომბორის ჭრილის ქვედასარმატული ნალექების წერილ ერთეულებად – პალინოზონებად დანაწილებას.

**საკვანძო სიტყვები:** აღმოსავლეთ საქართველო; კახეთი; ქვედასარმატული ნალექები; ლანდშაფტურ-ფიტოცენოლოგიური მეთოდი.

**1. შესავალი**

საქართველოში სარმატული ნალექები ფართოდაა გავრცელებული და ფაუნისტური მონაცემების მიხედვით სამ ქვესართულად იყოფა: ქვედა (ვოლინური), შუა (ბესარაბიული) და ზედა (ხერსონული).


ადრესარმატული დროისათვის დამახასიათებელია ამიერკავკასიის მთებს შუა არის დაპირვის ტენდენცია და ზღვის საზღვრების გაფართოება, რამაც გამოიწვია ქვედასარმატული ნალექების სიმძლავრის გაზრდა. ფაუნის თავისებურებანი, კი მტკნარი აუზის არსებობაზე მიუ-

თითებს [1,2]. ამ აუზიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით განლაგებული იყო განედური მიმართულების მთის ქედები (ნახ. 1).


შუასარმატულის დასაწყისში პალეოგეოგრაფიული და ტექტონიკური ვითარების რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. აქტიური ტექტონიკური მოძრაობები მხოლოდ შუასარმატულის მეორე ნახევარში გამოვლინდა. ამ დროიდან იწყება ზღვის გამარჩხების, მისი ზომების შემცირების პროცესი და თიხიანი ფაციფესების შეცვლა თხელი წყლის უხეშმარცვლოვანი ნალექებით.

აღმავალმა ტექტონიკურმა მოძრაობებმა, რომლებიც შუასარმატულის ბოლოს დაიწყო, მაქსიმუმს გვიანსარმატულში მიაღწია და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე კონტინენტური რეჟიმი დამყარდა (ნახ. 2).

გვიანსარმატულში, ზღვის უკან დახვევის შედეგად, ქართლის დეპრესიასა და გარეკახეთის ნაწილში ხდებოდა დიდი სიმძლავრის ნალექების, ე.წ. ნაცხორის წყების, დაგროვება. კახეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაცხორის წყება გადადის ელდარის წყებაში, რომელიც მდინარე იორის მიმდებარე ტერიტორიაზე ზღვიური ნალექებით არის წარმოდგენილი.



ნახ. 1. საქართველოს ადრე- და შუასარმატულის პალეოგეოგრაფია [3]



ნახ. 2. საქართველოს გვიანსარმატულის პალეოგეოგრაფია [3]

სარმატული საუკუნის ბოლოს ზღვამ თითქმის დატოვა ამიერკავკასიის მთათაშუა არის აღმოსავლეთი ნაწილი და ამით დამთავრდა მიოცენური ზღვის ხანგრძლივი რეგრესია.


ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოში ზღვიური შრეებით წარმოდგენილია, ძირითადად, ქვედა და შუასარმატული ნალექები, რომლებიც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

## 2. ძირითადი ნაწილი

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექები პალეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია. ბოლო დრომდე არსებობდა ერთადერთი ნაშრომი, რომელშიც მოცემული იყო ქარ-

თლის ბურღილების მასალის პალეოლოგიური ანალიზი [4], მხოლოდ 2008-2009 წლებში გამოქვეყნდა ქართლის შუასარმატული ნალექების (ნადარბეხევისა და უფლისციხის ჭრილები) მიკროპალეონტოლოგიური და პალეოლოგიური კვლევის შედეგები [5,6]. რაც შეეხება კახეთს, აქ სარმატული ნალექები პალეოლოგიურად დღემდე შეუსწავლელია.

აღნიშნული ნაშრომი არის პირველი ცდა ამ ხარვეზის შესავსებად. ჩვენ მიერ პალეოლოგიურად დეტალურად შესწავლილ იქნა [7] გომბორის ადრესარმატული ნალექების ჭრილი (ნახ. 3), რომლის ასაკი დადგენილი იყო ფორამინიფერების საფუძველზე (ლ. მაისურაძის ზეპირი შეტყობინება).



ნახ. 3. ქვედასარმატული შრეების ჭრილი სოფ. გომბორთან

გომბორის ჭრილის პალეონოლოგიურ კომპლექსში განსაზღვრულ იქნა 152 ფორმა, 116 გვარი და 70 ოჯახი. პალეონოლოგიური დიაგრამა ავაგეთ ეკოლოგიურ-სისტემატიკური პრინციპით. ასეთ დიაგრამას ორმაგი დატვირთვა აქვს, ის ასახავს როგორც ფლორის, ასევე მცენარეულობის ხასიათს.

როგორც დიაგრამიდან (ნახ. 4) ჩანს, კომპლექსის უდიდეს ნაწილს შეადგენს ხე-მცენარეების მტვრის მარცვლები და გვიმრების სპორები. ბალახოვნების მონაწილეობა ძალზე დაბალია. კომპლექსის მთელი შემადგენლობა ჩვენ რამდენიმე ჯგუფად გაყავით, რომლებშიც გაერთიანებულია მცენარეები მათი ეკოლოგიის მიხედვით.


პირველ, ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს შეადგენს ზომიერი ჰავის წიწვოვანი მცენარეები: *Abies*, *Picea* და *Tsuga*. უკანასკნელი გვარი კომ-

პლექსის შემადგენლობაში ერთეული მტვრის მარცვლებითაა წარმოდგენილი.

დიაგრამაზე ცალკეა დატანილი ფიჭვის (*Pinus*) პროცენტული შემცველობა, რადგან იგი ფართო ეკოლოგიის მქონე ინტრაზონალური მცენარეა და მისი გაერთიანება გარკვეული ცენოზით არ შემოიფარგლება.

შემდეგ ჯგუფში გაერთიანებულია თერმოფილური წიწვოვნები: *Dacrydium*, *Podocarpus*, *Phyllocladus*, *Cedrus*, ოჯახ *Taxodiaceae*-ს წარმომადგენლები. ამ ჯგუფში აგრეთვე შედის შიშველ-თესლიანი მცენარე *Ginkgo*.

სითბოზომიერი მცენარეების ჯგუფში გაერთიანებულია: *Ulmus*, *Zelkova*, *Carpinus*, *Juglans*, *Carya*, *Pterocarya*, *Corylus*, *Alnus*, *Fagus* და ზოგიერთი *Quercus*.



ნახ. 4. გომბორის ტერილის პალინოლოგიური დიაგრამა

ყველაზე მრავალრიცხოვანია სუბტროპიკულ ფოთლოვან მცენარეთა ჯგუფი, რომლებსაც მიეკუთვნება: *Magnolia*, *Liriodendron*, *Nyssa*, *Alangium*, ოჯახების *Arecaceae*, *Araliaceae*, *Juglandaceae*, *Fagaceae*, *Hamamelidaceae*, *Lauraceae*-ს წარმომადგენლები და სხვა. ზოგადად, ფლორის შემადგენლობაში სითბოზომიერი და სუბტროპიკული მცენარეების წილი თითქმის ტოლი იყო.

გვიმრები წარმოდგენილია, უმთავრესად, სუბტროპიკული ფორმებით: *Anemia*, *Lygodium*, *Mohria* და ოჯახ *Gleicheniaceae*-ს წარმომადგენლები. *Pteris*-ისა და *Polypodium*-ის სპორების რაოდენობა მცირეა.

უკანასკნელ ჯგუფს სუბქსეროფილური მცენარეები შეადგენს, გვარ *Ephedra*-ს წარმომადგენლები და ბალახოვანთა ოჯახების *Chenopodiaceae*-სა და *Asteraceae*-ს მტერის მარცვლები.

ამგვარად, გომბორის ტერილის ქვედასარმატული ნალექების პალინოლოგიური კომპლექსი, ძირითადად, მიუთითებს მდიდარი პოლიდომინანტური ტყეების არსებობაზე, რომლებშიც დაფარული იყო კახეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი. ცალკეული ცენოზების გავრცელება

დამოკიდებული იყო ედაფურ, ბიოტურ ფაქტორებზე და რელიეფის ხასიათზე, რომლის სიმაღლე ადრესარმატულში 300-500 მ-ს არ აღემატებოდა [8]. ყველაზე უფრო სითბოზომიერი ჯიშები ზღვის აუზის ახლოს იზრდებოდა, ასეთებია: *Magnolia*, *Liriodendron*, *Nyssa*, *Alangium*, ოჯახების *Arecaceae*, *Araliaceae*, *Hamamelidaceae*, *Lauraceae*-ს წარმომადგენლები, გვარები: *Myrica*, *Engelhardia*, *Platycarya*, *Castanopsis*, მარადმწვანე მუხები. ტყის ქვედა სართულს ქმნიდნენ გვიმრები: *Anemia*, *Lygodium*, *Mohria*, ოჯახ *Gleicheniaceae*-ს წარმომადგენლები, *Cyathea*, *Dicksonia*. ზოგი მათგანი ხისებრი გვიმრა იყო.

რელიეფის უფრო მაღალი დონეებზე, სადაც ტემპერატურა შედარებით დაბალია, გავრცელებული იყო გვარების - *Zelkova*, *Carpinus*, *Juglans*, *Quercus*, *Castanea*-ს წარმომადგენლები. აქ, ფოთლოვან ჯიშებთან ერთად, თერმოფილური წიწვოვნებიც ხარობდა: *Dacrydium*, *Podocarpus*, *Phyllocladus*, *Cedrus*, ოჯახ *Taxodiaceae*-ს წარმომადგენლები და *Ginkgo*. ოჯახების *Poaceae*-ს და *Apiaceae*-ს წარმომადგენლები, აგრეთვე გვიმრები




*Pteris*, *Polypodium*, *Anogramma*, *Pyrrosia* ტყის ბალახოვან სართულს ქმნიდა.

მდინარეების გასწვრივ ჭაღის და ჭაობის ტყეები იზრდებოდა, სადაც, ძირითადად, გვხვდება *Liquidambar*, *Nyssa*, *Ulmus*, *Alnus*, *Carya* და ზოგიერთი *Hamamelidaceae*.

ზღვიდან მოშორებით მდებარე რელიეფის ყველაზე მაღალ მონაკვეთებზე იზრდებოდა მუქწიწვოვანი მცენარეები - *Abies*, *Picea* და *Tsuga*. მათ ყველაზე მცირე არეალი ეკავათ, რაც, ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ადრესარმატულში მათი არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ჩვენ მიერ აგებულ იქნა აგრეთვე გრაფიკი, ლანდშაფტურ-ფიტოცენოლოგიური მეთოდის გამოყენებით [9]. გრაფიკზე დატანილი მრუდები შეესაბამება ადრესარმატული დროის ძირითად მცენარეულ ფორმაციებს. ასეთებია მუქწიწვიანი და პოლიდომინანტური ტყეები. ცალკე მოცემულია ფიჭვის, როგორც ტენიანობის მაჩვენებლის, მრუდი. ასეთი გრაფიკის საშუალებით შესაძლებელია თვალი გავადევნოთ მცენარეული საფარის დინამიკას და დავადგინოთ მისი განვითარების ეტაპები, რომლებიც პალეოზონების გამოყოფის საფუძველს შეადგენს (ნახ. 5).



ნახ. 5. ადრესარმატული დროის მცენარეული ფორმაციების არელების მერყეობის გრაფიკი (გომბორის ჭრილის მიხედვით)

გრაფიკის ანალიზი საშუალებას იძლევა ადრესარმატული დროის განმავლობაში გამოვყოთ სამი ეტაპი. პირველ ეტაპზე გაბატონებული იყო სუბტროპიკული და ზომიერად თბილი ჰავის ტყეთუმიცა ფიჭვის საკმაოდ ფართო არეალი გააჩნდა. მეორე ეტაპზე აღინიშნება ფიჭვის არეალის გაფართოება, რომელიც პერიოდულად აღემატება სუბტროპიკული ტყის არეალს. მესამე ეტაპზე ფიჭვის არეალი მკვეთრად მცირდება და ისევ გაბატონებულია სუბტროპიკული ტყე. მცენარეულ ფორმაციათა არელების ასეთ ცვალებადობას ჩვენ, ძირითადად, ჰაერის ტენიანობას ვუკავშირებთ, რომელიც მეორე ეტაპზე უფრო შემცირებული იყო.

**3. დასკვნა**

პალეოლოგიური ანალიზი ბიოსტრატეგრაფიის ერთ-ერთი მეთოდია. მცენარეთა სპორები და მტვრის მარცვლები ხშირად გვხვდება ისეთ ნალექებში, სადაც სხვა ორგანული ნაშთები არ მოიპოვება. ნალექებში პალეომორფების შრეობრივი გავრცელება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ პალეოკომპლექსების ცვლილებას ამა თუ იმ ჭრილის ყველა შრეში და გამოვყოთ ფლორის, მცენარეულობისა და კლიმატის განვითარების ეტაპები გეოლოგიური დროის გარკვეულ მონაკვეთებზე.

სოფ. გომბორის ქვედასარმატული ნალექებიდან მოპოვებულ კომპლექსის შემადგენლობაში განსაზღვრულია 152 ფორმა, 116 გვარი და 70 ოჯახი. მთელი კომპლექსი გაყოფილია ჯგუფებად და მათი პროცენტული შემცველობა დატანილ იქნა პალინოლოგიურ დიაგრამაზე, რომელიც კახეთის ადრესარმატული ფლორის ეკოლოგიურ-სისტემატიკურ შემადგენლობას ასახავს.

გომბორის ჭრილის პალინოლოგიური კომპლექსი ჩვენ მიერ ინტერპრეტირებული იყო აგრეთვე ლანდშაფტურ-ფიტოცენოლოგიური მეთოდის საფუძველზე და შედგენილ იქნა გრაფიკი, რომელიც ასახავს ძირითად მცენარეულ ფორმაციათა (მუქწიწვიანი ტყე, პოლიდომინანტური ტყე და ფიჭვი, როგორც ინტრაზონალური მცენარე) არეალების ცვლილებას. გრაფიკის ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა მცენარეული საფარის დინამიკა და გამოგვეყო მისი განვითარების 3 ეტაპი, რომლებიც ტენიანობის რეჟიმის ცვალებადობას ასახავს აღნიშნული შრეების და ლექვის პერიოდში.

გამოყოფილი ეტაპები საფუძველად დაედო გომბორის ჭრილის ქვედასარმატული ნალექების წერილ ერთეულებად – პალინოზონებად დანაწილებას.

### ლიტერატურა

1. Булейшвили Д. А. Геология и нефтегазоносность межгорной впадины Восточной Грузии. Ленинград: Гостоптехиздат, 1960, с.239.
2. Грузинская К. Сарматская моллюсковая фауна Восточной Грузии. Дисс. на соиск ученой степени к.т.н. 1966.

3. Уznaдзе, М.Д. Неогеновая флора Грузии. Тбилиси: Мечниереба, 1965, - с. 180.
4. Мchedlishvili Н., Мchedlishvili Е. Этапы развития флоры Восточной Грузии в сарматском веке по данным спорово-пыльцевого анализа // Докл. АН СССР, 1953, т. 91, №3.
5. Maisuradze L., Shatilova I., Koiava K., Mchedlishvili N., Rukhadze L., Spezzaferri S., Strasser A. Foraminifers and palynomorphs in the sarmatian deposits of Kartli (Eastern Georgia): Stratigraphical and palaeoclimatological implications // Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biological series B, 2008. N 3-4, Vol. 6, p. 65-76.
6. Shatilova I., Maissuradze L., Koiava K., Mchedlishvili N., Rukhadze L., Spezzaferri S., Strasser A. Bioevents on the territory of Georgia during the late Cenozoic as evidenced by foraminifers and palynomorphs.// Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biological series B, 2009. N 1-2, Vol. 7, p. 90-109.
7. Kokolashvili I., Shatilova I. 2009. The preliminary results of palynological investigations of lower sarmatian of kakheti.// Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biological series B, 2009. N1-2, Vol. 7, p. 85-89.
8. Милановский Е.Е. Новейшая тектоника Кавказа. Москва: Недра,1968. - 482 с.
9. Shatilova I., Rukhadze L., Mchedlishvili N. On the Use of the Landscape-phytocenological Method for the Restoration of Vegetation and Climate of Mountain Regions (On the Example of Colchis). // Bull. Gerg. Acad. Sci., 2004, V.169, N3, p.623-625.

## UDC 551.76 (479.22)

### FLORA AND CLIMATE OF EARLY SARMATIAN PERIOD OF KACHETI ON THE BASIS OF PALYNOLOGICAL DATA

#### I. Kokolashvili

Department of geology, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Now for stratigraphical purpose widely is used the method of palynological analysis, which subjects of investigation are spores and pollen grains of plants fossilized in sedimentary rocks. The change in composition of palynological spectrums of separate layers or group of layers allows to trace nearly continuous picture of evolution of biocenosis and to distinguish the stages of their development. Put in the base of geochronology, these stages can be considered as ground of palynological subdivision of Sarmatian deposits of Eastern Georgia.

The spores and pollen grains often are presented in deposits avoid of other organic fossils. But even in such cases, when the fauna is preserved, the palynological data make corrections in stratigraphical schemes, as against of marine fauna, the palynocomplexes reflect on the changes of dry land cenosis, on which the climatic fluctuations influenced in first turn.

Till last time the single palynological work about Sarmatian deposits of Eastern Georgia was the article, devoted to analysis of corns from bore holes on territory of Kakheta (N. Mchedlishvili, E. Mchedlishvili, 1953). In 2008-09 were published the articles (Maisuradze et al., 2008; Shatilova et al., 2009), in which is given the micro-paleontological analysis of Middle Sarmatian deposits of Kartli, sections Nadarbasevi and Uplistsikhe. As about Kakheta, the region very interesting from practical point of view, as which it is connected the industrial reserve of oil, from palynological point of view it is not completely learn.

**Key words:** Western Georgia; Kakheta; Lower Sarmatian deposits; landscape-phytocenological method.

УДК 551.76 (479.22)

**ФЛОРА И КЛИМАТ РАНЕСАРМАТСКОГО ПЕРИОДА КАХЕТИИ (НА ОСНОВЕ ПАЛИНОЛОГИЧЕСКИХ ДАННЫХ)****И.М. Коколашвили**

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В настоящее время для целей стратиграфии широко используется метод пыльцевого анализа, объектом исследования которого являются споры и пыльцевые зерна растений, захороненные в осадочных породах. Одним из главных преимуществ этого метода является послойное распространение палиноморф в разрезах. Изменение их состава в отдельных слоях или группе слоев позволяет проследить почти непрерывную картину изменения биоценозов и выделить этапы их развития. Положенные в основу геохронологии, эти этапы можно рассматривать как обоснование палинологического расчленения сарматских отложений Восточной Грузии.

Споры и пыльца часто встречаются в отложениях, лишенных других органических остатков. Но даже в случае присутствия таковых, палинологические данные вносят свои коррективы при составлении стратиграфических схем. Это связано с тем, что в отличие от морской фауны, палинокомплексы отражают изменение наземных ценозов, на которые климатические флуктуации влияют в первую очередь.

До последнего времени единственной палинологической работой по сарматским отложениям Восточной Грузии была статья, посвященная анализу керновых материалов, взятых из буровых скважин Колхидской низменности (Н. Мchedlishvili, Е. Мchedlishvili, 1953). В 2008-2009 гг. были опубликованы работы (Maissuradze et al., 2008; Statilova et al., 2009), посвященные микропалеонтологическому анализу среднесарматских отложений Картли (разрезы Надарбазеви и Уплисцихе). Что касается Кахетии, очень интересного региона с практической точки зрения, к которому приурочены промышленные залежи нефти, палинологически он остается совершенно неизученным.

**Ключевые слова:** Восточная Грузия; Кахетия; сарматские отложения; палинологический метод.

*შემოსვლის თარიღი 04.09.09*

*მიღებულია დასაბეჭდად 09.10.09*

УДК 502.7

**О ПРОБЛЕМЕ ЭКОЛОГИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ И ОПТИМИЗАЦИИ УПРАВЛЕНИЯ ЭКОЛОГИЧЕСКОЙ СИСТЕМОЙ****Н.Г. Попорадзе,\* Д.В. Абзианидзе, М.С. Двали**

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

E-mail: nodar\_poporadze@yahoo.com

**Резюме:** Эта работа представляет собой наглядный пример применения математических методов для решения практических задач, связанных с безопасностью экологической системы (ЭС).

В ней акцентирована роль математических методов, от точности которых зависит уровень безопасности функционирования ЭС.

**Ключевые слова:** окружающая среда; экологическая система; экологическая безопасность и экологическая устойчивость.

**1. ВВЕДЕНИЕ**

Все возрастающее антропогенное воздействие на среду, ее загрязнение отходами производства и, наконец, безудержное расходование природных ресурсов – все эти проблемы стали сейчас предметами широкого обсуждения для принятия эффективных мер против бесконтрольного использования природных ресурсов, загрязнения и разрушения сложившейся природной среды /1/.

Совокупность всех воздействий на окружающую среду (ОС) ведет к формированию новой экологической ситуации, требующей изучения и активных действий по предотвращению возможных отрицательных изменений. Механизмы достижения конечной цели – экологической безопасности (ЭБ) – это разработка, адаптация и внедрение в практику программно-технических и информационных средств для оценки и прогнозирования экологической обстановки. Для достижения ЭБ также важно согласованное управление промышленными и сельскохозяйственными производствами, экономикой, здравоохранением и другими видами деятельности того или иного региона.

Таким образом, в сфере ЭБ одной из важнейших ролей играет проблема управления ЭС.

Решение этой проблемы связано с экспериментальными исследованиями и разработкой математической модели ЭС.

Математическая модель, являясь отображением экологических процессов, позволяет выбрать такую структуру системы управления, которая обеспечит безопасность функционирования ЭС.

## 2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Противостоять антропогенному прессу природа Грузии может лишь при сохранении потенциала ее экологической устойчивости (ЭУ). ЭУ Грузии заключается в преодолении ее экологической слабости и в обеспечении ЭБ. Восстановление естественных ЭС – основное условие нормального развития страны.

Следует отметить связь между ЭУ среды и пределом антропогенной (техногенной) нагрузки на региональном уровне. Как только техногенная нагрузка для конкретного участка территории превысит экологическую возможность природы (экологическую емкость), происходит крах данного участка ОС или, другими словами, каждый участок территории имеет конкретную экологическую емкость и, соответственно, может противостоять различным техногенным нагрузкам. Из вышеуказанного следует, что обязательно нахождение компромисса между развитием производства и сохранением природных ресурсов. В условиях Грузии устойчивое развитие определяется ведением хозяйства в пределах существующих емкостей ЭС.

До середины XX в. Грузия, как и другие страны, развивалась в условиях ЭУ, равновесия и гармоничности. С переходом мирового общества в этап научно-технической революции темпы роста производства стали непрерывно увеличиваться. Это сказалось на использовании природных ресурсов в невиданных до этого времени масштабах. Достаточно сказать, что выше 20% суши оказались измененными полностью и получили название природно-техно-

генных зон. Природа Грузии была менее деградированной, в отличие от природы развитых стран, но этот процесс не обошел и ее. По мнению ученых, Грузия, как и другие страны, должна оценить степень ущерба ЭС территорий, преодолеть собственную экологическую уязвимость путем прогноза допустимого потребления чистой первичной продукции и возможных энергетических и хозяйственных нагрузок на своей территории.

В настоящее время, начиная с 90-х годов XX в., экологическая уязвимость территории страны, ощущаемое истощение ее природных ресурсов (особенно леса) и значительные экологические риски обусловлены, в основном, развитием преимущественно таких отраслей промышленности, которые «эксплуатируют» природные богатства, и низким коэффициентом использования интеллектуальноемких (наукоемких) производств, а также использованием территории страны для захоронения отходов и химически опасных веществ. К сказанному также следует добавить положение с изношенностью основных средств (здания, сооружения, коммуникации), которые не обновлялись с 1990 года.

Для успешного решения крупномасштабных задач по охране ОС необходимо знать степень ее загрязнения всякими вредными веществами. Поэтому экологи большое внимание уделяют экспериментам, наблюдениям и контролю (мониторингу) за ОС.

При управлении экологическими процессами, когда решения принимаются на основе теоретических и экспериментальных данных, используют математическую модель. Создание работоспособных моделей – одна из главных задач глобальной экологии.

Прежде чем перейти к рассмотрению математической модели ЭС и ее практическому применению для решения задач управления, отметим, что ЭС можно отнести к динамическим системам, т.е. к таким системам, где тот или иной процесс непрерывно изменяется во времени.

Для моделирования поведения такой системы можно выбрать набор таких параметров, как  $x(t)$  – выходная переменная,  $u(t)$  – управляющие воздействия на процесс,  $\theta(t)$  – возмущающие воздействия на процесс. Управляющие и возмущающие воздействия относятся к входным величинам.

Цель управления ЭС заключается в обеспечении как должного качества ОС и повышения жизненного уровня населения Грузии, так и в формировании бюджетных доходов. Поэтому, естественно, при моделировании эти параметры рассматриваются в качестве выходных параметров.

Управление ЭС осуществляется как их сырьевой базой, так и инвестициями. Если учесть, что Грузия находится в экономическом кризисе, то для простоты решения задачи управления ограничимся только инвестициями.

Возмущения, действующие на ОС, подразделяются на естественные и антропогенные /1/. К естественным относятся все виды воздействий и процессов, возникновение которых не вызывается человеческой деятельностью (землетрясение, пожары, вызванные молниями, извержения вулканов и т.д.). Антропогенные (техногенные) воздействия подразделяются на преднамеренные, которые предусмотрены технологией производства (потребление и выбросы), и непреднамеренные, происходящие в ОС вследствие воздействия производства.

Наконец, ставится вопрос о математической зависимости выхода от входов как об операторе  $\Phi \in \{u(t) \times \theta(t) \rightarrow x(t)\}$ , который чаще всего является дифференциальным оператором. Иногда оператор  $\Phi$  называют математической моделью /2/.

При принятых допущениях ЭС описывается следующей системой дифференциальных уравнений:

$$x(t) = f[t, x(t), u(t), \theta(t)], \quad (1)$$

где  $x(t)$ ,  $u(t)$ ,  $\theta(t)$  – соответственно трех-, одно- и k-мерные векторы, k - число внешних воздействий, f – действительная векторная функция.

Ввиду того что в правую часть (1) входят возмущения, то  $x(t)$  – случайная величина. Поэтому задача управления решается методом разделения ее на две задачи: на задачу оценки параметров (или параметрической идентификации) и задачу оптимального управления ЭС.

Такое разделение качественно понятно, поскольку вначале следует определить поведение системы, прежде чем рассчитать управляющее воздействие, изменяющее это поведение.

Модель (1) является нестационарной. Как известно, такие уравнения на практике решаются численно с помощью конечных разностей или метода сеток.

Для приближенного вычисления отрезков времени (0, T) (T – время функционирования ЭС) последовательностью точек  $0 = t_0 < t_1 < t_2 < \dots < t_N = T$  делится на N равные малые интервалы длительностью h ( $h \rightarrow 0$ ).

Для идентификации в работе /3/ авторы предлагают заменить модель (1) упрощенной статической моделью, линеаризованной относительно  $\theta_j (j=1, \dots, k)$ . Для дискретного момента времени  $t_n = n \cdot h (0 < t_n < T)$

$$X(n) = A(u_n) + B(u_n) \theta(h). \quad (2)$$

Здесь  $A(u_n)$ ,  $B(u_n)$  – соответственно матрицы порядка  $1 \times 3$  и  $k \times 3$ , причем их элементы  $A_i(n)$  ( $i=1, 2, 3$ ) и  $B_{ij}(n)$  ( $j=1, \dots, k$ ) являются линейными функциями относительно  $u_n$ .

Такая модель позволяет оценить случайные величины  $\theta_j$  по динамическим характеристикам: математическому ожиданию ( $m_j(n)$ ) и дисперсии ( $D_j(n)$ ).

Пусть в дискретные моменты  $t_n = n$  наблюдаются координаты  $x_2(n)$  и  $x_3(n)$ , зависящие от возмущений, или наблюдается

$$y(n) = G x(n) + w(n),$$

где  $G = [110]$ ,  $w(n)$  – ошибка наблюдения, которая представляет собой нормально распределенную случайную величину.

Задача заключается в том, чтобы при заданных наблюдениях  $y(n)$  найти наилучшие оценки для математического ожидания и дисперсии случайных параметров  $\theta_j$ .

На основании формулы Бейса были получены следующие адаптивные оценки /4/:

$$m_j(n) = \bar{B}_1^0(n) m_j(n-1) + D_j(n) \bar{B}_j(u_{n-1}) [y(n) - \bar{A}(u_{n-1})] \quad (3)$$

$$D_j(n) = D_j(n-1) / [1 + \bar{B}_j^2(n-1) D_j(n-1)],$$

где

$$\bar{A}(u_n) = \sum_{i=1}^i A_i(u_n); \quad \bar{B}_j(u_n) = \sum_{i=1}^2 \sum_{m=1}^k B_{im}(u_n);$$

$$\bar{B}_1^0 = \sum_0^{n-2} \bar{B}_j^2(u_{n-1}) / \sum_0^{n-1} \bar{B}_j^2(u_{n-1}).$$

Эти характеристики позволили выбрать наиболее эффективный путь для управления ЭС. Оценки, полученные при решении задачи идентификации, вводятся в алгоритм управления для формирования стратегии управления с целью компенсации внутренних и внешних возмущений. Таким образом, можно заставить управляющую систему действовать определенным желаемым образом.

Основное назначение теории управляемых случайных процессов или теории стохастического управления - дать ответ на следующий вопрос: каким образом в каждый момент времени выбрать управление (иными словами – принимать решение), которое зависит от накопленной информации и влияет на локальные вероятностные характеристики случайного процесса, чтобы некоторый функционал от случайного процесса управления обратился в минимум?

Проиллюстрируем это на конкретном примере. Предположим, что регулируемой является координата  $x_2(n)$  (жизнедеятельность населения). Отклонение регулируемой координаты от желаемого  $x^*(n)$  (нормальный уровень жизни населения) приводит к некоторым издержкам.

Издержки, возникающие на n-м шаге, задаются функцией

$$g(\sigma_n, u_n) = M\{[x_2(n) - x_2^*(n)]^2 / \sigma_n\}, \quad (4)$$

где  $\sigma_n = (m(n), D(n))$ , M – символ математического ожидания.

Ввиду того что  $x_2(t)$  – случайная величина, то цель управления формулируется в вероятностных терминах.

Задача заключается в нахождении конечной последовательности стратегии  $\pi = \{u_1, \dots, u_n\}$ , минимизирующей суммарные издержки за  $N$  шагов:

$$I_{N,\pi}(\sigma) = \int \prod_{n=1}^N g(\sigma_n, u_n) \cdot M\{\dots\} \cdot d\sigma$$

Для решения таких задач вводится функция Бельмана, которая должна удовлетворять рекуррентным уравнениям Бельмана-Вальда при определенных ограничениях.

Однако, поскольку  $g(\sigma_n, u_n)$  является неотрицательной функцией, то для нахождения ее минимума достаточно, чтобы выполнялось условие

$$g(\sigma_n, u_n) = 0. \quad (5)$$

В работе [5] показано, что управление, найденное из этого условия, является не только единственным оптимальным решением, но и гарантирует выполнение условия эквивалентности одношаговой и многошаговой задач.

Если подставим в (5) (с учетом 4) значение  $x_2(n)$  из (2) и, учтем, что  $A_2(u_n)$  и  $B_2(u_n)$  являются линейными функциями относительно  $u_n$ , то после несложных преобразований находим:

$$u_n = \frac{x_2^*(n)}{a_2(n) + \sum_{j=1}^k b_{2,j}(n)m_j(n)}, \quad (0 \leq n \leq N),$$

где  $m_j(n)$  определяется по формуле (4),  $a_2(n)$  и  $b_{2,j}$  – коэффициенты пропорциональности.

Полученный алгоритм управления, который может быть разработан даже при минимальной входной информации, обеспечит эффективное функционирование ЭС.

### 3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

В данной работе был развит следующий подход к задаче управления ЭС. Предполагаем, что основной экологический процесс таков, что текущее управление может только влиять на будущее поведение системы. Следовательно, закон управления должен быть рассчитан так, чтобы динамические характеристики  $\theta$  в настоящее время как можно точнее соответствовали «нашим желаниям».

Наличие возмущающих воздействий и потребность в оценке параметров привели к необходимости построения адаптивной системы управления. Для оценки нестационарных параметров используется идентификатор.

### ЛИТЕРАТУРА

1. Аникеев В.А., Копп И.З., Скалкин Ф.В. Технологические аспекты охраны окружающей среды. Л.: Гидрометиздат, 1982.
2. Иваненко В.И. Управление при стохастической неопределенности // Автоматика, 1982, №6, с. 65-74.
3. Андреев Н.В. Абзианидзе Д.В. Об одной задаче управления процессом прошивки круглых металлических заготовок в трубопрокатном производстве // Адаптивные системы автоматического управления. вып. 16, – Киев, 1987, с. 60-65.
4. A. Gotsiridse, D. Absianidze. Parameters Estimation in Gaze of Energy Subjects of the Country and their Security Modeled in the Uncertainty Conditions. – Bull. Georg. Acad. #168, 1, 2003.
5. Габелая А.Г., Абзианидзе Д.В. Методы нахождения оптимальной или почти оптимальной стратегии для стохастических объектов// Адаптивные системы автоматического управления. Киев, 1992, вып. 19, с. 86-90.

## შპს 502.7

### ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური სისტემის მართვის ოპტიმიზაციის პრობლემები

ბ. ფოფორაძე, დ. აბზიანიძე, მ. დვალაძე

ეკოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

**რეზიუმე:** ნაშრომი თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ამოვსნათ ამოცანა, დაკავშირებული ეკოლოგიური სისტემების უსაფრთხოებასთან. ნაშრომში აქცენტირებულია მათემატიკური მეთოდების როლი, რომელთა სიზუსტეზე დამოკიდებულია ეკოლოგიური სისტემის ფუნქციონირების უსაფრთხოების ხარისხი.

**საკვანძო სიტყვები:** გარემო; ეკოლოგიური სისტემა; ეკოლოგიური უსაფრთხოება; ეკოლოგიური მდგრადობა.

UDC 502.7

**ABOUT PROBLEMS OF ECOLOGICAL SECURITY AND OPTIMIZATION MANAGEMENT OF ECOLOGICAL SYSTEM****N. Poporadze, D. Abzianidze, M. Dvali**

Department of geology, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** This work is an example of applying of mathematical methods for solution practical tasks connected with security of ecological system.

There is emphasized the role of mathematical method from accuracy of which is dependent the level of ecological system's security is dependent.

**Key words:** environment; ecological system; ecological security; ecological stabilizy.

*Дата поступления 05.11.09**Принято к печати 30.11.09***შპს 551.49.553.7****საქართველოს მინერალური და ნავთობის წყლების შეღარებითი დახასიათება მიკროკომპონენტების შემცველობის მხრივ****უ. ზვიადაძე,\* ზ. დადანიძე, ნ. ქიტიაშვილი**

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: u\_zviadadze@gtu.ge

**რეზიუმე:** კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში, ერთი მხრივ, და ნავთობის საბადოებთან დაკავშირებულ ე.წ. “ნავთობის წყლებში”, მეორე მხრივ, ქიმიური ელემენტების განაწილების რაოდენობრივი მახასიათებლების შედარება-ანალიზის გზით შესაძლებელი ხდება დავაჯგუფოთ ელემენტები, როგორც ტიპომორფული ან ნაკლებად დამახასიათებელი ამ ორი განსხვავებული გენერაციის წყლებისთვის და გამოვიყენოთ ისინი, როგორც გეოქიმიურ-სადიებო კრიტერიუმები ნავთობსადიებო საქმეში და მინერალური წყლების საბადოების ძებნა-ძიებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროკომპონენტები; ნახშირმჟავა მინერალური წყლები; ნავთობის წყლები; ტიპომორფული ელემენტები; ფორმირების გეოქიმიური გარემო.

**1. შესავალი**

ჰიდროგეოქიმიაში ტერმინი “მიკროკომპონენტი” მიღებულია ბუნებრივ წყლებში იშვიათი ელემენტების ძალზე მცირე შემცველობის ( $10^{-2} - 10^{-5}\%$ ) გამო [1, 2]. მიკროკომპონენტების

შესწავლას მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება აქვს, მათ შორის, მიკროკომპონენტების გეოქიმიურ-სადიებო კრიტერიუმებად გამოყენების შესაძლებლობათა გარკვევა, რაც წინამდებარე სტატიაში განხილვის საგანია. ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიების მეთოდების კომპლექსში განსაზღვრული ადგილი ძიების ჰიდროგეოლოგიურ მეთოდს ეკუთვნის, თუმცა, ზოგადად ჰიდროგეოლოგიური კვლევის კომპონენტია შორის მიკროკომპონენტების როლი, არასრული შესწავლილობის გამო, შედარებით დამორჩილებულია. მსგავსი მდგომარეობა აღინიშნება მინერალური წყლების ძებნა-ძიების დარგშიც. მეორე მხრივ, როგორც სხვა მკვლევართა [4, 9], ისე ავტორთა მიერ შესრულებული კვლევებით დასტურდება [5, 6], რომ სხვადასხვა გენერაციის მიწისქვეშა წყლებისთვის სხვადასხვა მიკროკომპონენტების გამა არის დამახასიათებელი, რაც ნათლად მიუთითებს მიწისქვეშა წყლის წარმოშობის და ფორმირების გეოქიმიურ გარემოზე. მიუხედავად ამ დარგში მიღებული რიგი პოზიტიური შედეგებისა, მიკროკომპონენტების ჰიდროგეოქიმიაში ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა, რომელთა ნაწილობრივ შევსებას სტატიის ავტორები შეეცადნენ.

**2. ძირითადი ნაწილი**

მართალია, შესწავლილი ობიექტების დაყოფა მინერალურ და ნავთობის წყლებად რამდენადმე პირობითია (რადგანაც ნავთობის წყლებიც არსებითად მინერალური წყლების კატეგორიას მიეკუთვნება), მაგრამ გენეზისის მკვეთრად განსხვავებული პირობების გამო, ამ შემთხვევაში მიღებული დაყოფა ლოგიკურად გამართლებულია.

ჩვენ მიერ შესწავლილი მინერალური წყლების უმრავლესობა ნახშირმჟავა ტუტე-მარილიანი წყლების ჯგუფში შედის. მათი გამოსავლები ფართო ზოლად ვრცელდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობის გასწვრივ დასავლეთ აფხაზეთიდან დაწყებული (მდ. ავადხარას ხეობა) პანკისის ხეობამდე (მდ. ალაზნის სათავეები) და სივრცო-


ბრივად იურის, ცარცის და ნაწილობრივ პალეოგენის წყლებთან არის დაკავშირებული. აქ არ შევუდგებით ცალკეული დასინჯული ობიექტების აღწერას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში მიკროკომპონენტების შემცველობის გასაშუალოებული სიდიდეები და მათი პროცენტული განაწილება მთლიანად რეგიონის მასშტაბით (ცხრ. 1).

ცხრილის მონაცემები წრიულ დიაგრამაზე არის ასახული (ნახ. 1), რომელზეც ყველა შესწავლილი მიკროკომპონენტის შემცველობათა ჯამი მიღებულია 100%-ად და ამის შესაბამისად, ნაანგარიშგვია პროცენტული შემცველობა თითოეული ელემენტისთვის.

**ცხრილი 1**

საქართველოს ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში მიკროკომპონენტების პროცენტული განაწილება


№	მიკროკომპონენტების დასახელება	საშუალო შემცველობა მგ/ლ	საერთო რაოდენობიდან %-ში
1	ბორი	37.532	58.30
2	კალიუმი	16.632	25.85
3	სტრონციუმი	3.671	5.70
4	რკინა	2.723	4.23
5	ბრომი	1.793	2.79
6	იოდი	0.837	1.30
7	ლითიუმი	0.428	0.67
8	რუბიდიუმი	0.024	0.04
9	ცეზიუმი	0.019	0.03
10	სპილენძი	0.01	0.02
11	ცინკი	0.021	0.03
12	კადმიუმი	0.01	0.02
13	ტყვია	0.053	0.08
14	მარგანეცი	0.407	0.63
15	კობალტი	0.052	0.08
16	ნიკელი	0.134	0.21



ნახ. 1. მინერალურ წყლებში მიკროკომპონენტების განაწილების დიაგრამა



შესწავლილი მიკროკომპონენტები კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნახშირმუცა მინერალურ წყლებში გაერცვლების რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობით ლაგდება:




ამასთან, “Σ” ნიშნით გაერთიანებული მიკროკომპონენტების კონცენტრაციების ჯამი 1.83 %-ს შეადგენს.

ანალოგიური პრინციპით შედგენილია მე-2 ცხრილი და წრიული დიაგრამა (ნახ. 2). საქართველოს ნავთობის წყლებისთვის.

**ცხრილი 2**

საქართველოს ნავთობის წყლებში მიკროკომპონენტების პროცენტული განაწილება


№	მიკროკომპონენტების დასახელება	საშუალო შემცველობა მგ/ლ	საერთო რაოდენობიდან %-ში
1	კალიუმი	58.835	30.4
2	სტრონციუმი	58.651	30.3
3	რკინა	26.927	13.9
4	ბრომი	21.963	11.35
5	ბორი	14.18	7.32
6	იოდი	7.037	3.61
7	მარგანეცი	2.9191	1.5
8	ცეზიუმი	0.011	0.01
9	სპილენძი	0.079	0.04
10	ცინკი	0.252	0.04
11	კადმიუმი	0.075	0.04
12	ტყვია	0.402	0.2
13	კობალტი	0.533	0.27
14	ნიკელი	1.371	0.68
15	ლითიუმი	0.375	0.19
16	რუბიდიუმი	0.053	0.03



ნახ. 2. ნავთობის წყლებში მიკროკომპონენტების განაწილების დიაგრამა

განგარიშებაში გამოყენებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ნავთობის საბადოების და ნავთობაირგამოვლინებების 21 ობიექტის მონაცემები. ამ შემთხვევაში ნავთობის წყლებში მიკროკომპონენტების

შემცველობის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით თანამიმდევრობის მწკრივს შემდეგი სახე აქვს:



აქაც“Σ“ ნიშნის ქვეშ გაერთიანებული ცხრა მიკროკომპონენტის ჯამური შემცველობა 1.59%-ს შეადგენს.

ზემოთ მოცემული ცხრილების და გრაფიკული მასალის შედარებისას, უპირველესად, აღვილი შესამჩნევია ბორის გაბატონებული მდგომარეობა ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში, სადაც მისი შემცველობა – 58.3 %-ია. ის ყველა დანარჩენი ელემენტების შემცველობათა ჯამს აღემატება. მთიანი ნაოჭა წყალწვევიანი სისტემების ნახშირმჟავა წყლებში ბორის თითქოსდა “აუცილებელი” შემცველობა ბევრი მკვლევარის ნაშრომში არის აღნიშნული [3, 7, 8]. ამ წყლებში თავისუფალი ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>) არსებობა ბორის დაგროვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, თუმცა, არა ერთადერთი, რაც ექსპერიმენტულადაც არის დადასტურებული [7].

გარდა ბორისა, ნავთობის წყლებთან შედარებით ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში მომეტებულია ლითიუმის და ცეზიუმის შემცველობა, ხოლო რუბიდიუმის კონცენტრაცია დაახლოებით თანაბარია. აღნიშნავს რა იშვიათი ტუტე მეტალების ტიპომორფულობის ფაქტს ზოგადად ნახშირმჟავა მინერალური წყლებისთვის, ს. კრაინოვი [4] მიუთითებს ამ წყლების სივრცობრივ და გენეტიკურ კავშირზე გვიანმეოთხეული და თანამედროვე ვულკანიზმის კერებთან, ნეოტექტონიკური აშლილობების ზონებთან, სახელდობრ, რეგიონული სიღრმული რღვევების განივ სტრუქტურებთან გადაკვეთის ადგილებთან. ტექტონიკურად ანალოგიური სიტუაცია აღინიშნება განსახილველი მინერალური წყლების შემთხვევაშიც. ამ კუთხით, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ საქართველოს ნახშირმჟავა მინერალურ და ნავთობის წყლებს, ანგარიშგასაწევია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი. საერთო მინერალიზაციის მანველებლით ნავთობის წყლები 17.1 გ/ლ 4.5-ჯერ აღემატება მინერალურ წყლებს (3.8 გ/ლ). მეორე მხრივ, საერთო მინერალიზაციისა და მიკროკომპონენტების შემცველობას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების მიზეზით, სწორედ ნავთობის წყლებში აღვილი აქვს შესწავლილი ელემენტებიდან აბსოლუტური უმრავლესობის ინტენსიურ დაგროვებას. გამონაკლისი ამ მხრივ არის ბორი და იშვიათი ტუტე ლითონები (ლითიუმი, ცეზიუმი, რუბიდიუმი), რომლებიც უფრო ხშირად და მეტი კონცენტრაციით გვხვდება ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში, ვიდრე გაცილებით უფრო მაღალმინერალიზებულ ნავთობის წყლებში. ეს

ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა აღნიშნული ელემენტების ტიპომორფულობისა ნახშირმჟავა წყლებისთვის, რომლებიც მთიან-ნაოჭა წყალწვევიანი სისტემებში არის გაერთიანებული.

თუ გავაგრძელებთ მინერალური და ნავთობის წყლების მიკროკომპონენტური შედგენილობის შედარებას, დავინახავთ, რომ სტრონციუმში, კალიუმთან ერთად, გაბატონებული მიკროკომპონენტია ნავთობის წყლებში, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, თუმცა, ამ მიზეზების ახსნა ცალკე განხილვის საგანია. სტატიის ლიმიტირებული მოცულობის გამო, ასევე განხილვას არ ემორჩილება სხვა მიკროკომპონენტების, განსაკუთრებით, იოდის და ბრომის საკითხი, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ნავთობის წყლებისთვის ამ ორი ელემენტის ტიპომორფულობა დიდი ხნის წინ დადასტურებული ფაქტია [9] და სწორედ ამიტომ წარმატებით გამოიყენება ნავთობსაძიებო საქმეში, როგორც არაორგანული ჰიდროგეოქიმიური საძიებო კრიტერიუმი.

### 3. დასკვნა

ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში და ნავთობის წყლებში მიკროკომპონენტების შემცველობის მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი და ანალიტიკური მასალების განზოგადების საფუძველზე გამოვლენილია დამახასიათებელი ტიპომორფული ქიმიური ელემენტები ამ გენეტიკურად სრულიად განსხვავებული მიწისქვეშა წყლებისთვის, რაც გარდა იმისა, რომ საშუალებას იძლევა გაშუქდეს მათი ქიმიური შედგენილობის ფორმირების თავისებურებები, განსაზღვრულ მნიშვნელობას იძენს მინერალური წყლების ძებნა-ძიების და ტერიტორიის ნავთობაირიანობაზე პერსპექტიულობის შეფასების თვალსაზრისით.

### ლიტერატურა

1. Овчинников А.И. Гидрогеохимия. М.: Недра, 1970. - 200с.
2. Самарина В.С. Гидрогеохимия. Л.: Изд-во ЛГУ, 1977. - 359с.
3. Посохов Е.В., Толстихин Н.И. Минеральные воды. Л.: Недра, 1977. - 240с.
4. Крайнов С.Р. Геохимия редких элементов в подземных водах. М.: Недра, 1973. - 295с.
5. Зауташвили Б.З. Геохимия микроэлементов глубоких подземных вод Грузии. Тбилиси: Мецნიереба, 1978. - 162с.

6. Звиададзе У.И. К вопросу распределения микрокомпонентов в подземных водах нефтяных месторождений Восточной Грузии. - В кн. Маломинерализованные воды глубоких горизонтов нефтегазоносных провинций. Киев: Наукова думка, 1985.- 280с.
7. Звиададзе У.И. Изучение микрокомпонентов минеральных вод Горной Кахетии в связи с вопросом формирования этих вод // Сообщ. АН ГССР, №3, 1979, с. 649-652.
8. Красинцева В.В. О накоплении бора в минеральных водах в результате выделения его из осадочных пород // Проблемы гидрогеологии. М.: Госгеолтехиздат, 1960. - 250с.
9. Кротова В.А. Гидрогеологические критерии нефтегазоносности. Л.: Гостоптехиздат, 1960. – 161 с.

UDC 551.49.553.7

## COMPARATIVE CHARACTERISTIC OF GEORGIA'S MINERAL AND OIL WATERS ACCORDING TO THEIR MICROCOMPONENTS CONTENTS

U. Zviadadze, Z. Gaganidze, N. Kitiashvili

Department of geology, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** By means of comparative analysis of chemical elements distribution in mineral waters of the southern slope of Great Caucasus, on one side, and in oil waters, on the other hand, it is possible to group the elements, as ty-pomorphic, or less characteristic for these different genesis waters and to use them as an geochemical search criteria in oil prospecting sphere and in mineral waters surveying.

**Key words:** microcomponents; carbonaceous mineral waters; oil waters; ty-pomorphic elements; geochemical medium of forming.

УДК 551.49.553.7

## СРАВНИТЕЛЬНАЯ ХАРАКТЕРИСТИКА МИНЕРАЛЬНЫХ И НЕФТЯНЫХ ВОД ГРУЗИИ ПО ИХ МИКРОКОМПОНЕНТНОМУ СОСТАВУ

Звиададзе У.И., Гаганидзе З.С., Китиашвили Н.З.

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Путем сравнительного анализа количественных показателей распределения химических элементов в углекислых минеральных водах южного склона Большого Кавказа, с одной стороны, и в т.н. «нефтяных водах», с другой стороны, становится возможным сгруппировать элементы, как типоморфные или менее характерные для этих вод различной генерации, и использовать элементы в качестве геохимических поисковых критериев в нефтепоисковом деле и при поисках и разведке месторождений минеральных вод.

**Ключевые слова:** микрокомпоненты; углекислые минеральные воды; нефтяные воды; типоморфные элементы; геохимическая среда формирования.

*შემოსვლის თარიღი 30.11.09  
მიღებულია დასაბეჭდად 04.12.09*

## შპს 55

## ძირულის კრისტალური მასივის (დასავლეთ საქართველო) გვიანპროტოზოული კალიუმის ბრანტიუმის წარმოშობის გეოქიმიური ასპექტები

## ი. მშენიერიძე

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: samto@gtu.ge

**რეზიუმე:** ძირულის კრისტალური მასივი წარმოადგენს საქართველოს ბელტის ამოზიდულ ნაწილს და თავისი გეოლოგიური პოზიციით დიდი და მცირე კავკასიონის მთათაშუაშუა მიეკუთვნება. მასივის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს სხვადასხვა ასაკის ქანები: კრისტალური ფიქლები, ფილიტები, კვარციანი დიორიტები, გაბროები, გვიანპროტოზოული კალიუმის ბრანტიუმის გრანიტები, რომლებიც მასივში ფართო გავრცელებით სარგებლობს. გრანიტში გამოიყოფა ორი ძირითადი პეტროგრაფიული ტიპის ქანი: მაგმური და მეტასომატური მიკროკლინიანი გრანიტები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მინერალოგიური, ისე ქიმიური შედგენილობით და გეოქიმიური თავისებურებებით, გამოირჩევა ფტორის სიღარიბით და ბორის მაღალი შემცველობით. ბორის მაღალი შემცველობა უნდა მივიჩნიოთ შესწავლილი გრანიტების ქერქული წარმონაქმნების ერთ-ერთ პეტროგრაფიულ ნიშნად.

**საკვანძო სიტყვები:** გრანიტი; კრისტალური მასივი; პეგმატიტი; მიკროკლინი.

## 1. შესავალი

გრანიტის, როგორც ტერმინის ორ საუკუნოვან გეოლოგიურ ისტორიაში, არაერთხელ ჩამოყალიბებულა მრავალრიცხოვანი ვერსიები, ამ მართლაც საინტერესო ბუნებრივ წარმონაქმნებზე, მაგრამ მკვლევარები დღემდე არ მისულებან ერთიან შეთანხმებულ კონცეფციამდე.

გრანიტის წარმოშობის პრობლემა კვლავ გადაუჭრელია და მკვლევართა შორის დავის საგნად რჩება. დღეისათვის მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები არსებობს, მათ შორის თვით ტერმინი „გრანიტი“, რომელიც პირველად გეოლოგიურ ლიტერატურაში ნორვეგიელმა მკვლევარმა ვალერიუსმა შემოიტანა. ეს ტერმინი, თავისი შინაარსით, ვერ პასუხობს პეტროლოგიის და გეოქიმიის თანამედროვე მოთხოვნებს. ეს ტერმინი ბოლო დროს სერიოზული კრიტიკის საგნად იქცა (ოლიკაძე და სხვა. 2006) გამომდინარე შემოთქმულიდან ხსენებულმა ავტორებმა, გეოლოგიურ ლიტერატურაში, ტერმინ გრანიტის ნაცვლად შემოთავაზებულ იქნა უბრალოდ კალიუმის ბრანტი და არა ზოგა-

დად გრანიტი, ან მით უმეტეს „გრანიტიდი“ ეს კი სრულად ასახავს იმ სიახლეს რომელიც ბოლო წლებში დადგენილ იქნა.

ძირულის კრისტალურ მასივში, ისე როგორც დედამიწის კონტინენტური ქერქის ნებისმიერ რეგიონში, კალიუმის ბრანტიები ჩამოყალიბდა დედამიწის უძველესი დანალექი ქანების გაღვლილობის ხარჯზე, რომელსაც შედეგად მოჰყვა ლიტერატურაში ცნობილი სილიკატური მდნარის ჩამოყალიბება და საესებით ბუნებრივია რომ, მდნარის გაციების შედეგად ჩამოყალიბებული კალიუმის ბრანტი შეიცავს იმ ქიმიურ, როგორც პეტროგრაფიულ ისე მადნეულ ელემენტებს, რომელიც ტერიგენულ მასალაში იმყოფებოდა.

ძირულის კრისტალური მასივის შემთხვევაში ფართო გავრცელებით სარგებლობს კალიუმის ბრანტიები, რომლის შესწავლის ისტორია თითქმის ას წელს მოიცავს. გამოვლენილია იშვიათი ელემენტების (ბერილიუმის, ლითიუმის, ნიობიუმის და ტანტალის) შემცველი მინერალების მატარებელი პეგმატიტები. ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის მიდამოებში პეგმატიტები კალიუმის ბრანტის გენეტიკური მემკვიდრეა და აღნიშნული ბრანტის ჩამოყალიბების შედეგად დარჩენილი ე.წ. მდნარი ხსნარი, რომელიც შედარებით უფრო გამდიდრებულია ძვირფასი მეტალების შემცველი მინერალებით (ბიურილით, ლეუპილიტით, კოლუმბიტით, ტანტალით და სხვა). (ოლიკაძე, 1998).

მასივის გეოლოგიური პოზიცია მნიშვნელოვანია პირველ რიგში იმით, რომ ის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, საქართველოს ბელტის და მთელი ამიერკავკასიის მთაშუაშუა გეოლოგიური სტრუქტურის შესწავლის საქმეში. თავისი გეოლოგიური აგებულების თავისებურებებით, შემადგენელი ქანების წარმოშობის თანამიმდევრობით, მინერალური და ქიმიური შემადგენლობით, ძირულის კრისტალური მასივი სარკისებრი ანარეკლია დიდი კავკასიონის მთავარი ქედისა, სადაც მნიშვნელოვან როლს გვიანპროტოზოული კალიუმის ბრანტიები ასრულებს. რიკოთის უღელტეხილის მიდამოებში გვხვდება, გაბროიდების უნიკალური პეტროგრაფიული ტიპი – რიკოტიტი, რომელსაც როგორც ჩვენ ვფიქრობთ, განუცდია მიკროკლინიზაცია, რიკოტიტებში კალიუმის მინდვრის შპატის მიკროკლინის ჩამოყალიბება, რაც მი-

მიზნულ ელფერს ანიჭებს ამ ქანებს. მასივის ფარგლებში გვხვდება თავისი გამორჩეული ელფერით მარმარილოს საბადო (სოფ. შროშა) რომელიც ძვირფას სამშენებლო მასალას შეიცავს, ამ მარმარილოთია მოპირკეთებული მეტრო „რუსთაველი“ ქ. თბილისში.

## 2. ძირითადი ნაწილი

ძირულის კრისტალური მასივი გეოგრაფიულად მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ზესტაფონის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მისი ფართობი 1200 კვ.კმ. შეადგენს. მასივის ცენტრალურ ნაწილებში გადის თბილის-ქუთაისის საავტომობილო გზა და მისაღვომად საკმაოდ მოსახერხებელია, რაც მის პრაქტიკულ ღირებულებას კიდევ უფრო ამაღლებს. ძირულის მასივის კალიუმთან გრანიტებში მათი წარმოშობის მექანიზმიდან გამომდინარე არჩევენ ორ გენეტიკურ ტიპს, თუმცა ორივე ეს ტიპი, ერთი მაგმური კერის პროდუქტებია (Одикадзе 1998) პირველი ეს არის უშუალოდ მაგმური გრანიტები რკვიის ინტრუზივი, რომლებიც კალიუმით მდიდარი გრანიტული სილიკატური მდნარის დაკრისტალების შედეგად ჩამოყალიბდა და რომლებთანაც დაკავშირებულია იშვიათი ელემენტების და ძვირფასი მინერალების შემცველი სოფ. შროშის პეგმატიტები. ძირულის მასივში ახალი იშვიათი ელემენტების შემცველი პეგმატიტური ველების ძებნის შემთხვევაში უპირატესობა მაგმური წარმოშობის კალიუმთან გრანიტებს უნდა მიენიჭოს და არა მეტასომატურს, რადგან აქროლადებით და იშვიათი ელემენტების შემცველობის გამო, მაგმური წარმონაქმნი ხელს უწყობს მადანწარმოშობას, ხოლო მეტასომატური ანადგურებს ადრეწარმოშობილ საბადოებს. ნაშრომის ძირითადი მიზანიც ამ პრობლემას ეძღვნება (მშვენიერაძე 2004).

$$\left. \begin{aligned} \dot{X}_{S_1} &= \dot{x}_1 - \ell \omega \sin \alpha - \frac{\ell_1}{2} \dot{\theta} \sin \theta; \\ \dot{Y}_{S_1} &= \dot{y}_1 + \ell \omega \cos \alpha + \frac{\ell_1}{2} \dot{\theta} \cos \theta; \end{aligned} \right\} \quad (3)$$

მაშინ მასების S<sub>1</sub> ცენტრის სიჩქარის კვადრატო

$$\begin{aligned} V_{S_1}^2 &= \dot{X}_{S_1}^2 + \dot{Y}_{S_1}^2 = M^2 + D^2 + \\ &+ \ell_1 \dot{\theta} (D \cos \theta - M \sin \theta) + \frac{\ell_1^2}{4} \dot{\theta}^2. \end{aligned} \quad (4)$$

თავის მხრივ

$$\begin{aligned} D &= \dot{y}_1 + \ell \omega \cos \alpha; \\ M &= \dot{x}_1 - \ell \omega \sin \alpha. \end{aligned}$$

(1) ტოლობაში შემავალი  $I_{S_1} = m_1 \ell_1^2 / 12$ , ხოლო  $\omega_1^2 = \dot{\theta}^2$ . ე.ი.

$$I_{S_1} \omega_1^2 = \frac{m_1 \ell_1^2}{12} \dot{\theta}^2. \quad (5)$$

BC წვეთის მობრუნების კუთხური  $\dot{\theta}$  სიჩქარე შეიძლება განზოგადებული კოორდინატების მიხედვით განისაზღვროს. ამ მიზნით იგივეობას ვწვეთ

$$\ell \sin \alpha + y_1 + \ell_1 \sin \theta = \ell_2 \sin \varphi + y_2. \quad (6)$$

$$\left. \begin{aligned} X_{S_4} &= \ell \cos \alpha + x_1 + \ell_1 \cos \theta - x_2 - (\ell_2 + \ell_3) \cos \varphi - \frac{\ell_4}{2}; \\ \dot{X}_{S_4} &= \dot{x}_1 - \dot{x}_2 - \ell \omega \sin \alpha - \ell_1 \dot{\theta} \sin \theta + (\ell_2 + \ell_3) \dot{\varphi} \sin \varphi. \end{aligned} \right\}, \quad (13)$$

(6) ტოლობის დიფერენცირების შედეგად მივიღებთ:

$$\left. \begin{aligned} \dot{\theta} &= \frac{A}{\ell_1 \cos \theta}; \\ \dot{\varphi} &= \frac{S}{\ell_2 \cos \varphi} \end{aligned} \right\} \quad (7)$$

სადაც თავის მხრივ

$$\left. \begin{aligned} A &= \ell_2 \dot{\varphi} \cos \varphi - \ell \omega \cos \alpha + \dot{y}_2 - \dot{y}_1; \\ S &= \ell \omega \cos \alpha + \ell_1 \dot{\theta} \cos \theta + \dot{y}_1 - \dot{y}_2. \end{aligned} \right\}$$

ცხადია, რომ მოდელის მიხედვით

$$\omega_2 = V_{O_2} / \ell_2,$$

ხოლო

$$\omega_2^2 = V_{O_2}^2 / \ell_2^2 \quad \text{და} \quad V_{O_2}^2 = \dot{X}_{O_2}^2 + \dot{Y}_{O_2}^2.$$

ამიტომ ვწერთ

$$\left. \begin{aligned} X_{O_2} &= \ell_1 \cos \alpha + x_1 + \ell_1 \cos \theta - x_2; \\ Y_{O_2} &= a + y_1 + \ell_1 \sin \theta - y_2. \end{aligned} \right\} \quad (8)$$

$$\left. \begin{aligned} \dot{X}_{O_2} &= \dot{x}_1 - \ell_1 \omega \sin \alpha + \dot{x}_1 + \ell_1 \dot{\theta} \sin \theta - \dot{x}_2; \\ \dot{Y}_{O_2} &= \dot{y}_1 - \dot{y}_2 + \ell_1 \dot{\theta} \cos \theta. \end{aligned} \right\} \quad (9)$$

თუ გავითვალისწინებთ (7) სისტემას და აღვნიშნავს,

$$\left. \begin{aligned} B &= \dot{x}_1 - \dot{x}_2 - \ell \omega \sin \alpha - A \tan \theta; \\ E &= S - \ell \omega \cos \alpha, \end{aligned} \right\} \quad (10)$$

მივიღებთ  $V_{O_2}^2$ -ის ახალ მნიშვნელობას

$$V_{O_2}^2 = B^2 + E^2.$$

მაშინ (1) ტოლობის ფრჩხილებიანი გამოსახულების მესამე წევრი ჩაიწერება ამ სახით:

$$I_{O_3} \omega_2^2 = m_2 \frac{\ell_2^2}{3} \cdot \frac{V_{O_2}^2}{\ell_2^2} = m_2 (B^2 + E^2) / 3. \quad (11)$$

რადგან  $I_{(F)} = (m_2 + m_3)(\ell_2 + \ell_3)^2 / 3$ , ხოლო  $\omega_3 = \omega_2$ , ამიტომ

$$J_{(F)} \omega_3^2 = C (m_2 + m_3) (B^2 + E^2), \quad (12)$$

სადაც

$$C = (\ell_2 + \ell_3)^2 / 3 \ell_2^2.$$

გადაცემის EF წვეთი სრული დამუხრუჭების დროს გადაადგილდება  $\delta$  მანძილით, რაც პრაქტიკულად 12-15 მმ-ია და შეიძლება ჩაითვალოს, რომ მისი გადაადგილება წრფივია შემობრუნების გარეშე, ამიტომ (10) ფორმულაში შემავალი სიდიდე  $I_F \omega_4^2 = 0$ , ხოლო წრფივი გადაადგილებისა და გადაადგილების სიჩქარის მნიშვნელობანი განისაზღვრება ტოლობებით:

A და S აღნიშვნების, ასევე (7) და (10) ტოლობების გათვალისწინებით, EF წვევის მასების  $S_4$  ცენტრის გადაადგილების სიჩქარე

$$V_{S_4} = B + \frac{\ell_2 + \ell_3}{\ell_2} Stg\theta. \quad (14)$$

მაშინ (1) ტოლობის მეხუთე წევრის მეორე მამრავლი მიიღებს სახეს:

$$V_{S_4}^2 = B^2 + kBStg\theta + k^2 S^2 tg^2\theta, \quad (15)$$

$$\left. \begin{aligned} X_{S_5} &= \ell \cos \alpha + x_1 + \ell_1 \cos \theta - x_2 - \ell_2 \cos \varphi + x_3 - \frac{\ell_5}{2} \cos \psi; \\ Y_{S_5} &= a + y_3 - \frac{\ell_5}{2} \sin \psi. \end{aligned} \right\} \quad (17)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $\psi$  კუთხე მცირე სიდიდეა, და  $\sin \psi \approx 0$ , ამიტომ (17) სისტემის მეორე განტოლებაში  $\ell_5 \sin \psi / 2 = 0$ , ამასთან (17)

$$\left. \begin{aligned} \dot{X}_{S_5} &= \dot{x}_1 - \dot{x}_2 - \ell \omega \sin \alpha + \ell_2 \dot{\varphi} \sin \varphi + \dot{x}_3 - \ell_1 \dot{\theta} \cos \theta = 0; \\ \dot{Y}_{S_5} &= \dot{y}_3. \end{aligned} \right\} \quad (18)$$

(10) სისტემის პირველი ტოლობის მხედველობაში მიღებით ვწერთ:

$$\left. \begin{aligned} \dot{X}_{S_5} &= B + \dot{x}_3 - Stg\varphi; \\ \dot{Y}_{S_5} &= \dot{y}_3. \end{aligned} \right\} \quad (19)$$

მაშინ (16) ტოლობა ჩაიწერება ამ სახით:

$$V_{S_5}^2 = (B + \dot{x}_3 + tg\varphi)^2 + \dot{y}_3^2. \quad (20)$$

ძრავიანი ვაგონის სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე  $\ell_5$  სიგრძის მქონე მეხუთე ბერკეტი თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს OX დერძის პარალელურ ან მასთან მიახლოებულ მდებარეობას, ამიტომ  $\psi$  კუთხის სიმცირის გამო შეიძლება ჩაითვალოს, რომ  $\dot{\psi} = \omega_5 = 0$ , და აქედან გამომდინარე  $I_{S_5} \omega_5 = 0$ .

საბოლოოდ (4), (5), (11), (12), (15) და (20) ფორმულების შეტანით (1) გამოსახულებაში სამუხრუჭო გადაცემის სრული კინეტიკური ენერგია შეიძლება ჩაიწეროს ასეთი სახით:

$$\begin{aligned} T = \frac{1}{2} \left\{ m_1 \left[ M^2 + D^2 + \ell_1 \dot{\theta} (D \cos \theta - M \sin \theta) + \frac{\ell_1^2}{3} \dot{\theta}^2 \right] + \right. \\ + m_2 (B^2 + E^2) / 3 + C (m_2 + m_3) (B^2 + E^2) + \\ + m_4 (B^2 + kBStg\theta + k^2 S^2 tg^2\theta) + \\ \left. + m_5 \left[ \dot{y}_3^2 + (B + \dot{x}_3 + Stg\varphi)^2 \right] \right\}. \quad (21) \end{aligned}$$

(21) ტოლობა გამოსახავს გადაცემის სრულ კინეტიკურ ენერგიას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადაცემის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების შესადგენად.

სადაც

$$k = (\ell_2 + \ell_3) / \ell_2.$$

$\ell_5$  სიგრძისა და მასების  $S_5$  ცენტრის მქონე ბერკეტისათვის შეიძლება დაიწეროს

$$V_{S_5}^2 = \dot{X}_{S_5}^2 + \dot{Y}_{S_5}^2. \quad (16)$$

მოცემული მოდელის მიხედვით (ნახ. 1) მართებულია ტოლობები:

სისტემის დიფერენცირების შემდეგ პირველი განტოლების ბოლო წევრიც ნულის ტოლია, ე.ი.

### 3. დასკვნა

1. სამუხრუჭო გადაცემის მოდელის შემადგენელი ბერკეტებისა და წვევების მოძრაობათა ჩატარებული ანალიზისა და დაშვებების შედეგად შესაძლებელი გახდა სრული კინეტიკური ენერგიის განსაზღვრა გეომეტრიული სტრუქტურისა და განზოგადებული პარამეტრების მიხედვით;

2. კინეტიკური ენერგიის განსაზღვრის მათემატიკური აპარატი რეალური დინამიკური კვლევის საწყისი ეტაპია, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის დინამიკური გამოკვლევისას;

3. ღრწოების განზოგადებული კოორდინატების გამოყენებამ შესაძლებელი გახდა მიღებული კინეტიკური ენერგიის გამოყენება დამატებით მოძრაობათა დიფერენციალური განტოლებების ფორმირების მიზნით.

### ლიტერატურა

1. Карминский Д.Э., Резников В.И. Научные методы регулировки тормозных рачажных передач// Сб. “Повышение эффективности автотормозов”, вып. 82, РИИЖТ, Ростов Н /Д, 1982, с.3-19.
2. Казаринов В.М., Иноземцев В.Г. Теоретические основы проектирования и эксплуатации автотормозов. Москва: Транспорт, 1978.-315 с.
3. Scott Cummings, Tom McCabe, Dan Gosselin. Brake shoes and mechanical shelling// Proceed. of ASME RTDF 2008 Conference. 24-25 September, 2008 Chicago, Illinois, USA. Vol.1. PN: RTDF 2008-74016.
4. გ. შარაშენიძე. ვაგონების დინამიკა. გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 2001. - 544 გვ.



5. გ. შარაშენიძე. ვაგონის სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის შემსრულებელი კვანძის დამატებით მოძრაობათა დიფერენციალური განტოლებები// საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები. თბილისი, 2006, ტ. XVI, გვ. 118-125.
6. გ. შარაშენიძე. ვაგონის მექანიკურ გადაცემის დინამიკა. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2009. -332 გვ.
7. Шарашенидзе Г.С., Долидзе М.Г. Оптимальная тормозная рычажная передача с двусторонним нажатием колодок моторного вагона электроезда // Труды ГТУ, № 2(472), Тбилиси, 2009, с. 92-95.
8. Sharashenidze G., Mgebrishvili N., Kurtanidze P. Improved system of a braking lever transmission for railcars//Proceed. of ASME RTDF 2008 Conference. 24-25 September, 2008. Chicago, Illinois,USA. Vol.1. PN: RTDF 2008-74006.

**UDC 656.2****MATHEMATICAL APPARATUS OF DEFINITION OF KINETIC ENERGY OF ELECTRIC TRAIN MOTOR CAR BRAKE ASSEMBLY WITH CLEARANCES****M. Dolidze**

Department of transport, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The mathematical apparatus of definition of kinetic energy provides compound movements of levers and rods, when during of full braking time the instant centre of rotation of the vertical lever twice changes the position. There are defined the moments of inertia of levers concerning the centre of masses and rotation, also the basic characterizing indicators of movement. There are received the corresponding analytical expressions are received. Expression of kinetic energy is presented in form with which help generated the differential equation of movement concerning the generalized co-ordinates is provided.

**Key words:** clearance; kinetic energy; brake assembly; lever; moment of inertia.

**УДК 656.2****МАТЕМАТИЧЕСКИЙ АППАРАТ ОПРЕДЕЛЕНИЯ КИНЕТИЧЕСКОЙ ЭНЕРГИИ ТОРМОЗНОГО УЗЛА С ЗАЗОРАМИ МОТОРНОГО ВАГОНА ЭЛЕКТРОПОЕЗДА****Долидзе М.Г.**

Департамент транспорта, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Математическим аппаратом определения кинетической энергии предусматриваются сложные движения рычагов и тяг, когда в течение времени полного торможения мгновенный центр вращения вертикального рычага дважды меняет своё положение. Определены моменты инерции рычагов относительно центра масс и вращения, а также основные характеризующие показатели движения. Получены соответствующие аналитические выражения. Выражение кинетической энергии представлено в форме, с помощью которой обеспечивается составление дифференциального уравнения движения относительно обобщённых координат.

**Ключевые слова:** зазор; кинетическая энергия; тормозной узел; рычаг; момент инерции.

*შემოსვლის თარიღი 28.09.09  
მიღებულია დასაბუქდად 09.10.09*

**შპს 656.2**

**სამგზავრო ვაგონის სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის ცვლადი კინეტიკური ენერჯის გაანგარიშება ღრეწობის ბათვალისწინებით**

**პ. კურტანიძე**

სატრანსპორტო დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: transcomgeorgia@gol.ge

**რეზიუმე:** ნაშრომში მოცემულია სამგზავრო ვაგონების სამუხრუჭო გადაცემის კინეტიკური ენერჯის გაანგარიშების მიმდევრობა ღრეწობის გათვალისწინებით სახსრულ შეერთებებში. ღრეწოს არეში შიგა ელემენტის მოძრაობის ფიზიკური არსის დადგენის მიზნით შემოტანილია ცვლადი საკოორდინატო სისტემები და შესაბამისი განზოგადებული ხაზოვანი და კუთხური კოორდინატები. კინეტიკური ენერჯის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია ბერკეტების შესაძლო მოძრაობები. მიღებულია კინეტიკური ენერჯის ანალიზური გამოსახულება, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებით მოძრაობათა დიფერენციალური განტოლებების შედგენის მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ღრეწო; რთული მოძრაობა; სახსარი; მუხრუჭი; ბერკეტი.

**1. შესავალი**


სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხოება დამოკიდებულია სამუხრუჭო სისტემის საიმედოობაზე და სრული დამუხრუჭების ეფექტიანობაზე [1]. სამუხრუჭო ავტომატური სისტემა და შესაბამისი ბერკეტული გადაცემა ძალური მოთხოვნების შესაბამისად მარტივი კონსტრუქციით უნდა ხასიათდებოდეს, გადაცემის გაზრდილი ფარდობით და მცირე ხმაურით დამუხრუჭებისას [2, 3], რაც არსებულ სამუხრუჭო სისტემებისათვის მიუღწევად პირობად ითვლება.

გაუმჯობესებული სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის შექმნით [6] გადაცემის ფარდობა გაიზარდა, მაგრამ გადაცემის დინამიკური დატვირთვების ნორმირების მიზნით, რაც ადრე მიუღწევად იქნა ვაგონის თვალზე ცალმხრივი დაწოლის მქონე სამუხრუჭო გადაცემისთვის [4, 5], აუცილებელი გახდა გადაცემის დინამიკური გამოკვლევა სახსრული შეერთებების ცვეთების გათვალისწინებით. სახსრული შეერთებების გაზრდილი არატექნოლოგიური ღრეწო წარმოადგენს ამ ელემენტების ურთიერთდარტყმების, მზარდი დინამიკური დატვირთვების შექმნისა და ბერკეტების დაზიანების ძირითად მიზეზს [7]. ამიტომ რეალური დინამიკური კვლევის ამოცანა დიდი აქტუალურობის მატარებუ-

ლია. ამ ამოცანის გადაწყვეტისთვის აუცილებელია შედგეს გადაცემის მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები, რაც პირველ რიგში კინეტიკური ენერჯის გაანგარიშებას მოითხოვს სახსრულ შეერთებებში გაზრდილი ღრეწოს არსებობისას.

**2. ძირითადი ნაწილი**

გაუმჯობესებული სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის კინეტიკური ენერჯის გაანგარიშების მიზნით  $XOY$  საკოორდინატო სისტემაში განვიხილავთ  $OBCDEFPO_2$  დინამიკურ მოდელს (იხ. ნახაზი). მოდელის მიხედვით გათვალისწინებულია ცვეთების შესაბამისი ღრეწოები  $\Delta_1, \Delta_2, \Delta_3$  და  $\Delta_4$  1-8, 1-2, 2-5 და 5-7 სახსრულ შეერთებებში. ამ შეერთებათა  $O_1, O_2, O_3$  და  $O_4$  ცენტრებში მოდებულია მოძრაი საკოორდინატო  $x_1O_1y_1, x_2O_2y_2, x_3O_3y_3$  და  $x_4O_4y_4$  სისტემები გადაცემის დამატებით მოძრაობებზე განზოგადებული ხაზოვანი  $x_i, y_i$  და კუთხური  $\varphi_i$  კოორდინატების ზეგავლენის აღწერის მიზნით.



სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის დინამიკური მოდელი

მოდელის მიხედვით სრული კინეტიკური  $T$  ენერგია

$$T = \frac{1}{2}(m_1 V_{S_1}^2 + I_{S_1} \omega_1^2 + I_{O_4} \omega_2^2 + m_5 V_{S_5}^2 + I_{S_5} \dot{\theta}^2 + I_{O_2} \omega_7^2), \quad (1)$$

სადაც  $V_{S_1}$ ,  $V_{S_5}$  არის BC და DP ბერკეტების მასების  $S_1$  და  $S_5$  ცენტრების მოძრაობის საზოგადო სიჩქარეები;  $I_{S_1}$ ,  $I_{S_5}$  -  $m_1$ , და  $m_5$  მასების  $S_1$  და  $S_5$  ცენტრების ინერციის მომენტები;  $I_{O_4}$ ,  $I_{O_2}$  - CD და PO<sub>2</sub> ბერკეტების ინერციის მომენტები ბრუნვის  $O_4$  და  $O_2$  ცენტრებისადმი;  $\omega_1$ ,  $\omega_2$ ,  $\omega_7$  - BC, CD და PO<sub>2</sub> ბერკეტების მობრუნების კუთხური სიჩქარეები.

მასების  $S_1$  ცენტრისათვის ვწერთ

$$V_{S_1}^2 = \dot{X}_{S_1}^2 + \dot{Y}_{S_1}^2, \quad (2)$$

სადაც  $X_{S_1}$ ,  $Y_{S_1}$  არის მასების  $S_1$  ცენტრის კოორდინატები XOY სისტემაში.

$$\left. \begin{aligned} X_{S_1} &= r \cos \alpha + x_1 + \frac{1}{2} \ell_1 \cos \varphi; \\ Y_{S_1} &= c + y_2 + \frac{1}{2} \ell_1 \sin \varphi. \end{aligned} \right\} \quad (3)$$

$$\left. \begin{aligned} \dot{X}_{S_1} &= \dot{x}_1 - r \omega \sin \alpha - \frac{1}{2} \ell_1 \dot{\varphi} \sin \varphi; \\ \dot{Y}_{S_1} &= \dot{y}_2 + \frac{1}{2} \ell_1 \dot{\varphi} \cos \varphi. \end{aligned} \right\} \quad (4)$$

მოდელის მიხედვით სამართლიანია იგივეობა  $r \sin \alpha + y_1 = \ell_1 \sin \varphi + y_2$ .

ამ ტოლობის დიფერენცირებით მივიღებთ  $\dot{\varphi}$ -ის მნიშვნელობას

$$\dot{\varphi} = \frac{1}{\ell_1 \cos \varphi} (r \omega \cos \alpha + \dot{y}_1 - \dot{y}_2). \quad (5)$$

(4) და (5) ტოლობების ძალით (2) გამოსახლება მიიღებს სახეს

$$V_{S_1}^2 = A^2 + \dot{y}_2^2 + \dot{y}_2 B + ABtg\varphi + \frac{1}{4} B^2 (1 + tg^2 \varphi), \quad (6)$$

სადაც  $A$  და  $B$  აღნიშვნები გამოისახება ტოლობებით:

$$A = -r \omega \sin \alpha + \dot{x}_1;$$

$$B = r \omega \cos \alpha + \dot{y}_1 - \dot{y}_2.$$

რადგან  $I_{S_1} = m_1 \ell_1^2 / 12$ , ხოლო  $\omega_1^2 = \dot{\varphi}^2$ , ამიტომ

$$I_{S_1} \omega_1^2 = m_1 B^2 / 12 \cos^2 \varphi. \quad (7)$$

CD ბერკეტის ბრუნვითი მოძრაობისათვის

$$\begin{aligned} J_{O_4} &= J_{S_2} + m_2 \left( \frac{\ell_2}{2} \right)^2 = \\ &= m_2 \ell_2^2 / 12 + m_2 \ell_2^2 / 4 = m_2 \ell_2^2 / 3. \end{aligned} \quad (8)$$

მოდელის მიხედვით შეიძლება დაიწეროს იგივეობა

$$c + r \sin \alpha + y_1 =$$

$$= \ell_1 \sin \varphi + y_2 + \left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right) \sin \psi + d, \quad (9)$$

რომლის დიფერენცირებისა და აღგებრული გარდაქმნების შედეგად მივიღებთ:

$$\dot{\psi} = \omega_2 = B(1 - tg\varphi) / \left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right) \cos \psi. \quad (10)$$

$m_2$  მასების  $S_2$  ცენტრის საზოგადო სიჩქარის კვადრატო

$$V_{S_2}^2 = \dot{X}_{S_2}^2 + \dot{Y}_{S_2}^2 = \left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right) \omega_2^2. \quad (11)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$\left. \begin{aligned} X_{S_1} &= r \cos \alpha + x_1 - \ell_1 \cos \varphi - x_2 - \frac{\ell_2}{2} \cos \psi; \\ Y_{S_1} &= \left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right) \sin \psi + d; \\ \dot{X}_{S_2} &= A + Btg\varphi - \dot{x}_2 + \frac{B}{\cos \psi} (1 - tg\varphi); \\ \dot{Y}_{S_2} &= \left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right) \dot{\psi} \cos \psi, \end{aligned} \right\} \quad (12)$$

ფორმულა (11) მიიღებს სახეს:

$$V_{S_2}^2 = (A + B - \dot{x}_2)^2 + B^2 (1 - tg\varphi)^2. \quad (14)$$

მაშინ, (8) და (14) ფორმულების გათვალისწინებით შეიძლება დაიწეროს:

$$I_{O_4} \omega_2^2 = km_2 \left[ (A + B - \dot{x}_2)^2 + B^2 (1 - tg\varphi)^2 \right], \quad (15)$$

სადაც

$$k = \frac{\ell_2^2}{3} / \left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right)^2. \quad (16)$$

DP ბერკეტის რთული მოძრაობის კინეტიკური ენერგია გამოისახება (1) ტოლობის ფრჩხილებში მოთავსებული მრავალწევრის მეოთხე და მეხუთე წევრების ჯამით. მასების  $S_5$  ცენტრისთვის ვწერთ ტოლობას:

$$V_{S_5}^2 = \dot{X}_{S_5}^2 + \dot{Y}_{S_5}^2 \quad (17)$$

თავის მხრივ  $X_{S_5}$  და  $Y_{S_5}$  კოორდინატებისთვის გვექნება:

$$\left. \begin{aligned} x_{S_5} &= a + x_3 - \frac{1}{2} \ell_5 \cos \theta; \\ y_{S_5} &= d + y_3 - \frac{1}{2} \ell_5 \sin \theta; \end{aligned} \right\} \quad (18)$$

$$\left. \begin{aligned} \dot{X}_{S_5} &= \dot{x}_3 + \frac{1}{2} \ell_5 \dot{\theta} \sin \theta; \\ \dot{Y}_{S_5} &= \dot{y}_3 - \frac{1}{2} \ell_5 \dot{\theta} \cos \theta. \end{aligned} \right\} \quad (19)$$

მობრუნების კუთხური  $\dot{\theta}$  სიჩქარის გათვალისწინებით ვწერთ იგივეობას:

$$\ell_3 \sin \psi + y_3 = \ell_5 \sin \theta. \quad (20)$$

ამ უკანასკნელ ტოლობიდან განისაზღვრება  $\dot{\theta}$

$$\dot{\theta} = (\ell_3 \dot{\psi} \cos \psi + y_3) / \ell_5 \sin \theta. \quad (21)$$

(17) ტოლობის მიხედვით

$$V_{S_5}^2 = \left( \dot{x}_3 + \frac{\ell_5}{2} \dot{\theta} \sin \theta \right)^2 + \left( \dot{y}_3 - \frac{\ell_5}{2} \dot{\theta} \cos \theta \right)^2, \quad (22)$$

სადაც  $\dot{\theta}$ -ის მნიშვნელობა (10) ტოლობის გათვალისწინებით განისაზღვრება გამოსახულებით

$$\dot{\theta} = N \frac{B}{\cos \theta} (1 - tg \varphi) + \frac{\dot{y}_3}{\ell_5 \cos \theta}. \quad (23)$$

თავის მხრივ

$$N = \ell_3 \sqrt{\left( \ell_3 + \frac{\ell_2}{2} \right)}.$$

DP ბერკეტის ბრუნვის კინეტიკური ენერჯია მასების  $S_5$  ცენტრის  $I_{S_5}$  ინერციის მომენტისა და მობრუნების კუთხური  $\dot{\theta}$  სიჩქარის ნამრავლის ტოლია, ე.ი.

$$I_{S_5} \dot{\theta}^2 = m_5 \frac{\ell_5^2}{12} \left[ N \frac{B}{\cos \theta} (1 - tg \varphi) + \frac{\dot{y}_3}{\ell_5 \cos \theta} \right]^2. \quad (24)$$

PO<sub>2</sub> ინერციის მომენტი ბრუნვის  $O_2$  ცენტრის მიმართ

$$I_{O_2} = \frac{m_7}{12} \ell_7^2 + m_7 \left( \frac{\ell_7}{2} \right)^2 = m_7 \frac{\ell_7^2}{3}. \quad (25)$$

შესაბამისი კუთხური სიჩქარე PO<sub>2</sub> ბერკეტისთვის

$$\omega_7 = V_{S_7} / \frac{\ell_7}{2}, \quad (26)$$

ხოლო მასების  $S_7$  ცენტრის სიჩქარის კვადრატით

$$V_{S_7}^2 = \dot{X}_{S_7}^2 + \dot{Y}_{S_7}^2. \quad (27)$$

$X_{S_7}$  და  $Y_{S_7}$  კოორდინატების, ასევე მათი სიჩქარეთა კვადრატების განსაზღვრის შემდეგ განისაზღვრება  $V_{S_7}^2$  და  $\omega_7^2$ -ის მნიშვნელობანი. საბოლოოდ ამ მნიშვნელობათა და (6), (7), (15), (24) ტოლობების შეტანით (1) ფორმულაში მივიღებთ:

$$\begin{aligned} T = & \frac{1}{2} m_1 \left[ A^2 + \dot{y}_2^2 + B \dot{y}_2 + AB tg \varphi + \right. \\ & \left. + \frac{1}{4} B^2 \left( 1 + tg^2 \varphi + \frac{1}{3 \cos^2 \varphi} \right) \right] + \\ & + \frac{1}{2} m_2 k \left[ (A + B - \dot{x}_2)^2 + B^2 (1 - tg^2 \varphi)^2 \right] + \\ & + \frac{1}{2} m_5 \left[ \left( \dot{x}_3 + \frac{\ell_5}{2} \dot{\theta} \sin \theta \right)^2 + \left( \dot{y}_3 - \frac{\ell_5}{2} \dot{\theta} \cos \theta \right)^2 \right] + \\ & + \frac{1}{24} m_5 \ell_5^2 \left[ N \frac{B}{\cos \theta} (1 - tg \varphi) + \frac{1}{\ell_5 \cos \theta} \dot{y}_3 \right]^2 + \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & + \frac{1}{3} m_7 \ell_7 \left[ (1 - tg \varphi) (NB tg \theta - 1) + \dot{x}_3 + \right. \\ & \left. + NB tg \theta \dot{y}_3 + \frac{1}{2} \ell_7 \dot{\zeta} \sin \zeta \right] + \frac{1}{12} m_7 \ell_7^3 \dot{\zeta}^2 \cos \zeta \quad (28) \end{aligned}$$

იმის გამო, რომ  $\Delta_4$  დრეხო სრული კინეტიკური ენერჯიის მნიშვნელობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს, ამიტომ მივიჩნევთ, რომ  $\Delta_4 = 0$  და (28) ფორმულა PO<sub>2</sub> ბერკეტის მხოლოდ იდეალურ კინეტიკურ ენერჯიას ითვალისწინებს.

### 3. დასკვნა

1. სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის რეალური დინამიკური მოდელის პრინციული წყობის ელემენტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა სახის გადაცემის რეალური დინამიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით;

2. მოძრავი საკოორდინატო სისტემების განზოგადებული კოორდინატების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ყველა შესაძლო მოძრაობის პირობებში შემაღლებული ბერკეტების სრული კინეტიკური ენერჯიის განსაზღვრა.

3. გადაცემის სრული კინეტიკური ენერჯია განსაზღვრულია ანალიზური ფორმით, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების შედგენის პროცესში.

### ლიტერატურა

- Garg V.K., Dukkipati R.V. Dynamics of railway vehicle systems. Academic Press, New York, 1984. - 391 p.
- Крылов В.И., Крылов В.В. Автоматические тормоза подвижного состава. Москва: Транспорт, 1982. - 320 с.
- Крылов В.И., Крылов В.В. Автоматические тормоза. Москва: Транспорт, 1983. - 256 с.
- გ. შარაშენიძე. ვაგონების დინამიკა. გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 2001. - 544 გვ.
- გ. შარაშენიძე. ვაგონის მექანიკურ გადაცემის დინამიკა. საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2009. - 332 გვ.
- Sharashenidze G., Mgebrishvili N., Kurtanidze P. Improved system of a braking lever transmission for railcars// Proceed. of ASME RTDF 2008 Conference. 24-25 September, 2008. Chicago, Illinois, USA. Vol.1. PN: RTDF 2008-74006.
- Scott Cummings, Tom McCabe, Dan Gosselin. Brake shoes and mechanical shelling// Proceed. of ASME RTDF 2008 Conference. 24-25 September, 2008 Chicago, Illinois, USA. Vol.1. PN: RTDF 2008-74015.

---

**UDC 656.2****CALCULATION OF VARIABLE KINETIC ENERGY OF BRAKE LEVER TRANSMISSION OF CARRIAGE WITH ACCOUNT OF CLEARANCES****P. Kurtanidze**

Department of transport, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is given calculation of kinetic energy of brake transmission of carriages with the account of clearances in hinged connections. There are entered moving coordinates for the purpose of the definition of the physical phenomena in the clearance range, and also the corresponding generalized linear and angular co-ordinates. There are considered the possible movements of levers at definition of kinetic energy. There is received the analytical expression of kinetic energy, which can be used successfully for drawing up of the differential equations of additional movements.

**Key words:** clearance; compound movement; hinge; brake; lever.

---

**УДК 656.2****РАСЧЁТ ПЕРЕМЕННОЙ КИНЕТИЧЕСКОЙ ЭНЕРГИИ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ ПАССАЖИРСКОГО ВАГОНА С УЧЁТОМ ЗАЗОРОВ****Куртанидзе П.Р.**

Департамент транспорта, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Дается расчёт кинетической энергии тормозной передачи пассажирских вагонов с учётом зазоров в шарнирных соединениях. Введены подвижные системы координат с целью описания физических явлений в поле зазора, а также соответствующие обобщённые линейные и угловые координаты. При определении кинетической энергии учтены возможные движения рычагов. Получено аналитическое выражение кинетической энергии, которое можно успешно использовать для составления дифференциальных уравнений добавочных движений.

**Ключевые слова:** рычаг; зазор; сложное движение; шарнир; тормоз.

*შემოსვლის თარიღი 09.10.09  
მიღებულია დასაბუჯდად 30.11.09*

# ჰუმანიტარულ-სოციალური სექცია

უპკ 801.3

ვერბალური კომუნიკაცია და მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის  
თავისებურებანი

ნ. გამყრელიძე

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.gamkrelidze@mail.ru

**რეზიუმე:** ნაშრომის მიზანია კომუნიკაციის პროცესში სტრუქტურული თვალსაზრისით ქცევითი, ემოციური და კოგნიტიური კომპონენტების გამოყოფა, რაც გარე სამყაროში სუბიექტის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაციის პროცესთან არის დაკავშირებული. საზგასმულია ასევე კომუნიკაციის პროცესის თანამდგომი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი, რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს როგორც ენის სტრუქტურაზე, ასევე მის ლექსიკურ შემადგენლობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ვერბალური კომუნიკაცია; ემოციურ-შეფასებითი კრიტერიუმი; სამეტყველო ქმედების კომუნიკაციური სპეციფიკა; ქცევითი, ემოციური და კოგნიტიური კომპონენტები; კოლური სიტყვა.

## 1. შესავალი

ცნობილა, რომ ადამიანი მისი სუბიექტური ბუნებიდან გამომდინარე სოციალურ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმას – ვერბალური კომუნიკაციის უნარს ფლობს. ადამიანის მიზანმიმართული ქმედების განხორციელება შეუძლებელია კომუნიკაციის პროცესის გარეშე. მიმართებები, რომლებიც სუბიექტებს შორის ყალიბდება ერთობლივი ფიზიკურ-შემოქმედებითი, პრაქტიკული თუ მორალურ-სულიერი ურთიერთობების პროცესში შეიძლება შევავსოთ, როგორც „ინტერსუბიექტური მიმართებები“. აღნიშნული მოცულობითი კატეგორია და აერთიანებს ადამიანებს შორის შესაძლო ურთიერთობების ყველა სფეროს: სამსახურებრივს, სასწავლოს, პოლიტიკურს, ზნეობრივ-მორალურს, ფსიქოლოგიურს, ოჯახურს და ა.შ. ამგვარი „ინტერსუბიექტური მიმართებები“ შესაძლოა ოფიციალური იყოს ანუ ოფიციალური დოკუმენტით სანქციონირებული და არაოფიციალური, რაც გულისხმობს ურთიერთმიმართებათა ფორმებს, რომლებიც ოფიციალური დოკუმენტაციით არ რეგულირდება. საყურადღებოა, რომ „ინტერსუბიექტური მიმართებები“ კომუნიკაციის პროცესში ემოციურ-შეფასებითი კრიტერიუმებით ხასიათდება. აღნიშნული ნაშრომის

მიზანია სუბიექტის სამეტყველო ქმედების კომუნიკაციური სპეციფიკის დადგენა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ჩამოყალიბებული „ინტერსუბიექტური მიმართებების“ ფსიქო-ლინგვისტურ ჭრილში განხილვა.

## 2. ძირითადი ნაწილი

ვერბალური კომუნიკაციის პროცესი სტრუქტურული თვალსაზრისით შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან: 1. ქცევითი; 2. ემოციური; 3. კოგნიტიური [1]. ქცევითი კომპონენტი შეიცავს ვერბალური კომუნიკაციის ისეთ თანამდგომ მარკერებს, როგორცაა სუბიექტის მიმიკა, უესტიკულაცია, რაც სათანადოდ აღიქმება საკომუნიკაციო აქტის მონაწილე ყველა წევრის მიერ. ემოციური კომპონენტი პირველ რიგში გულისხმობს დადებით ან უარყოფით ემოციურ შეფერილობას, სუბიექტის განწყობას სხვა სუბიექტის მიმართ, ემოციურ მგრძობელობას, თვითკმაყოფილებას ან კმაყოფილებას სოციალური ყოფითა და სოციალური გარემოთი. აღნიშნული კომპონენტისათვის მნიშვნელოვანია დადებითი ან უარყოფითი ემოციური განწყობილების დემონსტრირება საკომუნიკაციო აქტში მონაწილე ყველა წევრისათვის. კოგნიტიური კომპონენტი გულისხმობს ყველა ურთიერთგანპირობებული და ურთიერთდამოკიდებული ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური პროცესების ერთობლიობას, რომლებიც გარე სამყაროსა და ამ სამყაროში სუბიექტის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაციის პროცესთან არის დაკავშირებული. აღნიშნული გულისხმობს სუბიექტის - შეგრძნებებს, წარმოდგენებს, მესხიერებას, აზროვნებას, სამყაროს აღქმის უნარს და ა.შ. გარდა ამისა კოგნიტიური კომპონენტი კომუნიკანტთა შორის არსებული ურთიერთგაგების ყველა ნიუანსით ხასიათდება, მათ შორის სწორი იდენტიფიცირებისა და ადეკვატური აღქმის უნარით.

„ინტერსუბიექტური მიმართებების“ წარმოქმნისა და განვითარების საფუძველი სუბიექტებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმებია. ცნებები „ურთიერთობა“ და „ურთიერთმიმართება“ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მხოლოდ „ურთიერთობა“ და „ურთიერთმიმართება“, როგორც ადამიანთა შორის თანაარსებო-

ბის ყველაზე განვითარებული ფორმა, გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ცოდნა, გავცვალოთ გამოცდილება, შექმნილი უნარ-ჩვევები, ღირებულებები და მსოფლმხედველობითი ორიენტირები. ამგვარი ინფორმაციული გაცვლა განსაკუთრებით შედეგიანია, თუკი სუბიექტებს შორის ყალიბდება ე.წ. „ინტერსუბიექტური მიმართებები“, რომლებიც ისეთი კომპონენტების არსებობას ითვალისწინებს, როგორცაა: სუბიექტებს შორის ურთიერთაღქმა, ურთიერთგაგება, ურთიერთსიმაპათია, ურთიერთხეგავლენა და ა.შ. [2]. სუბიექტის მზადყოფნა სხვა სუბიექტთან ნებისმიერი ტიპის ურთიერთობისათვის, იქნება ის მეგობრული, ნათესაური, ახლობლური, ოჯახური თუ პარტნიორული, წარმოადგენს „ინტერსუბიექტური მიმართებების გარკვეულ ერთ რომელიმე კონკრეტულ ტიპს. მათი მოტივაციის სტრუქტურა შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. ასე მაგალითად, „მეგობრული ურთიერთმიმართებების“ შემთხვევაში კომუნიკაციური პროცესის წარმოშობის იმპულსი თვით სუბიექტის ერთგვარ „კომუნიკაციურ მოთხოვნილებაში“ უნდა ვეძიოთ, რომელსაც ის ახორციელებს მისთვის სულიერად, ინტელექტუალურად, ვიზუალურად და მორალურად სასურველ საკომუნიკაციო პარტნიორთან. ამგვარი „მეგობრული ურთიერთმიმართებების“ წარმოშობა და შემდგომი განვითარება ცხადია განისაზღვრება თანამშრომლობის რეალიზების ერთობლივი მოტივაციით. ამ ტიპის ურთიერთმიმართებათა მოტივაციის სტრუქტურა ყოველი სუბიექტისათვის ინდივიდუალურია. ის შეიძლება წარმოიქმნას და განვითარდეს, როგორც ახლობლურ-მეგობრული ურთიერთმიმართებები, გადაიზარდოს ურთიერთმიმზიდველ, ურთიერთმოწონებით, ან თუნდაც ურთიერთდამოკიდებულ ოჯახურ მიმართებებში. ამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ „ინტერსუბიექტური მიმართებების“ შესწავლის საინტერესო მოდელი არის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატით დამუხტული სასწავლო და საწარმოო კოლექტივები, საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი და რა თქმა უნდა ოჯახი, შიგაოჯახური მიმართებების გათვალისწინებით.

ცხადია, ადამიანურ ურთიერთმიმართებათა ყველაზე ეფექტური საშუალება სამეტყველო ენაა, რომელსაც ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ვიყენებთ. ადრესატის მიზანი საკომუნიკაციო აქტის პროცესში სწორედ ადრესატის საკომუნიკაციო ქმედების სწორი მართვაა. ამიტომ ინფორმაცია, რომელსაც კომუნიკაციის პროცესში გავცემთ უნდა იყოს რაციონალური და ემოციურად შეფერილი. კომუნიკაციის პროცესში დასახული ინტენციის მიღწევის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, რომ სამეტყველო კომუნიკაციის თეორია ორიენტირებულ იქნეს სუბიექტის ადეკვატურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მზაობაზე. ცნობილია, რომ საზოგადოებაში ყველა ინდივიდი გარკვეულ სოციალურ

ფუნქციას ასრულებს, ფლობს კონკრეტულ სოციალურ სტატუსს და მოღვაწეობს სრულიად განსხვავებულ სოციალურ სფეროებში. ამიტომ სუბიექტის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციური ქმედება დეტერმინირებულია მისი სოციალური როლით და სტატუსით. სუბიექტის სტატუსში არა მარტო იმ სოციალურ ჯგუფს ვგულისხმობთ, რომელსაც ის ეკუთვნის ან მის თანამდებობრივ მდგომარეობას, არამედ მის ასაკს, სქესს და მის გარემომცველ პარტნიორთა ასაკობრივ მოცემულობას.

ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას ყოველთვის თან სდევს ურთიერთმიმართებათა გაერცობა-გადრმავება სამსახურებრივ გარემოცვაში, სოციალურ ჯგუფში. პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ სოციალურ ჯგუფში ვერბალური კომუნიკაცია ყოველთვის მიზნად ისახავს, საერთო პროფესიული დასახული მიზნის მიღწევისათვის საჭირო მიზანმიმართულ კომუნიკაციურ პროცესს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ მეზღვაურთა, ჯარისკაცთა, მონადირეთა, ექიმთა და სხვა სოციალურ-პროფესიულ დაჯგუფებათა სამეტყველო ლექსიკის ნიმუშები და დავრწმუნდებით, რომ კომუნიკაციის პროცესი ამგვარ სოციალურ-ჯგუფებში არა მარტო ინფორმაციული, არამედ მნიშვნელოვანი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის მატარებელია. სოციალურ ჯგუფებში სამეტყველო ენა გამოიყენება, როგორც სოციალური ჯგუფის იდენტიფიკატორი და განმასხვავებელი ნიშანი. იდენტიფიკატორის როლში ხშირ შემთხვევაში გვევლინება ე.წ. „კოლური სიტყვა“ ან „კოლური ფრაზა“. კომუნიკანტი იყენებს, რა აღნიშნულ „კოლს“ იგი საკუთარ თავს მკაფიოდ მიაკუთვნებს ამა თუ იმ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს. გარდა აღნიშნულისა, სამეტყველო ენა ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებაა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის.

სამეტყველო ენა უნიკალურ უნარს ფლობს, გამოიმუშავოს ე.წ. სპეციალური „სუბ-ენა“, რომელიც სპეციალიზებულია „ინტერჯგუფური“ ეფექტური კომუნიკაციისათვის. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ „სავაზეთო პუბლიცისტური“ ან „ოფიციალურ-საქმიანი“ ე.წ. „საკანცელარიო“ ენა. ამ კუთხით მართებულად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ ადგილი ერთგვარ „უკუპროცესსაც“ აქვს. კერძოდ, კომუნიკაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი უშუალო ხეგავლენას ახდენს ენის, როგორც სტრუქტურაზე, ასევე მის ლექსიკურ შემადგენლობაზე. აღნიშნული თვალსაჩინოდ ჩანს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის განხორციელებული ე.წ. „ინტერჯგუფური“ კომუნიკაციური პროცესის დროს. ამ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ პრობლემას, რაც თან სდევს საზოგადოების პროფესიული ან სოციალური ნიშნით სტრატეგიკაციის პროცესს. ამის ნიმუშად საკმარისია დავასახელოთ სპე-

ცილიზებული ენობრივი ქვესისტემები, როგორცაა, მაგალითად, „მეცნიერული ენა“ „სამართლისა და იურისპრუდენციის ენა“ „ეკონომიკის ენა“ და ა.შ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კომუნიკაციის პროცესში ენობრივ საშუალებათა შერჩევა დამოკიდებულია არა მარტო კომუნიკანტთა სოციალურ სტატუსზე, არამედ მთელ რიგ გარემოგანმაპირობებელ ფაქტორებზე. განმსაზღვრელ კრიტერიუმად შეიძლება თვით სამეტყველო ურთიერთობის სტილი ჩავთვალოთ, ანუ არის ის საქმიანი, ოფიციალური და ამდენად დღის წესრიგითა და პროტოკოლის ჩარჩოთი მართული, თუ პირიქით, იგი მეგობრული და არაოფიციალურია. ცხადია, ვერბალური კომუნიკაციის პროცესში შესაძლოა წარმოიშვას სრულიად სპეციფიკური ე.წ. „კომუნიკაციური ბარიერები“. აღნიშნულს შეიძლება ადვილი იმ შემთხვევაში ჰქონდეს, თუკი კომუნიკანტები სამეტყველო სიტუაციას არასწორად ან განსხვავებულად აღიქვამენ. ამგვარი „კომუნიკაციური ბარიერები“ განსაკუთრებით ხშირია კომუნიკანტთა განსხვავებული „საბაზისო ცოდნის“, ინტელექტის ან სხვა უფრო სიდრმისეული პლანის განსხვავებების არსებობის დროს. ეს შეიძლება იყოს სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტუროლოგიური, პროფესიული განსხვავებები, რაც სამყაროს ენობრივი ხატის და მისი კულტუროლოგიური განზომილების განსხვავებულად აღქმის საწინდარს წარმოადგენს [3].

### 3. დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე სამეტყველო ქმედების კომუნიკაციური ასპექტის აღწერისას დასკვნის სახით შეიძლება გამოვყოთ რომ:

1. სამეტყველო ქმედება არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ ინფორმაციის ადრესატამდე გაგზავნის პროცედურა. ის არ არის სივრცესა და დროში ე.წ. „ინფორმაციული გადაადგილების“ პროცესს, არამედ გულისხმობს ორ სუბიექტს შორის ვერბალურ ურთიერთმიმართებებს. მათ შორის ინფორმაციის გაცვლა მათი ურთიერთობის ჰარმონიული თანაარსებობის, თანამ-

შრომლობის და საგნის ან მოვლენის ერთობლივი ცნებით-კონცეპტუალური აღქმის საწინდარია.

2. კომუნიკანტთა შორის ინფორმაციის გაცვლა გულისხმობს ნიშანთა სისტემის მეშვეობით ურთიერთზეგავლენის მოხდენას – ანუ კომუნიკაციის პროცესი უკვე საწყისშივე გულისხმობს პარტნიორზე კომუნიკაციურ ზემოქმედებას ინტენციით – შეცვალოს საკომუნიკაციო პარტნიორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის მიმართ.

3. კომუნიკაციური ზემოქმედება სამეტყველო პროცესში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკომუნიკაციო აქტის ყველა მონაწილე მეტ-ნაკლებად თანაბარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ფლობს და ესა თუ ის ენობრივი ნიშანი ცნებით-კონცეპტუალურ პლანში იდენტურად აღიქმება საკომუნიკაციო აქტის ყველა მონაწილის მიერ.

4. საკომუნიკაციო აქტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომუნიკანტები საერთო სამეტყველო საწყისებს ფლობენ და აქვთ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური და კულტუროლოგიური აღქმის იდენტური გამოცდილება.

5. „ინტერლინგვისტური“ და „ინტერკულტურული“ კომუნიკაცია არის კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა კულტურათა ნაციონალურ-სპეციფიკური ელემენტების გათვალისწინებით. აღნიშნული ვლინდება ენობრივ სისტემაში კოდირებული მნიშვნელობის და ენათა და კულტურათა შედარება-შეპირისპირების პროცესში.

### ლიტერატურა

1. Обозов Н.Н. Межличностные отношения // Сб. тр. Ленинград, ЛГУ, 1979, стр. 47-51.
2. Ольшанский В.Б. Межличностные отношения. - В кн. Социальная психология. Москва: Наука, 1975, стр. 75-82.
3. Гумбольдт В. О различии строения человеческих языков и его влияние на духовное развитие человечества // Избр. труды по языкознанию. Москва: Прогресс, 1984, стр. 100.

## UDC 801.3

## THE VERBAL COMMUNICATION AND FEATURES OF ITS SOCIAL - PSYCHOLOGICAL ASPECT

N. Gamkrelidze

Department of foreign languages and communications, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The purpose of the given work is allocation with structural points of view emotional and cognitive components in communication process. Given allocation is connected with process of identification of the person in an external world. Also underline social-psychological aspect accompanying process of the communications, that renders direct influence both on structure of language, and on its lexical structure.

**Key words:** the verbal communications, emotional - estimated criterion, communicative specificity of speech action, behavioural, emotional and cognitive components, a code word.



**УДК 801.3****ВЕРБАЛЬНАЯ КОММУНИКАЦИЯ И ОСОБЕННОСТИ ЕЕ СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКОГО АСПЕКТА****Гамკრელიძე Н.О.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Целью данной работы является выделение, со структурной точки зрения, эмоционального и когнитивного компонентов в процессе коммуникации. Данное выделение связано с процессом идентификации личности во внешнем мире. Подчеркнут также социально психологический аспект, сопровождающий процесс коммуникации, что оказывает непосредственное влияние как на структуру языка, так и на его лексический состав.

**Ключевые слова:** вербальная коммуникация; эмоционально-оценочный критерий; коммуникативная специфика речевого действия, поведенческий, эмоциональный и когнитивный компоненты; кодовое слово.

*შემოსვლის თარიღი 25.12.08  
მიღებულია დასაბეჭდად 18.01.09*

**შპაგ 801.3****ნაციონალური და ეთნოკულტუროლოგიური სტიმულირების ფრაზეოლოგიური სემანტიკის ჩამოყალიბებისა და აღქმის პროცესში****ნ. გამკრელიძე**

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.gamkrelidze@mail.ru

**რეზიუმე:** ფრაზეოლოგიზმების ლოგიკურ-სემანტიკური საფუძველი სხვადასხვა ენაში ტიპოლოგიურად ედრება ერთმანეთს. მათი კონკრეტული ლექსიკური შემადგენლობა გამოხატულების პლანში განუმეორებელი და განსაკუთრებულია. ფრაზეოლოგიური ერთეულები განხილულია, როგორც კულტუროლოგიური ფაქტი სტერეოტიპიზაციის მომენტებისა და ნაციონალური ნიუანსების გათვალისწინებით. კულტურა კაცობრიობის განზოგადოებულ მესხიერებასთან გაიგივდება და აღიქმება, როგორც კოლექტიური ქმნილება, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების სისტემა.

**საკვანძო სიტყვები:** ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ტრანსფორმაცია; ეთნოკულტუროლოგიური და ნაციონალური სტერეოტიპების მნიშვნელობა; კულტუროლოგიური კონცეპტუალიზაცია; ფრაზეოლოგიური სემანტიკა; ნომინაციური ერთეულის ინტეგრირებული მნიშვნელობა.

**1. შესავალი**

ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად ენა და აზრი, ენა და ისტორია, ენა და კულტურა ურთიერთგანპირობებული მოვლენებია და განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. საზოგადოების ცხოვრება ბუნებრივია ენაში აისახება, რაც ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის განსაკუთრებულ, ემოციურ, სტილისტურ-ესთეტიკურ შეფერილობას განაპირობებს. ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის განვითარებაში თანაბარ მონაწილეობას ნაციონალური და ინტერნაციონალური ტენდენციები ღებულობს. შეინიშნება ასევე სემანტიკური კანონზომიერებების გადააზრება და ოკაზიონალურობის მომენტი. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს საგნის, რეალობის ან მოვლენის სიტყვაში ამოცნობის ერთგვარ ცდას ანუ მცდელობას გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა ამოვიცნოთ საგანი-რეალობა ან მოვლენა სიტყვაში.

## 2. ძირითადი ნაწილი

ლინგვისტიკაში მიღებული მოსახრების თანხმად ექსტრალინგვისტური პლანი გვაძლევს სიტყვის და საგნის, სიტყვის და მოვლენის, სიტყვის და იდეის ერთგვარი გაერთიანების შესაძლებლობას და გვეხმარება ჩავევდეთ საგნის ან იდეის არსს, მასში სემანტიკის ნაციონალური თავისებურებების გამოყოფის მიზნით. სიტყვის რთული და მრავალწახნაგოვანი სურათი ასახავს საზოგადოების, ხალხის კულტურას. პრობლემა „სიტყვა-ხატი“ განეკუთვნება ენის იმპლიციტურ მხარეს. „ხატი“ ყოველთვის პოულობს თავის ვერბალურ გამოხატულებას და განისაზღვრება ექსტრალინგვისტური ხასიათის ასოციაციური კავშირებით. სიტყვების, საგნების და იდეების ურთიერთმიმართებები მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად რთულია გაავლო ზღვარი რეალობასა და სიტყვის ისტორიას, ენასა და ხალხის კულტურას შორის. სიტყვაში ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრება აისახება, მნიშვნელობა კი, ამ სიტყვის სულიერ სამყაროს განეკუთვნება, მის „სულს“ წარმოადგენს [1]. ადამიანის ენობრივ ქმედებაში ფრაზეოლოგიზმების, როგორც ყველაზე თვითმყოფადი, რთული და მრავალფეროვანი მოვლენის გამოყენება ინტელექტუალური პროცესია. ფრაზეოლოგიური ერთეულები, ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი, ფრთოსანი გამოთქმები, იდიომები, ანდაზები აბსტრაქტული აზროვნების მხატვრული ხერხებით გამოვლინების საშუალებას წარმოადგენს. ისინი აკეთილშობილებენ ენას და ასახავენ მისი ნაციონალური თვითმყოფადობის თავისებურებებს. სიტყვის ნორმატიული მნიშვნელობა მყარი და თავისუფალია. სიტყვის თავისუფალ მნიშვნელობასა და ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას შორის აზრობრივი ხიდის არსებობა არათავისთავადი, თუმცა დასაშვები და შესაძლებელია. სინამდვილის ერთი და იგივე ფრაგმენტის, ერთი და იგივე საგნის და მოვლენის აღსანიშნავად ენა ორ სხვადასხვა საშუალებას მიმართავს: სიტყვას და შესიტყვებას. ცნობილია, რომ ბუნებაში ყველაფერი მოწესრიგებული და კანონზომიერია. ეს მოცემულობა შესაძლებელია მხოლოდ რაღაც გადაუღებელმა აუცილებლობამ დაარღვიოს. ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოშობა სწორედ ამგვარი, „დარღვევის აუცილებლობით“ არის განპირობებული. ფრაზეოლოგიზმებში ხშირია ე.წ. „უკუღმა შემობრუნებული“, გადატანითი მნიშვნელობები. ფრაზეოლოგიურად განპირობებული მნიშვნელობა სემანტიკური ცვლილების სხვადასხვა ხარისხს გვიჩვენებს. ერთი მხრივ სახეზეა სიტყვათა გარკვეულ კონტექსტში შექმნილი გადატანითი მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ შეიმჩნევა საგნობრივი მნიშვნელობის დაკარგვა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიურ მნიშვნე-

ლობებში სახეზეა ორი განსხვავებული პროცესი: 1. მნიშვნელობის გადატანა; 2. საგნობრივი მნიშვნელობის დაკარგვა.

სიტყვა მისი მოქნილი ბუნებიდან გამომდინარე ფლობს უნიკალურ უნარს, შეიძინოს ახალი სემანტიკური შეფერილობა და ახალ ფრაზობრივ გარემოცვაში განიცადოს აზრობრივი ტრანსფორმაცია. ცნობილია, რომ ზოგადად აზრი შეიძლება იყოს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ფუნქციონალური, პოტენციალური და ფრაზეოლოგიური. ეს უკანასკნელი აისახება ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობაში. ფრაზეოლოგიური აზრი ერთგვარი „ტრამპლინია“ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მისაღებად და ის უნდა განვიხილოთ, როგორც „ბოლო საფეხური მნიშვნელობის ფორმირების გზაზე“ [2]. ენის ლექსიკურ სისტემაში მნიშვნელობის ყოველგვარი გადახრა არსებულ ნორმატიულ მნიშვნელობებს ეყრდნობა. ცხადია ფრაზეოლოგიურად განპირობებული მნიშვნელობის საფუძველია თავისუფალი, პირდაპირი მნიშვნელობა, რომელიც სიტყვის საგნობრივ-თემატურ შინაარსს ატარებს, გრამატიკულად არის გაფორმებული და ენის საერთო სემანტიკური სისტემის ელემენტად ითვლება. ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის სპეციფიკა საერთო ფრაზეოლოგიური პრობლემატიკის ცენტრშია და ლექსიკური მნიშვნელობის ერთ-ერთ განსაკუთრებული სახეა. ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის გაანალიზებისას მართებულად მიგვაჩნია მეორადი წარმოქმნის ლექსიკური სემანტიკის განხილვა ე.ი. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის შეპირისპირება ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობასთან.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოქმნას ლექსიკური ერთეულების სემანტიკური გადააზრების პრინციპი უდევს საფუძველად. ახალი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა იქმნება არა ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობის, არამედ მთლიანი კომპლექსის მნიშვნელობის გარდაქმნის, ახალი ექსპრესიულ-სემანტიკური შრის წარმოქმნის საფუძველზე. ხშირად საერთო ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობაში ცალკეული შემადგენელი ნაწილების სემანტიკა იკარგება. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს მნიშვნელობის ნაწილობრივ ან სრულ ტრანსფორმაციას. სიტყვა შესიტყვებაში კარგავს თავის ინდივიდუალურ კონტურებს და ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთ კომპონენტად გადაიქცევა. მდგრად ლექსიკურ სტრუქტურებში სიტყვის ასეთი ტრანსფორმაცია მეტყველებაში მისი მნიშვნელობის ცვლილებაშიც აისახება, ანუ სახეზეა მისი სემანტიკური მეტამორფოზა. სიტყვა იქცევა შედარებით მაღალი დონის ლექსიკური ერთეულის ახალი სემანტიკური დატვირთვის მქონე ელემენტად. როდესაც ვსაუბრობთ ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობაზე აუცილებელია ხაზი

გაეუსვით მოტივირებულობის საკითხს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება რეალობის ინდივიდუალურ, ასოციაციურ, ეთნო-კულტუროლოგიურ აღქმას და ვიზუალურ წარმოსახვით უნარს. მოტივირებულობასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესოა მისი ხალხურ-ეტიმოლოგიური ინტერპრეტაცია, რასაც უკავშირდება ისეთი მოვლენა, როგორც რემოტივაციაა. მოტივირებულობაზე საუბარი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ცნობილია გამონათქვამის ეტიმოლოგია, მაგალითად, j-n auf den Hund bringen ; j-m auf einen Esel setzen; j-m zum Esel machen; აღნიშნული გამონათქვამების წარმომავლობა ცხადია ბუნდოვანია. მას სავარაუდოდ „ძაღლისადმი“ და „ვირისადმი“ უპატივცემულობა, საცოდავ უბადრუკ მდგომარეობაზე დაცემა და სოციალური დევალვაციის გამოხატვა უნდა ედოს საფუძვლად. ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება ლაპარაკი იყოს სრულ ან ნაწილობრივ იდიომატიზაციაზე, არამოტივირებულობაზე, ნაწილობრივ, პირდაპირ ან ხატოვან მოტივირებულობაზე. თავად მოტივაცია „იკონურ“ და სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამდენად ამა თუ იმ გამოთქმის აღქმაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოკულტუროლოგიურ, ნაციონალურ სტერეოტიპებს. განსჯისათვის სეროზულ იმპულსს წარმოადგენს გამოთქმები და მათი ილუსტრაციები ხელნაწერებსა თუ ძველ სკულპტურებში, ჰუმანიზმის და რენესანსის პერიოდის გრაფიკულ ქმნილებებში. აქ წარმოდგენილი მასალა მოიცავს კოლექტიურ და ინდივიდუალურ, აზრობრივი და გამომხატველობითი ფორმების ნიმუშებს ისტორიულ რაკუსში და უკავშირდება XVI საუკუნეს, როცა იგაგები ხელმისაწვდომი გახდა ფართო მასებისათვის. სურათები და ილუსტრაციები იგაგების დასათაურებისათვის გამოიყენებოდა. მათი მეშვეობით ხდებოდა ყველაზე დრამატული და აზრობრივად დატვირთული მომენტების ხაზგასმა. ასე მაგალითად, პოლანდიური ანდაზების ერთ-ერთ კრებულში, რომელიც 1959 წელს გამოიცა, მოცემული იყო მხოლოდ ილუსტრაციები და არ იყო არც ერთი ტექსტი, ხოლო სურათების მოტივები შუა საუკუნეების იკონოგრაფიის ტრადიციებით იყო შესრულებული. ფრაზეოლოგიზმის, როგორც მეორადი ნომინაციური ერთეულის ინტეგრირებული მნიშვნელობა, ცხადია ეფუძნება თეორიულ ლინგვისტიკაში ხანგრძლივი კვლევის შედეგად შექმნილ იმ კონცეფციას, რომლის მიხედვით მნიშვნელობა აქტიურად მოქმედებს ენობრივი ფორმის ჩამოყალიბებაზე. ფრაზეოლოგიური სემანტიკა ეკონომიურობით გამოირჩევა, ანუ რთული დენოტატური სტრუქტურით, სადაც აისახება სამი საწყისი: ობიექტური სამყარო-ადამიანი-ენა. ფრაზეოლოგიზმის ასეთი განსაზღვრა ზოგადენობრივია და

იგი ყველა ენისათვისაა დამახასიათებელი. გერმანულ, ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიაში, ფრაზეოლოგიური სემანტიკის კულტუროლოგიური კონცეპტუალიზაციიდან გამომდინარე, თუკი ჩვენ მას ხალხის კულტურის შემადგენელ კომპონენტად აღვიქვამთ, შეიძლება ორი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა: 1. გამოთქმები, რომლებსაც არც კვლევის ობიექტად აღებულ ენობრივ სისტემაში, არც კულტურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, არ გააჩნიათ ლინგვისტურ, აზრობრივ და წარმოსახვით დონეზე ეკვივალენტური ერთეულები. სხვაგვარად რომ ვთქვათ სახეზეა დენოტატის არ არსებობა. 2. ფრაზეოლოგიზმები, რომელთა ლოგიკურ-სემანტიკური მოდელი განსხვავებული კულტურებისათვის ტიპოლოგიურად იდენტურია, თუმცა შეიძლება კონკრეტულ რეალიზაციაში განსხვავებულ კულტურულ კომპონენტად მოგვევლინოს [3]. აღნიშნული ფენომენი ხაზს უსვამს ფრაზეოლოგიის კომპლექსურობას, მრავალშრიანობას, რომელიც უნივერსალური და სპეციფიკური საწყისების ერთობლიობას წარმოადგენს. ფრაზეოლოგიზმების ლოგიკურ-სემანტიკური საფუძველი სხვადასხვა ენაში ტიპოლოგიურად ერთმანეთს შეედრება, თუმცა ამავე დროს მისი კონკრეტული ლექსიკური შემადგენლობა გამოხატულების პლანში განუმეორებელი და განსაკუთრებულია. მართებულად მიგვაჩნია ხაზი გაეუსვით ისეთ შემთხვევებს, როცა ცალკეული ენობრივი ფორმები ყოველგვარ მოტივაციას არის მოკლებული, არ გააჩნია კულტუროლოგიური ან ქვეყანათმცოდნეობითი საფუძველი და ხასიათდება შემთხვევითი მოტივაციით [4]. ასე მაგალითად, მნიშვნელობა „არასოდეს“ „ვერასოდეს“ გერმანულ ენაში რეალიზდება ფორმით: „wenn die Hunde mit dem Schwanz bellen“ „wenn die Boecke lammen“ „wenn der Krebs auf dem Berg pfeift“ „wenn der Esel den Baum aufklettert“, ქართულში - „ვიდრე ვირი ხეზე ავა“ „ვიდრე ძაღლის კუდი გასწორდება“ რუსულში – „пока петух залает“, „мужик не перекрестится пока гром не грянет“ და ა.შ.

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ თუკი კულტურა კაცობრიობის განზოგადებულ მეხსიერებასთან გაიგივდება და აღიქმება როგორც კოლექტიური ქმნილება, როგორც ადამიანისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების სისტემა, მაშინ სიმბოლური დატვირთვა ძირითადად ნიშნებს მიენიჭებათ. სიმბოლოების ერთ-ერთი თავისებურება მათი მდგრადობაა, ხოლო მეორე კი - გარდამავლობა. ანუ, ის გადაეცემა თაობიდან თაობას და მასში თავს იყრის ადამიანთა ცოდნა, გამოცდილება, ცრურწმენა და ა.შ. ამ შემთხვევაში კულტურულ-სემიოტიკური თვალსაზრი-

სით ლაპარაკია ნიშანზე, როგორც ტექსტზე და გამოთქმაზე, როგორც ქვეტექსტუალურ ფორმაზე.

ის რაც განაპირობებს მსგავსება-განსხვავებას, პარალელურ, ადეკვატურ ფორმებს, შეიძლება მივაკუთვნოთ რეალიების ისტორიულ, ეთნოკულტუროლოგიურ და საზოგადოებრივ სპეციფიკას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მართებულად მიგვაჩნია ფრაზეოლოგიური ერთეულები განვიხილოთ, როგორც კულტუროლოგიური ფაქტი, სტრუქტურული ერთეულისა და ნაციონალური ნიშანების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

1. Schweizer H.- Bedeutung: Grundzuege einer inter-nalistischen Semantik. Bern. Stuttgart. Haupt. 1996 S.5
2. ა. თაყაიშვილი. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. განათლება 1961, გვ. 65-66
3. Foeldes Gs.-Deutsche Phraseologie Kontrastiv. Intra-und internationale Zugaenge. Deutsch im Kontakt; 15 Heidelberg: Gross 1996 S 88
4. Foeldes Gs.-Deutsche Phraseologie Kontrastiv. Intra-und internationale Zugaenge. Deutsch im Kontakt; 15 Heidelberg: Gross 1996 S 88

### UDC 801.3

## NATIONAL AND ETHNOCULTUROLOGICAL STEREOTYPES IN PROCESS OF BECOMING AND RECOGNITION OF PHRASEOLOGICAL SEMANTICS

**N. Gamkrelidze**

Department of foreign languages and communications, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Logical-semantic bases of phraseological units are typologically respective to each other in different languages. However their concrete lexical value by way of the image are especial and unique. Phraseological units are considered as the cultural fact with the discretion of the moments of stereotypifications and national nuances. The culture is perceived as collective creation and system of mutual relations of the person and an external world.

**Key words:** transformation of semantics of a lexical unit; value of ethnoculturological and national stereotypes; culturological conceptualization; the phraseological semantics; the integrated value of nomination units.

### УДК 801.3

## НАЦИОНАЛЬНЫЕ И ЭТНОКУЛЬТУРОЛОГИЧЕСКИЕ СТЕРЕОТИПЫ В ПРОЦЕССЕ СТАНОВЛЕНИЯ И ВОСПРИЯТИЯ ФРАЗЕОЛОГИЧЕСКОЙ СЕМАНТИКИ

**Гамкrelidze Н.О.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Логическо-семантические основы фразеологизмов типологично соответственны друг другу в разных языках. Однако их конкретное лексическое значение в плане изображения особенное и неповторимое. Фразеологические единицы рассмотрены как культурный факт с усмотрением моментов стереотипизаций и национальных нюансов. Культура воспринимается как коллективное творение и система взаимоотношений человека и внешнего мира.

**Ключевые слова:** трансформация семантики лексической единицы; значение этнокультурологических и национальных стереотипов; культурологическая концептуализация; фразеологическая семантика; интегрированное значение номинационной единицы.

*შემოსვლის თარიღი 04.12.09  
მიღებულია დასაბუჯლად 15.02.10*

**შაკ 001.4**

**ციფრული ტექსტის პოზიცია კომუნიკაციურ მოდელში**

**რ. თაბუკაშვილი**

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

**რეზიუმე:** ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემა ეხება ციფრული ტექსტის პოზიციის დადგენას კომუნიკაციურ მოდელში, სადაც ხშირად არ ხდება კომუნიკაციის არხის, მედიუმისა და ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ციფრული ტექსტის ადგილის განსაზღვრისას კომუნიკაციურ მოდელში გასათვალისწინებელია ორი მომენტი: ერთი მხრივ, ციფრული ტექსტი წერილობით მანიფესტირებული პროდუქტია, ხოლო მეორე მხრივ - მისი გამტარი ფიზიკალური სუბსტანციაა, რომლის გრაფიკულ ნიშანთა პარადიგმატიკა/სინტაგმატიკის კომპეტენცია ციფრული ტექსტის საშუალებით კომუნიკაციის განხორციელების აუცილებელი პირობაა. თპერებენ რა ციფრული ტექსტით, კომუნიკანტები მედიუმად წერილობით ფიქსირებულ ციფრულ ტექსტს იყენებენ, ანუ ამ ტიპის კომუნიკაციისას არხი და მედიუმი ფარავს ერთმანეთს. საგულისხმოა ისიც, რომ ციფრული ტექსტის მარკერებად მოიაზრება დარღვეული დეიქტიკური ჩარჩო, როგორც სივრცულ-ლოკალური, ასევე ტემპორალურ-ადიენაციური თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტექსტი; კომუნიკაციური მოდელი; კომუნიკატორები; მედიუმი; არხი.

**1. შესავალი**

პირველად იდეას კომუნიკაციური მოდელისა და კომუნიკაციის არხის შესახებ სოსიურის ნაშრომებში ვხვდებით, თუმცა მას ტერმინი „კომუნიკაცია“ არ გამოუყენებია. სოსიურისეული ენის დეფინიცია – „ენა მინიმუმ ორ ადამიანს შორის გაგებინების საშუალებაა“ – თავის თავში გულისხმობს კომუნიკაციის პროცესს. ნიშნადობლივია, რომ ამ ტიპის კომუნიკაციაში ავტორი მოიაზრება ზეპირ ენას, ზეპირ მეტყველებას და არა წერილობით კომუნიკაციას.

სოსიურისეული კომუნიკაციური მოდელის ამოსავალი დებულება ისაა, რომ კომუნიკატორის მიერ წარმოთქმული ბგერათა კომპლექსი კომუნიკანტის მიერ აკუსტიკურად აღიქმება,

რომელიც ბგერათა კომპლექსს გონის საშუალებით გარდაქმნის კონცეპტად. ეს კომუნიკაციის ციკლის პირველი ფაზაა. მეორე ფაზაში კომუნიკანტი კომუნიკანტორის პოზიციას იკავებს და უგზავნის ექსკომუნიკატორს ახალ ბგერათა კომპლექსს, რომელიც მისმა მსმენელმა/კომუნიკანტმა აკუსტიკურად უნდა აღიქვას და იგი კონცეპტად გადააქციოს. ეს ციკლი შესაძლოა გაგრძელდეს უსასრულოდ.

**2. ძირითადი ნაწილი**

წარმოდგენილი სოსიურისეული ეს მარტივი კომუნიკაციური მოდელი გადაიქცა გლობალური კომუნიკაციური მოდელის საფუძვლად, რომელიც დროთა განმავლობაში გაფართოვდა, დაიხვეწა და ახალი სემანტიკებით შეივსო.

სოსიურისეულ კომუნიკაციურ მოდელზე დაფუძნებული კლასიკური კომუნიკაციური მოდელი ასე გამოიყურება:



ეს მოდელი დეკოდირდება ამგვარად:


წარმატებული კომუნიკაციისათვის საჭიროა სამი კომპონენტის თანაარსებობა: კომუნიკატორი/კომუნიკანტი, მედიუმი და ინფორმაცია. კომუნიკაციის პროცესში კომუნიკატორი გადასცემს კომუნიკანტს ინფორმაციას მედიუმის საშუალებით.

კომუნიკაციურ მოდელში ხშირად ერთმანეთისაგან არ მიჯნავენ კომუნიკაციის არხსა და მედიუმს. ცალკეულ შემთხვევებში მათი გამოცალკეება არც არის საჭირო, ვინაიდან ისინი შესაძლებელია ერთმანეთს გულისხმობდნენ და ერთმანეთს ფარავდნენ. ამ ორი სუბსტანციის – არხისა და მედიუმის კონკრეტულ კომუნიკაციურ მოდელში განხილვა ვფიქრობ, რომ საჭიროებს დაზუსტებას: მედიუმი – ენობრივი ფორმაა და ითავსებს წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის ცნებებს, შესაბამისად, მედიუმით განისაზღვრება

საკომუნიკაციო აქტის ენობრივი სახეობა, ხოლო არხი – ინფორმაციის გადამცემი საშუალებაა. თუკი მედიუმი ზეპირი მეტყველებაა, მაშინ არხი შეიძლება იყოს ჰაერი, რომელსაც ბგერითი ტალღები, ან რაიმე ტიპის ელექტრონული ხელსაწყო გადააქვს, რომლის დახმარებითაც ინფორ-

მაციის აღქმა აკუსტიკურად ხდება. თუკი მედიუმი წერილობითი ტექსტია, მაშინ არხი შეიძლება იყოს ვიზუალურად აღქმადი ნებისმიერი სახის წერილობითი ტექსტი.

ეს კომუნიკაციური მოდელი გრაფიკულად ასე შეიძლება გამოიხატოს:



როგორც ჩანს, ერთიანი ენობრივი სამეტყველო აქტი სეგმენტირდება ორ ბლოკად, რის საფუძველსაც ქმნის ის გარემოება, რომ მედიუმი შეიძლება იყოს ორი სახის ზეპირი და წერილობითი. ამდენად, წარმოდგენილი კომუნიკაციური მოდელი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

1. ზეპირი ტექსტის, ანუ დისკურსის გამოჯენას წერილობითი ტექსტისგან;

2. არხთა დიფერენციაცია განსხვავებულ მედიუმებთან.

ამ მოდელში არხი მოიაზრება არა როგორც მხოლოდ ინფორმაციის გამტარი-გადამცემი, არამედ თვით სუბსტანციაც, რომელსაც კონკრეტული ინფორმაცია გადააქვს. სუბსტანციის და მისი ფიზიკალური მონაცემების გათვალისწინება ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა კომუნიკაციის პროცესისთვის, რადგან მისი იგნორირებით კომუნიკატორს უამრავი დაბრკოლება შეიძლება შეექმნას. თუკი კომუნიკატორი არ ფლობს ამას თუ იმ ტექნიკური ხელსაწყოების გამოყენების წესებს, იგი ვერ შეძლებს კომუნიკატორის ინფორმაცია მიაწოდოს.

თუკი ჩვენ ციფრულ ტექსტს კვლევის ფოკუსში მოვაქცევთ და შევეცდებით განვსაზ-

ღვროთ მისი ადგილი კომუნიკაციურ მოდელში, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ორი ძირითადი მომენტი. ერთი მხრივ, ციფრული ტექსტი წერილობით ფიქსირებული და მანიფესტირებულია, რითაც იგი იდენტურია ნებისმიერი სახის ნარატიული თუ არანარატიული ტექსტისა, ხოლო მეორე მხრივ, – მისი გამტარი ფიზიკალური სუბსტანციაა. ამ სუბსტანციის ნიშანთა და მათ შორის ურთიერთმიმართებათა ფლობა, ანუ გრაფიკულ ნიშანთა პარადიგმატიკა/სინტაგმატიკა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ციფრული ტექსტის საშუალებით კომუნიკაციის განხორციელებისა.

წერილობითი ტექსტი ზოგადად, და ჩვენ კერძო შემთხვევაში – ციფრული ტექსტი, როგორც წერილობითი ტექსტის ერთ-ერთი სახეობა, წარმოდგენილი კომუნიკაციური მოდელის მეორე ბლოკის (3) კომპონენტია. რა მარკერები აქვს ციფრულ ტექსტს როგორც მედიუმს და რა ტიპის მიმართება აქვს მას არხთან?

ციფრული ტექსტის მარკერებს კომუნიკაციის პროცესში განსაზღვრავს ორი ფაქტორი: 1. კომუნიკატორთა სივრცულ/ლოკალური დისტან-

ციურობა და 2. ლიმიტირებული ტემპორალური ალიენაცია.

ციფრული ტექსტის ინფორმაციულობისა და ექსპრესიულობის ხარისხი არაა დამოკიდებული კომუნიკაციის მონაწილეთა თანამყოფობაზე ერთიან სივრცულ გარემოში. პირიქით, კომუნიკანტთა დისტანციურობა განსაზღვრავს ციფრული ტექსტის ყველაზე რელევანტური ფუნქციების – კომუნიკაციურისა და ფატიკურის ხარისხს. ციფრული ტექსტის შემთხვევაში სივრცული მთლიანობა დარღვეულია იმის გამო, რომ კომუნიკაციის პარტნიორები არ იმყოფებიან ერთიან დეიქტიკურ ველში. უფრო მეტიც, კომუნიკაციის პარტნიორები ხშირად განსხვავებული კულტურულ-სოციალური და გეოგრაფიულ-ტერიტორიული სივრცის წარმომადგენლებია, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ უშუალო (Face to face) კონტაქტსა და შესაძლებლობას, განახორციელონ ცოცხალი კომუნიკაცია აკუსტიკური მასალის საფუძველზე.

ციფრული ტექსტის არსებობის ხანგრძლივობა, ანუ მისი ალიენაცია ლიმიტირებულია და მას თვით კომუნიკაციის პარტნიორები განსაზღვრავენ. გადაცემული/მიღებული ინფორმაცია გრაფიკულ-გრაფემული წარმონაქმნის სახით დროში შეიძლება იყოს განფენილი მხოლოდ განსაზღვრული ინტერვალის ჩარჩოებში. მისი ალიენაცია შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წუთი ან რამდენიმე წელი. დამოუკიდებელი და ხანგრძლივი არსებობა ციფრულ ტექსტს არ ძალუძს, რადგან მისი ალიენაცია არ არის დეტერმინირებული იმით, რომ იგი წერილობით ფიქსირებული ტექსტია, მისი „შენახვის“ დეტერმინატორი მისივე პროდუცენტი ან რეციპიენტი. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ციფრულ ტექსტს არა აქვს მყარი ლოკალურ ტემპორალურ-ალიენაციური ჩარჩო, შესაბამისად დარღვეულია დეიქტიკური ველის მთლიანობა, რაც განპირობებულია კო-

მუნიკანტთა დისტანციურობით სივრცესა და დროში.

ციფრული ტექსტის კომუნიკანტები ტექსტის პროდუცირება/რეციპირებას გრაფიკულ-გრაფემული ერთეულებით ახორციელებს, რომელთა სივრცულ-დროთი განფენა დამოკიდებულია ერთი მხრივ კომუნიკატორისა, და მეორე მხრივ – კომუნიკანტის ინტენციასა და ნებაზე.

### 3. დასკვნა

ამდენად, წარმოდგენილი კომუნიკაციური მოდელის მეორე ბლოკში, სადაც მედიუმი წერილობითი ტექსტია, ინფორმაციის გადამცემ არხად ისევ ტექსტი გვევლინება, ჩვენ კერძო შემთხვევაში კი – ციფრული ტექსტი, ე. ი. არხი და მედიუმი ამ კომუნიკაციურ მოდელში ფარავს და ერთმანეთს გულისხმობს. ინფორმაციის კომუნიკანტები ციფრულ ტექსტში დებს და ახდენს მის გადაცემას ასევე ციფრული ტექსტით, რომელსაც არა აქვს მთლიანი დეიქტიკური ჩარჩო, როგორც სივრცულ-ლოკალური, ასევე ტემპორალურ-ალიენაციური თვალსაზრისით. ამ პარამეტრებით იგი მკვეთრად განსხვავდება დისკურსისაგან, რომელსაც აქვს მისთვის კუთვნილი ერთი მხრივ, ენობრივი მედიუმი და, მეორე მხრივ – არხი. მას მთლიანი დეიქტიკური ჩარჩო გააჩნია, კომუნიკანტები ერთიან სივრცულ-ტემპორალურ გარემოში იმყოფება (მე. აქ. ახლა) და ზეპირი ტექსტი/დისკურსი ამ კერძო შემთხვევაში აუდიო-აკუსტიკური სუბსტანციის საშუალებით აღიქმება.

### ლიტერატურა

1. Соссюр Ф. Труды по языкознанию. Москва: Прогресс, 1997.
2. Bühler, Karl (1934): Sprachtheorie. Die Darstellungsfunktion der Sprache. Gustav Fischer. Jena.
3. ვ. ფურცელაძე. ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. თბილისი, 1998.

UDC 001.4

## DIGITAL TEXT POSITION IN COMMUNICATIVE MODEL

R. Tabukashvili

Department of Foreign Languages and Communications, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The represented problem concerns to the establishment of the digital text position in the communication line model, where a difference between the communication line channel, medium and information frequently is not given. During the determination of the digital text

position in the communication line model is necessary to consider two moments: on the one hand – the digital text is the written-demonstrating product, on the other hand, its starter is physical substance. Its scope from the paradigmatics-sintagmatic side of the graphic signs is obligatory for the communication with the help of the digital text.

With digital text operating, communicants use the writing-fixed digital text as medium, i.e. with this channel and medium communication agree. It should be noted, that markers of the digital text is not whole deictical framework from the space and locality point of view and also temporality and alienation.

**Key words:** digital text; communication line model; communicants; medium; channel.

УДК 001.4

## ПОЗИЦИЯ ЦИФРОВОГО ТЕКСТА В КОММУНИКАЦИОННОЙ МОДЕЛИ

Табукашвили Р.М.

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Представленная проблема касается установления позиции цифрового текста в коммуникационной модели, где часто не дается различие коммуникационного канала, медиума и информации. Во время определения позиции цифрового текста в коммуникационной модели нужно учесть два момента: с одной стороны, цифровой текст - письменно-манифестированный продукт, а с другой стороны, его пускатель – физикальная субстанция. Ее компетенция со стороны парадигматика-синтагматики графических знаков обязательна для коммуникации при помощи цифрового текста.

Оперируя цифровым текстом, коммуниканты употребляют письменно-фиксированный цифровой текст, как медиум, т.е. при такого рода коммуникации канал и медиум совпадают. Следует отметить, что под маркерами цифрового текста подразумевается нецелостная деиктическая рамка, с точки зрения пространства и локальности, а также темпоральности и алиенации.

**Ключевые слова:** цифровой текст; коммуникационная модель; коммуниканты; медиум; канал.

*შემოსვლის თარიღი 21.11.09  
მიღებულია დასაბეჭდად 12.12.09*

შპს 001.4

## კიდევ ერთხელ “ტერმინის” დეფინიციის შესახებ

რ. თაბუკაშვილი

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ცნების “ტერმინი” ტრადიციული და თანამედროვე დეფინიციები, მოცემულია მისი როგორც ზოგადლინგვისტური, ასევე დარგობრივი განმარტებები. ტერმინები, როგორც ბუნებრივი ენიდან დარგობრივ ენაში შესული და დამკვიდრებული ენობრივი ერთეულები ტერმინოსისტემას ქმნის, რომელიც გრადუალურად არა ენის ლინგვისტისტემის ქვესისტემად, არამედ მასთან კორდინაციულ მიმართებაში მყოფ თანასისტემად და ნომენკლატურადაა მიხნეული. ტერმინი სტატიაში არაა განსაზღვრული როგორც ერთი რომელიმე კონკრეტული ტერმინოსისტემის ერთეული, რადგან იგი შესაძლებელია განთავსდეს დარგობრივი თვალსაზრისით რამდენიმე არამონა-

თესავე ტერმინოსისტემებში. ტერმინების სემანტიკა არაა მყარი, სტაბილური, ხშირია მათი ვიწრო სემანტიკური მნიშვნელობის გაფართოება და შესაბამისად მათი სხვადასხვა მეტყველების სტილში, განსხვავებულ საკომუნიკაციო აქტებში გამოყენება. ბუნებრივი ენის ტერმინოსისტემის “შეესების” ტრადიცია ლათინურსა და ბერძნულ ენებს უკავშირდება, თუმცა თანამედროვეობამ და ტერმინთა ინტერნაციონალურობამ ინგლისური და ფრანგული ენებიდან ტერმინთა შემოდინებასაც შეუწყო ხელი.

**საკვანძო სიტყვები:** ტერმინი; ტერმინოსისტემა; დარგობრივი ტერმინი; ტერმინოლოგიური სკოლა; ტერმინთა ინტერნაციონალიზაცია.



## 1. შესავალი

საერთაშორისო სახელმწიფოებრივი, პროფესიული, სავაჭრო, კერძო და სხვა ტიპის კონტაქტების გაძლიერებასა და მათ გავლენას ენაზე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა შეუწყო ხელი. გარდა ამისა, დიპლომატიის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ახალი მედიებისა და კომუნიკაციის სფეროებში სახელმწიფოთაშორისმა ურთიერთობებმა, კულტურათაშორისმა პროცესებმა ნოყიერი ნიადაგი შექმნეს საერთაშორისო ტერმინებისა და ფრაზების წარმოშობისა და მათი ენებში დამკვიდრებისათვის.

## 2. ძირითადი ნაწილი

ტერმინი ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით განიმარტება, როგორც სიტყვა ან სიტყვაშეთანხმება, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ამა თუ იმ ცნებას და რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დარგისა და სპეციალობის ჩარჩოებში.

ზოგადგამოყენებითი სიტყვებისაგან განსხვავებით, რომელთა მარკერებადაც მრავალმნიშვნელობა და ექსპრესიულობა ითვლება, ტერმინი მიჩნეულია ერთმნიშვნელოვან და არაექსპრესიულ ენობრივ ერთეულად. ტერმინი ცალსახად და ზუსტად გამოხატავს ცნებას და შესაბამისად, ტერმინების დონეზე პოლისემია დაუშვებელია – ამგვარია ტერმინის ტრადიციული გაგება.

ტერმინისა და სიტყვის, როგორც პოლისემიური ენობრივი ნიშნის გამოჯენის საფუძველს ის ფაქტი ქმნის, რომ ისინი ბუნებრივ ენასა და ნებისმიერი ენის ლინგვისტიკაში გამოხატულების განსხვავებულ პლასტებს ქმნიან. მაგალითად, ენობრივი ნიშანი “ოთხკუთხედი” ასახავს და გამოხატავს ისეთ საგანს, რომელსაც ოთხი კუთხე აქვს, თუმცა გეომეტრიაში ოთხკუთხედი ეწოდება ისეთ ფიგურას, რომლის შიგა კუთხეების ჯამი 360-ს შეადგენს. პირველი გაგებით სიტყვა “ოთხკუთხედი” ენობრივი სისტემის ნიშანია, სიტყვაა, ხოლო მეორე გაგებით – იგი ტერმინია, რომელიც გეომეტრიულ ტერმინთა სისტემაში, უფრო ზუსტად კი – ტერმინოსისტემაში თავსდება. ტერმინი “ოთხკუთხედი” ვიწრო სპეციალისტთა, კერძოდ კი, - მათემატიკოსთა კომპეტენციის საზღვრებშია მოქცეული, მაშინ, როცა არასპეციალისტისთვის საგანი ოთხკუთხედი შეიძლება იყოს, რომელსაც ოთხი კუთხე აქვს.

ამ მაგალითიდან გამომდინარე ცხადდება ის, რომ ნებისმიერ ენაში ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს როგორც ბუნებრივი ენის სისტემის კომპონენტი, ასევე ტერმინოლოგიის, ტერმინოსისტემის შემადგენელი, მისი ერთეული. ხშირ შემთხვევაში ასეთი დამთხვევები, დუალიზმები, გაურკვევლობისა და უხერხულობის საბაბს იძლევა. ამიტომ ამ ტიპის გაუგებრობათა მთელი რიგისგან თავის დაღწევის მიზნით ხშირად მიმართავენ ლათინურ და ბერძნულ სიტყვებს და ამ გზით მათ ეძლევათ ტერმინოლოგიის მნიშვნელობა.

ტყვეებს და ამ გზით მათ ეძლევათ ტერმინოლოგიის მნიშვნელობა.

მსგავსი რეფერენციის მქონე ტერმინები ერთიანდება ტერმინოლოგიურ სისტემებში და ენის სისტემის პარალელურად ქმნის ავტონომიურ სისტემას – ტერმინოსისტემას. თუმცა ხშირ შემთხვევებში შესაძლებელია ერთი და იგივე ტერმინი ორ ან მეტ არამომიჯნავე ტერმინოლოგიურ სისტემებში განთავსდეს, ანუ მოხდეს ამ ტერმინთა შეღწევა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებში და ისინი შესაბამისად ინტერდარგობრივ ტერმინებად იქცეს, თუმცა მათი რეფერენციური მნიშვნელობები ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. მაგალითად, ტერმინი “ოპერაცია” სამ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ დარგთა ტერმინოსისტემებში თავსდება, ესენია: მედიცინა, სამხედრო საქმე და საფინანსო დარგები. იგივე შეიძლება ითქვას ტერმინზე “ასიმილაცია”, რომელიც ბიოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის ტერმინოსისტემათა “კუთვნილებაა”.

ყურადღებები და გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დროთა განმავლობაში ხდება ზოგიერთი ტერმინის სპეციფიკური ხასიათის, მისი ვიწროპროფესიული მნიშვნელობის “დევალვაცია” და ფართო პროფილით გამოყენება, ანუ ამ ტერმინთა ღირებულება მოცულობითი ხდება, შესაბამისად კი ეს “სახეცვლილება” იწვევს მათ გამოყენებას მეტყველების სხვადასხვა აქტებსა და სხვადასხვა საკომუნიკაციო აქტებში. ასეთებია: ხელოვნებათმცოდნეობითი და ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები – ჟანრი, პორტრეტი, სტილი, დუეტი, პროლოგი, სიუჟეტი, ფაბულა. ამავე რიგში ერთიანდება ტექნიკური ტერმინები: აკუმულატორი, ამორტიზატორი, კონვეირი, მასა, რენტგენი, ტემპერატურა; ფილოსოფიური ტერმინები: დიალექტიკა, აზროვნება, კატეგორია, ცნება, შემეცნება და ა.შ. მიუხედავად ყოველივე ამისა, არსებობს მრავალი ტერმინი, რომელიც ინარჩუნებს ვიწრო სპეციალურ მნიშვნელობებს და მისი შეღწევა-შერევა რომელიმე სხვა დარგის ტერმინოსისტემასთან შეუძლებელია. ასეთებია: აფრიკანტი, ფონემა, სინეკდოხა, სოლფეჯიო, სოპრანო და ა.შ. თუმცა მათი კონოტაციური გამოყენება სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციებში ამა თუ იმ სტილისტიკური ინტენციით, ცხადია, გამოირიცხული არ არის.

დარგობრივი სფეროების “შეგება” სხვადასხვა ტერმინოლოგიით და ამ ტერმინთა ეტიმოლოგია უკავშირდება ბერძნულ და ლათინურ ენებს. ამგვარ “პოლიტიკას” თავისი საფუძველი და გამართლება აქვს. ერთი და იმავე სიტყვის ერთი მხრივ ტერმინად და მეორე მხრივ ენის სისტემის შემადგენლად გამოყენების დროს, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ “ოთხკუთხედის” მაგალითზე, შესაძლებელია რეცეფციის თვალ-

საზრისით უხერხულობები მოჰყვეს. ამგვარი გაუგებრობების უგულებელყოფისთვისა და რეალური რეფერენტების აღნიშვნისათვის სწორედ ლათინურსა და ბერძნულ ენებს მიმართავენ და მათში მოიაზრება ტერმინები, ანუ იცვლება მათი სემანტიკური მნიშვნელობა და ახალ ღირებულებასა და დატვირთვას შეიძენენ. მაგალითად, დღეს ფართო სპექტრით გამოიყენება ლათინური წარმოშობის სიტყვა „დისტრიბუცია“, რომელიც ანალოგიური მნიშვნელობისაა, რაც მისი ქართული ეკვივალენტი „განაწილება“. ისმის კითხვა: აქვთ თუ არა ამ სიტყვებს ეკვივალენტური ღირებულებები, თუ ისინი სხვადასხვა ცნებებს აღნიშნავენ? ტრანსლაციის თვალსაზრისით ისინი ეკვივალენტური ერთეულებია, მაგრამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კუთხით მათი ღირებულება სხვადასხვაგვარი და არაერთმნიშვნელოვანია. იქ, სადაც შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „დისტრიბუცია“, შეუძლებელია ენობრივი ნიშნის „განაწილების“ გამოყენება. მაგალითად, ფრაზებში „ბილეთების განაწილება“, „სტუდენტთა განაწილება ჯგუფების მიხედვით“, „საათების განაწილება“ არ იგულისხმება დისტრიბუცია და პირიქით. მაგალითებში „მანქანათა ნაწილების დისტრიბუცია“, „ლუდის დისტრიბუცია“, „პროდუქტის ეფექტური დისტრიბუცია“ და ა.შ. იგულისხმება სემა განაწილება, თუმცა ენობრივი ერთეულის „განაწილება“ გამოყენება ამ კონტექსტში იწვევს ერთგვარ უხერხულობას, რადგან ტერმინმა „დისტრიბუცია“ მიორგო, მოიხდინა, შეისისხლხორცა სემა „განაწილება“, თუმცა კომუნიკაციური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი აღმოჩნდა შესაბამის საკომუნიკაციო აქტებში ტერმინი „დისტრიბუციის“ გამოყენება. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ტერმინი ერთი მხრივ სემანტიკური ნიშნით უფრო მოცულობითი, უფრო მაღალი ღირებულების მქონეა, ვიდრე ენობრივი ერთეული როგორც ენობრივი სისტემის ნიშანი.

ენის ტერმინოსისტემაში ლათინური და ბერძნული ეტიმოლოგიის სიტყვების მოზღვაგებას თავისი მიხეხუბი და საფუძველი აქვს, რომელთაგან ყველაზე რელევანტური მათი ინტერნაციონალობაა, რაც თავისთავად ქმნის ფონს იმისათვის, რომ ტერმინები გასაგები იყოს. თუ დავეუშვებთ იმას, რომ ნებისმიერი ენა საკუთარ ლექსიკურ ფონდზე დაყრდნობით აწარმოებს ტერმინებს, წარმოიშობა ერთი მხრივ, ზღვრის გაგლების პრობლემა ტერმინებსა და სიტყვებს შორის და მეორე მხრივ, ტერმინოლოგია დაკარგავს ინტენაციონალურ ხასიათს, რაც რეალურად ტერმინოლოგიის წარმოშობისა და კომუნიკაციის პროცესში მათი გამოყენების საფუძველია. მიგვაჩნია, რომ ტერმინთა ერთიანობა ნებისმიერი ენის ენობრივ სისტემაში ქმნის იმანენტური სისტემის თანასისტემას, რომელსაც ტერმინოსისტემა შეიძლება ეწოდოს. ამ მოსაზრების გასამყარებლად დავიმოწმებთ ფ. დე

სოსიურს, რომელიც თვლიდა, რომ „ტერმინოლოგიას თავისი ენა აქვს. იგი თავისთავად სემიოტიკურ სისტემას წარმოადგენს. სემიოტიკური სისტემა კი, სადაც ცნებასა და ბგერით აღმნიშვნელს შორის ურთიერთცალსახა შესატყვისობა გვაქვს, ნომენკლატურას წარმოადგენს, რომელიც ძირითადად ბერძნულისა და ლათინურის საფუძველზე იქმნება, რაც ათავისუფლებს ბუნებრივ ენებს საკუთარი ლექსიკის გამოყენებისაგან ტერმინოლოგიის შესაქმნელად“<sup>1</sup> (გ. ნებიერიძე, გვ. 228).

ასევე საფუძველს მოკლებული არაა ინგლისური და ფრანგული ენების სიტყვათა მარაგიდან ტერმინთა შემოღება დარგობრივ ენებში, რაც გლობალიზაციითა და საერთაშორისო ურთიერთობებითაა გამოწვეული. მაგალითად, მენჯმენტი, მარკეტინგი, პრაიმტაიმი, ბიზნესის ადმინისტრირება და მონიტორინგი ინგლისური ენიდან დარგობრივ ენებში დამკვიდრებული ტერმინებია, ხოლო ლოჯისტიკა, ბიუჯეტი, კონსოლიდაცია, კოალიცია, მულტიმედიადიზაინი ფრანგული ენის ლექსიკიდან შემოსულ ტერმინოლოგიას მიეკუთვნება.

ტრადიციულისაგან განსხვავებით თანამედროვე დარგობრივ ლიტერატურაში ცნების „ტერმინი“ სხვადასხვაგვარი და ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაცია არსებობს. ერთმანეთისგან მიჯნავენ ტერმინის ვიწრო და ფართო გაგებას. ვიწრო გაგებით ტერმინი გამოიყენება შესაბამის დარგში მკაფიოდ დეფინირებული ცნებისა ან საგნის ერთმნიშვნელოვანი და ერთჯერადი აღნიშვნისათვის (2.), ფართო გაგებით კი – ტერმინი შეიძლება იყოს დარგობრივი გამონათქვამი, რამდენადაც იგი აღნიშნავს რომელიმე დარგში კონკრეტულ საგანს (3). ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობს შემდეგი დასახელებების სინონიმური გამოყენება: „დარგობრივი სიტყვა“, „დარგობრივი გამონათქვამი“, „terminus technikus“, „ტერმინი“.

ლინგვისტური თუ ინტერ-და ტრანსდისციპლინარული პოზიციებიდან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა ტერმინოლოგიური „სკოლები“, რომელთა შორის განსხვავებები იმისდა მიხედვით დადგინდება, თუ როგორ განმარტავენ ისინი „ტერმინს“. ძირითადად განსხვავებენ ორ მიმართულებას: ერთი მხრივ დეტერმინატორია სემასიოლოგიური ხედვა (პრადის სკოლა), რომელშიც შინაარსი და გამოხატულება ერთად ერთ მთლიანს ქმნის. სემასიოლოგიური ხედვა საფუძველად უდევს ტერმინის ამგვარ დეფინიციას: „ტერმინი შედგება ცნებისა და მისი დასახელებისაგან, რაც ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულ წყვილს ქმნის და რომელიც ტერმინოლოგიის ელემენტად აღიქმება“. აქ ტერმინი მოიაზრება როგორც შინაარსისა და გამოხატულების პლანთა ლექსიკური ერთიანობა. მეორე მხრივ არსებობს ონომასიოლოგიური ხედვა (ვენის სკოლა). აქ შინაარსი და გამოხა-

ტულება გამიჯნულია ერთმანეთისაგან, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ “term” განიმარტება როგორც წმინდა გამოხატულების სიდიდე, ანუ, “ტერმინი” დარგობრივ ენაში კონკრეტული კონცეპტის დასახელება ან მისი გამოხატვითი ლინგვისტური ფრაზით”. საბჭოთა სკოლის წარმომადგენლები განსაზღვრავენ ტერმინს როგორც “სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომლის ენობრივი ნიშანი კავშირშია მეცნიერებისა და ტექნიკის ერთი რომელიმე დარგის სისტემის შესაბამის ცნებასთან” (4).

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ლაურენ-მიკინგ-პიხტის დეფინიცია, რომელშიც სიტყვა “ტერმინი” საერთოდ არ ფიგურირებს, თუმცა ვხვდებით სიტყვას “დასახელება”, როგორც ენობრივ გამოხატულებას: “დასახელება (ანუ ტერმინი, რ.თ.) არის აღნიშვნა, რომელიც შედგება ერთი სიტყვისაგან ან სიტყვათა ჯგუფისაგან” (5). ავტორები გამოხატულების პლანში მკაფიოდ განასხვავებენ სიმბოლოს, აღნიშვნასა და დასახელებას, მაშინ როცა “აღნიშვნა” დასახელებისა და სიმბოლოს ჰიპერონიმიადაა წარმოჩენილი.

### 3. დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ტერმინოსისტემა ნებისმიერი ბუნებრივი ენის ლინგვისტურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც პირობითადაა გრადუირებული თანასისტემად, იგი თავისი ღირებულებითა და პრაგმატიკული ფუნქციით ნომენკლატურული სისტემაა, რომელიც არა სუბორდინაციული, არამედ კოორდინაციულია ენის ლინგვისტურ სისტემასთან მიმართებაში. ამას გარდა ტერმინთა “ინტერნაციონალიზაცია” ერთგვარად

იზოლირებულ სივრცეს ქმნის იმ მოსაზრებით, რომ ისინი ბუნებრივი ენების ლინგვისტურ სისტემის ერთეულებს “ათავისუფლებენ” ორმაგი დატვირთვისაგან, რასაც წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგად შესაძლებელია რეფერენციული დამთხვევები, რეცეფციული გაუგებრობები და კომუნიკაციური ბარიერების წარმოქმნა და უზუსტობები მოჰყვეს. ტერმინების ჰიპერონიმია, მათი ზესემანტიკური ღირებულება ტერმინს მოქნილს ხდის, შესაბამისად მათი პრაგმატიკული ფუნქცია ინტრადარგობრივ ჩარჩოებს სცილდება და ინტერდარგობრივ პლასტში გადადის, რაც თავისთავად ტერმინთა მობილობას და პოლისემიურობას გულისხმობს.

### ლიტერატურა

1. გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1999. - გვ. 228.
2. Benes, Eduard. Fachtext, Fachstil und Fachsprache. 1971. In: Moser, H. et al. (Hrsg.). Sprache und Gesellschaft. Beitrage zur soziolinguistischen Beschreibung der deutschen Gegenwartssprache. Duesseldorf: Schwann. 130
3. Filipec, Josef (1969): “Zur Spezifik des spezialsprachlichen Wortschatzes gegenueber dem allgemeinen Wortschatz”. In: Deutsch als Fremdsprache: Zeitschrift zur Theorie und Praxis, 6(1969). 407-414. F F
4. Kulebakin, V.S./Klimovickij, J.A. (1970): “Arbeiten am Aufbau einer wissenschaftlich-technischen Terminologie in der Sowjetunion und die sowjetische Schule der Terminologie” In: Lauren, Christer/Picht, Heribert (Hrsg.). (1993a) Ausgewaelte Texte zur Terminologie. Wien: TermNet. !21-158
5. Lauren, Crister/Myking, Johan/ Picht, Heribert (1998): Terminologie unter der Lupe. Wien: TermNet.

UDC 001.4

## ONCE AGAIN ABOUT THE DEFINITION OF “TERM”

R. Tabukashvili

Department for Foreign Languages and Communications, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are considered the traditional and modern notions of ‘term’ definitions and there are provided its general linguistic and special disciplinary interpretations.

Terms as language units, having penetrated into disciplinary languages through natural ones, form the term system, which serves as a co-system and nomenclature. The paper considers a term to be unrelated to the unit of a concrete term system due to its ability to transfer to the term systems of some different disciplines.

The semantics of terms is far from being stable. Since the widening of the narrow semantic sense of terms is rather common, their utilization in different communication activities and speech styles is not rarity. The tradition of the replenishment of natural language term-stock is closely related to Latin and Greek languages, though contemporaneousness and internationalization of terms made it possible for the term-stock to be replenished through English and French languages.

**Key words:** term; term system; special term; science of terminology; internationalization of terms.

**УДК 001.4****ОПЯТЬ О ДЕФИНИЦИИ «ТЕРМИНА»****Табукашвили Р.М.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассматриваются традиционные и современные дефиниции понятия «термин», даны его как общелингвистические, так и отраслевые разъяснения.

Термины, как языковые единицы, входящие в отраслевые языки, создают терминосистему, которая является не подсистемой лингвосистемы, а коосистемой и номенклатурой. Термин в статье рассматривается не как единица конкретной терминосистемы, так как возможно его перемещение в нескольких разных отраслевых терминосистемах.

Семантика терминов нестабильна. Часто встречается расширение их узкосемантического значения, в результате чего происходит их использование в разных коммуникационных актах. Традиция заполнения языковой терминосистемы связана с латинским и греческим, хотя современность и интернациональность терминов дала возможность заполнения терминов с английского и французского языков.

**Ключевые слова:** термин; терминосистема; отраслевой термин; терминологическая школа; интернационализация терминов.

*შემოსულის თარიღი 25.12.08  
მიღებულია დასაბუჯდად 18.01.09*

## ავტორთა საძიებელი

ავალიანი ხ. 48	მშენიერაძე ი. 68	Абзианидзе Д.В. 59
გამყრელიძე ნ. 134, 137	ნადარეიშვილი გ. 72	Барамидзе И.Н. 78
გვასალია ბ. 11	სადღაღშვილი ე. 110, 114	Гвасалия Л.Е. 78
გუგულაშვილი გ. 110, 114	სოსაძე ა. 25	Гулуа Д.В. 105
დოლიძე მ. 118	ტოკაძე ლ. 97, 101	Гусейнов Э.Ф. 88
ზვიადაძე უ. 48, 63	ტომარაძე ო. 97	Двали М.С. 59
თაბუკაშვილი რ. 141, 144	ტყემალაძე მ. 72	Долидзе М.Г. 126
თოკოლაშვილი ი. 53	ქადარია ი. 33	Какубава Р.В. 105
კურტანიძე პ. 122, 130	ქავთარაძე ს. 72	Катари Н. 92
ლობუანიძე გ. 42	ქიტიაშვილი ნ. 63	Купарашвили Л.Дж. 118, 122
ლომსაძე გ. 42	ქუთათელაძე ქ. 38	Куртанидзе П.Р. 130
მარდაშოვა მ. 48	ღაღანიძე ზ. 63	Пициа Г.М. 105
მალრაძე მ. 38	ღვანლიანი ვ. 114	Попоразде Н.Г. 59
მაჭავარიანი ო. 72	შავლაყაძე მ. 83	Саммадар С. 105
მეგრელიძე გ. 110	ჩხეიძე ი. 97, 101	Шарашенидзе Г.Г. 118
მეგრელიძე თ. 110, 114	ჭეიშვილი თ. 72, 83	Шарашенидзе Г.С. 122
მემპარიაშვილი ვ. 25	Abuladze V. 21	Шарашенидзе С.Г. 118, 122
მოწონელიძე ა. 18	Motsonelidze A. 21	Шенгелия Е.Г. 78

## ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის რეგულარული პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოიცემა წელიწადში ოთხჯერ (პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მარტამდე, მეორე ნომერი - 1 აპრილიდან 30 ივნისამდე, მესამე ნომერი - 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე და მეოთხე - 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე).

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ქვეყნდება ორიგინალის ენაზე).

ავტორს შეუძლია მხოლოდ ორი სტატიის მოწოდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

კრებულში ქვეყნდება სტატიები მეცნიერული კვლევების ახალი შედეგების შესახებ შემდეგი თეორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

- მშენებლობა
- ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია
- სამთო-გეოლოგია
- ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია
- არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი
- ინფორმატიკა, მართვის სისტემები
- სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა
- ჰუმანიტარულ-სოციალური
- ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი 5-7 გვერდით (მინდვრები 2 სმ) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალთ;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS-Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnux შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი - Times New Roman, ზომა 12;

- სტატიის თავი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - უაკ-ს (უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია);
  - ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
  - ავტორის/ავტორების ელექტრონული ფოსტის მისამართს;
  - დეპარტამენტის დასახელებას სამივე ენაზე;
  - საკვანძო სიტყვებს სამივე ენაზე.
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს TIFF ფორმატში გარჩევადობით 150 dpi;
- სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- ერთი რეცენზია;
- რეცენზენტის CV;
- რეცენზენტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის შესაბამის სპეციალობაში შესრულებული 2 ნაშრომის ასლი (მონოგრაფია - სატიტულო გვერდი, სარჩევი. სამეცნიერო სტატია - კრებულის სატიტულო გვერდი, სტატიის პირველი გვერდი, სარჩევი).

---

### To attention of authors!

Transactions of Georgian Technical University represents reviewed, periodical edition, which is published four times in year. (the first number includes the period from 1 January to 31 March, the second number - from 1 April to 30 June, the third number - from 1 July to 30 September and the fourth - from 1 October to 31 December).

Purpose of collection is assistance of science development, new achievements of scientists and specialists, operative publication materials and results of scientific researches.

The articles are accepted in Georgian, English and Russian languages (are published in original language).

Author is allowed to present only two articles.

The publication of articles for the workers of Georgian Technical University is free of charge.

The amount of authors of article mustn't exceed 5.

In transactions are published articles about new results of scientific researches according to the following theoretical and applied sphere:

- Building
- Energetics, telecommunication
- Mining-geology
- Chemical technology, metallurgy
- Architecture, urbanist, design
- Informatic, systems of management
- Transport, engineering industry
- Humanitarian-social
- Institute of buildings, special systems and engineering maintenance

There is offered the rule of official registration of scientific articles:

- The volume of work is determined A4 paper size at 1,5 line spacing 5-7 printed page (margins - 2cm) draughts, diagrams, tables and a list of literature.
- The article should be carried out in form file DOC (MS-WORD), written down on any magnetic carrier
- For Georgian text is used Acadnux font, size 12
- For English and Russian texts is used font - Times New Roman, size 12;
- In the beginning of the article should contain the following informations
  - UDC (UNIVERSAL DECIMAL CLASSIFICATION)
  - Name, surname, of author/authors
  - E-mail of author/authors
  - The name of department in all three languages
  - Key words in all three languages



- 
- In the article with subtitles should be isolated introduction, the body of the article and conclusion
  - Computer version of pictures or photos must be done in size TIFF with the recognition 150 dpi
  - The article should have resume in Georgian, English and Russian languages
  - The article should be written correctly, with the observance terminology, without stylistic and grammatical mistakes.
  - Author/authors are responsible for content and quality of article.

There is offered the following documentation for the article presentation:

- One review
- CV of reviewer
- From reviewer offered copy of two works carried out corresponding to profession (monograph – title-page, contents. Scientific article – title-page of transactions, the first page of article, contents).

## К сведению авторов!

Сборник научных трудов Грузинского технического университета является реферированным периодическим изданием, которое выходит в свет четыре раза в год (первый номер включает период с 1 января по 31 марта, второй номер – с 1 апреля по 30 июня, третий номер – с 1 июля по 30 сентября и четвертый – с 1 октября по 31 декабря).

Назначение сборника – содействие развитию наук, новых достижений ученых и специалистов, оперативная публикация материалов и результатов исследований.

Принимаются статьи на грузинском, русском и английском языках (публикуются на языке оригинала).

Автор может представить только две статьи.

Для сотрудников Грузинского технического университета статьи публикуются бесплатно.

Количество авторов статьи не должно превышать 5.

В сборнике печатаются статьи, касающиеся новых результатов исследований по следующим теоретическим и прикладным отраслям:

- Строительство.
- Энергетика, телекоммуникации.
- Горное дело-геология.
- Химическая технология, металлургия.
- Архитектура, урбанистика, дизайн.
- Информатика, системы управления.
- Транспорт, машиностроение.
- Гуманитарная – социальная.
- Сооружения, специальные системы, инженерное обеспечение.

Предлагаем порядок оформления научных статей:

- Объем работы определяется форматом бумаги А4 с интервалом 1,5, 5-7 печатными страницами (поля = 2см), с перечислением рисунков, графиков, таблиц и списка литературы.
- Статья должна быть выполнена в виде файла DOC (MS-Word), записанного на любом магнитном носителе.
- Для грузинского текста используется шрифт Acadnusx, размер 12.
- Для английского и русского текстов – шрифт Times New Roman, размер 12.

- 
- В начале статьи должна содержаться следующая информация:
    - УДК (Универсальная десятичная классификация).
    - Фамилия, имя, отчество автора/авторов.
    - Адрес электронной почты автора/авторов.
    - Название департамента на трех языках.
    - Ключевые слова на трех языках.
  - В статье подзаголовками следует выделить введение, основную часть и заключение.
  - Компьютерный вариант рисунков или фото должен быть выполнен в формате TIFF распознаванием 150 dpi.
  - Статья должна иметь резюме на грузинском, русском и английском языках.
  - Статья должна быть написана грамотно, с соблюдением терминологии, без стилистических и грамматических ошибок.
  - Автор/авторы ответствен/ы за содержание и качество статьи.

Для представления статьи необходимы следующие документы:

- Одна рецензия
- CV рецензента
- Представленные рецензентом копии двух работ, выполненных по соответствующей специальности. (Монография – титульная страница, оглавление. Научная статья – титульная страница, первая страница статьи, оглавление).

რედაქტორები: ნ. დოლიძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა ხ. უნგიაძის

გადაეცა წარმოებას 07.04.2010. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.06.2010. ბეჭდვა  
ოფსეტური. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,5. ტირაჟი 100 ეგზ.  
შეკვეთა №

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

